

ნიკო ბერკენიშვილის ინსტიტუტი

**სამხრეთ-დასავლეთ
საქართველოს
ისტორიის საკითხები**

V



გამომცემლობა

„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ბათუმი – 2010

NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

**THE QUESTIONS OF
SOUTHERN-WESTERN
GEORGIA HISTORY**

V

Publishing House
«Shota Rustaveli State University»
Batumi - 2010

ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ

**ВОПРОСЫ ИСТОРИИ
ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ**

V

Издательство
«Государственный университет Шота Руставели»
Батуми – 2010

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილება აგრძელებს ტრადიციას და მკითხველს სთავაზობს მორიგ კრებულს – “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, V.”

აღნიშნულ კრებულში, წინა გამოცემების მსგავსად, შესულია საქართველოს სხვადასხვა საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებაში მოღვაწე მეცნიერთა შრომები. ქრონოლოგიური ჩარჩოები საკმაოდ ტევადია და წარმოდგენილი თემატიკა ეხება როგორც ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, ისე ქართული პოლიტიკური აზროვნებისა თუ თანამედროვეობის აქტუალურ, ხშირ შემთხვევაში – მტკივნეულ საკითხებს.

კრებულის მიზანია ხელი შეუწყოს ისტორიოგრაფიული ცოდნის გავრცელებასა და პოპულარიზაციას. იგი განკუთვნილია როგორც სამეცნიერო, ისე ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

რედაქტორები

მალხაზ სიორიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ოლეგ ჯიბაშვილი

ისტორიის აკადემიური დოქტორი

რეცენზენტები

ნოდარ კახიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ნანა ხახუტაიშვილი

ისტორიის აკადემიური დოქტორი

ISSN 1987-5274

© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2010

ქაშქა-აბეშლას ეთნიკური კუთვნილებისათვის

ქაშქას (კასკა) ტომები მოიხსენიება ხეთურ, ეგვიპტურ და ასურულ წერილობით ძეგლებში. მათზე განსაკუთრებით ბევრია საუბარი ხეთურ წყაროებში. ხეთის მეფეების (ხანთილი I, არნუვანდა, სუფილულიუმა, მურშილ II, ხათუშილ III, თუთხალია IV და სხვა) მიერ შედგენილი XVII-XIII საუკუნეების წარწერები მოგვითხრობენ ქაშქების მიერ წარმოებული ბრძოლებისა და, ასევე, ხეთელთა მიერ მოწყობილი სადამსჯელო ოპერაციების შესახებ ქაშქის ქვეყნის ხალხის წინააღმდეგ.

XIV საუკუნის დასაწყისის ძეგლში, რომელიც წარმოადგენს ხეთების მეფე-დედოფლის – არნუვანდასა და აშმუნიქალის ლოცვას, მიმართულია ხეთების უზენაესი ღვთაებისადმი – არინას მზის ქალღმერთისადმი. მეფე და დედოფალი შეწუხებულნი იყვნენ ქაშქების თავდასხმების გამო. ეს ლოცვა ღვთაებათა გულის მოსაგებად და საკულტო ცენტრების დარბევის შესენების მიზნითაა შედგენილი. ქაშქები აქ დახასიათებულნი არიან, როგორც ხეთების ქვეყნის ამოხრებულნი და ფიცის გამტყხნი. ტექსტი შეიცავს ქაშქებისა და ხეთების მოსაზღვრე რაიონებში არსებული ოლქების, პუნქტების და მათი მმართველების ჩამონათვალს.

სუფილულიუმას ანალებში ბევრია საუბარი ხეთების მიერ ქაშქების ლაშქართან ბრძოლის შესახებ. ერთ-ერთ ხეთურ ძეგლში არის ჩივილი იმის შესახებ, რომ ქაშქთა მეომრებმა გაძარცვეს და გადაწვეს ხეთების სატადრო ქალაქები. ხეთები მათ აღადგენდნენ, მაგრამ, როცა ისინი სხვაგან წავიდოდნენ სალაშქროდ, ქაშქები ისევ არბევდნენ მათ ქალაქებს. სუფილულიუმა ჩივის, რომ ქაშქები თავიანთ ქვეყანაში ბრუნდებოდნენ დიდძალი ნადავლით (ოქრო, ბრინჯაო). ხეთების

მეფეს ისევ მოუხდა გალაშქრება მათ წინააღმდეგ, როცა მათ იშთახარას ქვეყანა დაიკავეს.

სუფილელიუმას სიკვდილის შემდეგ გამეფდა ჯერ მისი შვილი არნუგანდა (1346წ.), ხოლო შემდეგ მეორე შვილი მურშილ II (1345-1320 წწ.) მურშილი თავის ანალებში გვატყობინებს, რომ ქაშქებმა შემოუტყეს ხეთების სასახლვრო ქვეყანას თურმითას. ამავე დროს ხეთებთან ბრძოლა დაუწყია იშხუფითას ქვეყანას. აჯანყებულან აგრეთვე ხალილას, დადუსკას (დუდუშკას) და ტიბიას ოლქებიც. ქაშქებს დაუკავებიათ მთიანი ოლქი ასხარფაია (აშხარბაია). მათმა ლაშქრობებმა შეაწუსა ხეთების ზემო ქვეყნის ქალაქები თურმითა, იშტიტინა და სხვები. მურშილის მეფობის მეექვსე წელს ქაშქებს დაუკავებიათ თარიქარიმეს მთიანი ქვეყანა, საიდანაც ისინი ემუქრებოდნენ დედაქალაქ ხათუშაშსაც. ეს უკანასკნელი აოხრებული იქნა კიდევ. ხეთების მეფეს დიდი ბრძოლები გადახდა ქაშქთა ერთ-ერთ ბელადთან ფისხუნისთან, რომელმაც მოახერხა ქაშქების ქვეყნების გაერთიანება.

ხეთების სხვა მეფის ხათუშილ II (1301-1280 წწ.) ავტობიოგრაფია გადმოგვცემს, რომ როცა მეფედ იყო მისი ძმა მუვათალი და ის სალაშქროდ იმყოფებოდა ხეთების ქვემო ქვეყანაში, მის ზურგში ქაშქას¹ ქვეყნები (ფისხურუ, იშხუფითა, დაიშთიფა) აჯანყებულან. მათ მიუტაციათ ქვეყნები ლანდა, მარიშთა და გამაგრებული ქალაქები. ქაშქებს გადაუღახავთ მდინარე მარასანთა (ჰაღისი) და ქანესის ქვეყანაზე დაუწყიათ თავდასხმა. ეს ომი დაახლოებით 10 წელიწადს გაგრძელებულა. ამ დროის განმავლობაში მათ არაერთი ქვეყანა და ქალაქი გაუძარცვათ. დასახელებულია ყველა მათგანის სახელი. ხეთების მეფეს ქაშქების წინააღმდეგ სხვა ბრძოლებიც უწარმოებია, რის შესახებაც იგი მოგვითხრობს თავის სხვა წარწერებში. ხათუშილს ერთ ტექსტში გად-

¹ ხატუსილის ავტობიოგრაფიაში ტუმანას შემდეგ დასახელებულია kassia, (ВДИ,1960, №1,გვ.79), რომელიც ქაშქების ტომის სახელწოდების ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს.

მოცემული აქვს, რომ ქაშქები ხეთების ქვეყანაში შეიჭრნენ და ქალაქი ნენაშა თავიანთ სასაზღვრო პუნქტად აქციესო.

ქაშქებთან წარმოებული ბრძოლების შესახებ ცნობები მოგვეპოვება აგრეთვე ხეთების ერთ-ერთი უკანასკნელი მეფის თუთხალია IV-ის (XIII ს-ის 2 ნახ.) ანალებშიც. XIII საუკუნის 30-20-იან წლებში მცირე აზიასა და მიმდებარე მხარეებს შემოესია ე.წ. ზღვის ხალხები. მათ დაარბიეს ხეთების სამეფოც. როგორც ჩანს, ამგვარი ვითარებით ისარგებლეს ქაშქებმა და საბოლოო დარტყმა მიაყენეს ხეთების დასუსტებულ იმპერიას. მათ დაარბიეს და გადაწვეს დედაქალაქი ხათუშა. ერთ დროს ძღვევამოსილმა ხეთების სამეფომ თავისი არსებობა შეწყვიტა. ამის შემდეგ მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ასურულ და ურარტულ ლურსმნულ წერილობით ძეგლებში ჩნდება ხეთის სამეფოსა და ქაშქების ქვეყნის ნარჩენები. აღნიშნულ მხარეებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან მუშქების (ფრიგიის?), ურარტუს, კოლხას სამეფოები. განაგრძობენ არსებობას ხაიასა-აზის სამეფო დაიაენი-დიაოხის სახით, ასურეთი და სხვა მრავალი წვრილი ქვეყნები და ტომები, რომლებიც არ შესულან არც ერთ მსხვილ პოლიტიკურ ერთეულში.

როგორც უკვე აღინიშნა, ქაშქები იხსენიება ასურულ წყაროებში, კერძოდ: ტიგლათფილესერ I (1115-1070 წწ.), ტიგლათფილესერ III (745-727 წწ.) და სარგონ II (722-705წწ.) წარწერებში.

ტიგლათფილესერ I თავის მეორე ღაშქრობის შესახებ მოგვითხრობს, რომ ხეთის ქვეყნის ხალხმა – 4 ათასმა კასკიელმა და ურუმიელმა, მიიტაცეს შუბართუს ქვეყნის დასახლებები. მე გავილაშქრე მათ წინააღმდეგ. ასურეთის მეფე იკვეხნის, რომ მან ეს 4 ათასი კაცი მათი ქონებითა და 120 ეტლით ჩაიგდო ხელში და თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე დაასახლა. აღნიშნული წარწერის ვარიანტებში ქაშქას სინონიმად აბეშლა გვევლინება.

ტიგლათფილესერ III თიხის ფირფიტაზე წარწერაში მოგვითხრობს, რომ მას ხარკი მიუღია სულუმაღ მელიდიელი-

საგან, უასურმე თაბალიელისაგან, დადიმუ კასკიელისაგან და სხვებიდან. სარგონი II იკვეხნის, რომ დალაშქრა ქაშკუს ქვეყანა, გადაასახლა მისი მოსახლეობა, მოსპო და გაანადგურა ყველაფერი და ა.შ.²

ზემოთ აღნიშნული და სხვა მონაცემების მიხედვით, მკვლევრები ქაშქების ადგილსაცხოვრისის შესახებ უკიდურესად განსხვავებულ მოსაზრებებს იძლევიან. ჩვენს დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი სხვა დროს გაგაცნობთ, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ დაახლოებით ისეთივეა, როგორც ი. მანანდიანისა და ბ. გროზნის ერთად აღებული ნააზრევი. როგორც უკვე აღინიშნა, ამჯერად გვინდა წარმოვადგინოთ მხოლოდ ქაშქა-აბეშლას ტერიტორიაზე არსებული ოლქებისა და ქალაქების, ქაშქელთა ადამიანის საკუთარი სახელების სემანტიკა-წარმომავლობა.

გ. გიორგაძის აზრით, ქაშქებს ეკავათ ტერიტორია მდებარე ხეთების ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომელიც მოგვიანო ხანებში პონტოს სახელით იყო ცნობილი. მათი საცხოვრისი აღმოსავლეთით აღწევდა ხეთების ზემო ქვეყანამდე (ერზინჯანამდე), ჩრდილოეთით – შავ ზღვამდე, დასავლეთით – ყიზილ-ირმაკამდე. ბ. გროზნის მიხედვით, ყიზილ-ირმაკსა და ზემო ეფფრატს შორის; ო. გერნის ვარაუდით, ყიზილ-ირმაკსა და თერმოდონტის შესართავებს შორის, ზღვის სანაპირო; გ. მაკუინით თერმოდონტის შეერთების ორივე მხარეს, უფრო აღმოსავლეთისაკენ; ა. ზახაროვის აზრით, ბადას (ტოკატსა და სივაშს შორის) დასავლეთიდან ესაზღვრებოდნენ კასკიელები; ნ. აღონცის გამოკვლევით, შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროს მთიანი ოლქები მდინარე ჰაღლისის შეერთებიდან ლიკ-კელკიტისა და ჰაღლისის სათავეებამდე; ს. ბადას მიხედვით, ჭოროხის აუზის ერთი ნაწილი;

² ასურულ წყაროებში ასურეთსა თუ მის სამფლობელოებში შემოსეულთა შორის გუტიუმის, ლულუმოს, შუბარის გვერდით იხსენიება ეთნონიმური სახელები – კასი, კასინი (А. Хачатрян. Пересмотр древнейшего периода Наири-Урартской истории, Ер., 1932, с. 29, ком. 2.

ნ. არუთინიანი მიიჩნევს, რომ ქაშქები მოსახლეობდნენ აღმოსავლეთ პონტოს მთებში თავასტას, პალხუისას, იშხუპიტას, ღურმიტას, პალას და ტუმანას შორის; ი. მანანდიანი და ე. ფორერი თვლიან, რომ ქაშქები ბინადრობდნენ ზემო ევფრატის დასავლეთით, თანამედროვე ქალაქების დივრიგის, ეგინის და არაბგირის რაიონებში და სხვა.

რომელ ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ ქაშქები? თუ რომელ ენაზე მეტყველებდნენ ქაშქები, ეს საკითხი დღემდე ღიად რჩებოდა, რადგანაც მკვლევართა შორის ამ საკითხშიც აზრთა სხვადასხვაობაა. ქაშქა-აბეშლას მკვლევართა მეტი წილი (გ. მელიქიშვილი, ი. დიაკონოვი, ი. ვორონოვი, შ. ინალიფა, ვ. არძინბა, ე. ფორერი, ა. გოეტცე, ბლაიხშტაინერი და სხვები) აფხაზურ-ადიღეურ, უფრო სწორად, აფსუურ-ადიღეურ თუ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ ტომებად მიიჩნევდნენ. გარკვეული ნაწილი (ი. ჯავახიშვილი, გრ. გიორგაძე, ს. ბადა, კ. თოფური) მათ ქართველურ, უფრო კი მეგრულ-ჭანურ, ანუ ლაზურ-სვანურ მოდგმასთან აკავშირებდა.

იყვნენ ისეთი მეცნიერები, რომლებიც ქაშქებს კიდევ უფრო სხვა მოდგმის ტომებს უკავშირებდა, კერძოდ: კასიტებს (გრ. ლაფანციანი), ხური-ურარტეელებს (გ. მელიქიშვილი), ხათებს (ვ. ხაჩატურიანი, ე. ფორერი), კასპიებსა და კახებს (ნ. მარი). ზოგიერთების აზრით (ნ. ბერძენიშვილი), ნათელი არ არის ვინ არიან ქაშქები.

ჩვენი აზრით, ქაშქა-აბეშლაები იგივე ხატები (პროტოხეტები) არიან. აქაური სახელწოდებები, ეს იქნება ქვეყანა-ოლქისა, ქალაქი-დასახლებული პუნქტისა, ადამიანის საკუთარი თუ ღვთაებათა სახელები, ერთმანეთის იდენტურნი უნდა იყოს თავიანთი წარმომავლობითა და სემანტიკით. ისინი აშკარად მიაწინებენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ არიან აფსუურ (თანამედროვე აფხაზები)-ადიღეური (ჩერქეზული) მოდგმის ხალხი, ან თუნდაც მათი მონათესავე. პირიქით, როგორც ამას ქაშქა-აბეშლას ქვეყნების ეთნონიმიკა, ტოპონიმიკა და ანთროპონიმიკა გვიჩვენებს, ისინი არიან პირწმინდად ქართველური სამყაროს ორგანული ნაწილი, კერძოდ 80%-მდე

მეგრული, დანარჩენი სვანური ან საკუთრივ ქართული. დაახლოებით ასეთივე სურათია ურარტუსა და დაიაენი-დიაოხის სახელმწიფოშიც, ოღონდ აქ ჭარბობს სვანური და ქართული, შეიძლება იყოს უძველესი ქართველური სამყაროს ორგანული ნაწილი.

სხვათა შორის, ქაშქების ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაში იგივე წარმომავლობის ტომები მოსახლეობდნენ, რაც ძველადმოსავლურ ხანაში, რასაც გვისაბუთებს ბერძნულ-რომაული წყაროებით დადასტურებული ქვეყნების, ტომების, ქალაქების სახელწოდებათა შინაარსი. ასე მაგალითად: სინოფე = სინების, სანების მოდგმა; მაკრონი = მარგალი, მაგარი, ონ ქართული სუფიქსით; მოსინიკი = მუშუანი, სვანთა თვითსახელი; მარები = მარ (კაცი), შეადარეთ: სა-მარე, სა-მარ-ხი, ქ-მარი და სხვა. გიმნიასი-გიმ = მიწა, ნიას = ნისლი; სკითინი-შკედ = ბურუსი; ქსერქსენა || დერ-ძანი = დერ-ჭანი; სპერი || სასპერი – სა || ს ქართული პრეფიქსი, პერი – სვანურად ქაფი, ბურგონი – სვანური ბერგ (თოხი), ონ სუფიქსით; ბარხონი – სვანური ბარხი (ხილი); სისილისი || ზიზილოი – ზიზილა მცენარეა; სხამალანხი – ს პრეფიქსია. ხამა ღორია სვანურად, ლანხი – გაბრაზება; ხარტონი – ღართი სვანურად ნაბადია; ზაგონი || ზიგან – სვანურად გამიწყალა; თეხე – სვანეთშია ტოპონიმი თხე-იშ; სტამენე – სტამან სვანურად არის კოკა; ქადა, კადა ნაჯახია და სხვა მრავალი.³

ქაშქა-აბეშლას ტერიტორიაზე მოგვიანებით, ურარტუს ძლიერების ხანაში, საისტორიო წყაროებში ჩნდება ტოპონიმები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული სახელმწიფოს დაიაენი-დიაოხი-მატიენას შემადგენელი ნაწილებია, კერძოდ, ოლქები (ურარტული წყაროების ქვეყნები): ბალთულხი, ხალდირიულხი, არდარაკიხი, კაბილუხი, ვარდა-არდა. ეს ტოპონიმები იხსნება ქართველური ენების მონაცემების გამოყენებით. მათი შინაარსია: ბალთა=სვანურად ნაჯახი,

³ დაწვრილებით იხილეთ ჩვენი: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ.წ.XII-IV სს.), ბათ., 2002.

შეადარეთ ქართველური ქვეყნის ხაიასას (ჰაიაშა) ღვთაება ბალთა; არდარა = არდ || ართ (ერთი, პირველი); კაბილუხი = კაბალა (ქისით გაცემული ხარი); ხალდი = ურარტუს მთავარი ღვთაება, მსგავსი ტოპონიმებით მოფენილი იყო და არის ქართველური სამყაროს ყველა კუთხე: ურარტუ, დიაოხი, ხალიბია, ხალდია, საქართველო და სხვა.⁴

ქაშქების მეზობელ ტომებს ძვ.წ. XIII საუკუნის ბოლომდე წარმოადგენდნენ ხათები, ხეთური დინასტიით, ე.წ. ხეთების ზემო ქვეყანა, ბალა, ხაიასა, სუხმა და სხვები. ზღვის ხალხების შემოსევის შემდეგ მცირე აზიისა და მის აღმოსავლეთ პერიფერიებზე პოლიტიკური და ეთნიკური რუკა საგრძნობლად შეიცვალა. ხეთების სამეფო დაეცა, ამავე დროს განადგურდა სვანურ-მეგრული წარმომავლობის ქვეყანა ხაიასა (ჰაიაშა). ქაშქა-კასკას სატომო გაერთიანებამაც განიცადა ცვლილებები. ამიერიდან ასურულ ლურსმნულ ტექსტებში გამოჩენილი ქაშქა-აბეშლა, ისეთივე ძლიერი არ არის, როგორიც იყო წინარე ხანაში. ამ დროს იქმნება კიდევ ერთი ქართული სამეფო დაიაენი-დიაოხი, რომელსაც ანტიკური წყაროები ხან მატენეს, ხანაც ტაოხებს უწოდებენ. მის გვერდით ვანის ტბის ირგვლივ ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ძლიერი ქართველური სამეფო (შესაძლებელია სვანური წარმომავლობის დინასტიით) ურამტუ-ბიაინილი (ურარტუ-ვანი), რომელმაც მეტისმეტ ძლიერებას ძვ.წ. IX საუკუნის დასასრულსა და VIII საუკუნეში მიაღწია. ქაშქა-აბეშლას გარკვეული რაიონები ჯერ მოექცნენ დიაოხის სამეფოს ფარგლებში, ხოლო შემდეგ მათი ტერიტორიები ასურეთისა და ურარტუს სახელმწიფოების დარბევა-განადგურების არეში შევიდა.

ანტიკური ხანის დასაწყისში ურარტუს სამეფო დინასტიის განადგურების შემდეგ, არ ვიცით საიდან, როგორ, მაგრამ ძალაუფლება ჰაიაცების-არმენების, თანამედროვე სომეხთა წინაპრებმა მიიტაცეს. მათ მალე ყოფილი ურარტუს საზღვ-

⁴ დაწვრილებით იხილეთ ჩვენი: დაიაენი – დიაოხი (ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის), ბათ., 2006.

რებში მყოფი ყველა ტომი და მათი ოლქები დაიმორჩილეს. ისინი თანდათანობით დაეუფლნენ ქაშქების ყოფილ ტერიტორიებსაც. დაახლოებით ძვ.წ. II საუკუნიდან, სტრაბონისა და მოვსეს ხორენაცის გადმოცემით, სომხებმა აღნიშნულ ტერიტორიაზე დაიწყეს სომხური ენის გავრცელება. ქაშქების ტერიტორიის ჩრდილოეთი რაიონები შევიდა ძვ.წ. IV საუკუნეში ჩამოყალიბებულ მეგრულ-სვანურ სამეფოში – პონტოში. მალე აღნიშნული ოლქები რომის იმპერიამ ჩაიგდო ხელში, მათი ბატონობა ბიზანტიელებმა (ბერძნებმა) შეცვალეს. მას მოჰყვა აღნიშნულ მხარეში არაბთა და თურქ-სელჩუკთა ბატონობა. არაბები აქ VII საუკუნეში გამოჩნდნენ, ხოლო ოთხი საუკუნის შემდეგ – თურქები. საქართველოს ძლიერების ხანაში ქაშქას ტერიტორიის ჩრდილოეთი რაიონები მის შემადგენლობაში შევიდა. მონღოლთა ბატონობის დასასრულს, ისევ გაძლიერდნენ თურქ-ოსმალები, რომლებმაც ერთი მეორის მიყოლებით მიიტაცეს ძველი ქართული ოლქები, სინოპიდან მოყოლებული, ყარსის ოლქამდე, ჭოროხის ხეობის ჩათვლით.

ასე, თანდათანობით, დროთა ვითარებაში გაჰქრნენ არენიდან ქაშქა-აბეშლაები. მათი ნაწილი, როგორც ჩანს, გაწყდა ამ ბრძოლებში, ზოგი გაითქვიფა მომხვედურებში, ნაწილმა კი თავი შეაფარა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ისტორიული და თანამედროვე საქართველოს რაიონებს. აი, ასეთი იყო ძალიან მოკლე ქაშქების სისხლით დაწერილი ისტორია.

ცნობილია, რომ ქაშქა-აბეშლა უმრავლეს მკვლევართა მიერ მიღებულია, როგორც თანამედროვე აბხაზთა (აფსუები) და ადიღეველთა (ჩერქეზები) წინაპრებად. თუმცა იყო მინიშნებები იმის შესახებ, რომ ისინი არა აფსუათა წინაპრები, არამედ ქართველური ტომები იყვნენ. ჩვენ შევისწავლეთ ქაშქის ტერიტორიაზე ხეთურ და ასურულ წყაროებში დასახელებული ყველა ტოპონიმი (ქვეყნის, ოლქების, ქალაქების სახელები) და ადამიანის საკუთარი, დინასტიური სახელები. აგრეთვე, შეძლებისდაგვარად, შევეხეთ ღვთაებათა და ადამიანის სპეციალობის აღმნიშვნელ ტერმინებსაც.

ამ მიმართებით გამოვიყენეთ ხეთური, ასურული, ურარტული, ბერძნული, რომაული, ბიზანტიური, სომხური, ქართული, თურქული, მოგვიანო ხანის ევროპული წყაროები. გამოვიყენეთ, აგრეთვე, ქართველური (საკუთრივ ქართული, მეგრული, სვანური) ლექსიკონები, ტოპონიმური და ეტიმოლოგიური ლექსიკონები, ძალიან მწირი სამეცნიერო ლიტერატურა, ქართულ სახელ-გვართა ისტორიები და ა.შ.

ქაშქურ ტოპონიმებში, ადამიანის საკუთარ, დინასტიურ, ღვთაებათა და სპეციალობის აღმნიშვნელ სახელებში აშკარად შეინიშნება იგივე სუფიქსები ია, ვა (უა, ბა), შქა (სკა), ცია, ენ, უნ, არ, ერ, აღ, ულ, ელ, ილ, თი, თა, და, ფა, იან, ხა, ქი, მა, შა, რომლებიც ისტორიული ხანიდან დღემდე აწარმოებენ ქართველურ ადამიანის საკუთარ სახელებს, გვარებს (მათ შორის დინასტიურს), ტოპონიმებს, პიდრონიმებს, ორონიმებს, სატომო და ქვეყანათა სახელებს და ა.შ. მათი სემანტიკა იხსნება მხოლოდ და მხოლოდ ქართველური ენების გამოყენებით. ისინი ძირითადად აღნიშნავენ შვილს, მამას, წინაპარს, დინასტიას, მოდგმას, წარმომავლობას, ტომს, ქვეყანას და საერთოდ კუთვნილებას. განსაკუთრებით ხშირია მეგრული სუფიქსები – ვა, ია და ილ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტოპონიმში, ადამიანის საკუთარ და დინასტიურ სახელებში გვხვდება ისეთები, რომლებიც დღეს საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოშია გაგრძელებული. ესენია ფიფია, თურია, თარია, შარია, ფათალია, გახარია, მალია, ფაია, ქუქავა, ხარია, ფაცია, დათილი, დუდუ, ბაია, დადილუ, ციანა, დადა, თუთუ, თათილი, თახანა, მახაუსა, შალი, ფატანა, ქანუ, ქასუ, მუთი, თალი, ვაშა, ლითა და ა.შ.

აქვე გვხვდება ისეთი ტოპონიმები ან სახელები დინასტიური სახელებით (გვარებით), როგორცაა: თულ მალია, თათაშ თურია, თახაშ თურია, ქათ ხარია, თალი ფაცია, ასხარ ფაია, თახან თარია, ქათ ხარია, ცითა ხარია, ვაშა ხარია, ვაშ ხაია, თალ მალია და ა.შ. დღევანდელ საქართველოში მსგავსი სახელებითა და გვარებით არაერთი ადამიანი შეიძლება

მოიძებნოს, უფრო ხშირად კი სამეგრელოში. ია-თი დაბოლოებული გვარები მეგრული სამყაროს კუთვნილებაა. იგი აღნიშნავს შვილს (ვაჟს). მრავალი მსგავსი მაგალითის მოტანა შეიძლება ქაშქა-აბეშლასა და ლაზურ-მეგრული ენების ურთიერთობის დასადგენად.

ფათალია – ტერმინი, შესაძლებელია, სვანური წარმომავლობის სიტყვა იყოს. იგი უნდა შედგებოდეს ფუძისაგან ფათა და ორმაგი სუფიქსისაგან -ალ-ია. ფათა სინონიმია განიერი ქუდისა და ტანისამოსის მოყვარულის [ვ. თოფურია, 2000: 748]. როგორც ჩანს, ფათალიას მოსახლეობა ამგვარი ჩაცმულობის მიმდევარი უნდა ყოფილიყო. ტანისამოსის მიხედვით სხვა არაერთი ხალხის თუ ტომის სახელი წარმომდგარა ქართველურ სამყაროში, მაგალითად, მეღანქლენებისა; მათ ბერძნები ასე იმიტომ ეძახდნენ, რომ შავი ქურთუკის თუ ტანსაცმლის მოყვარულები ყოფილან.

გვაქვს სხვა ვარიანტებიც. ფალთა სვანურ ენაში ნიშნავს თმაგაშლილს, თმაგაჩეჩილს, გრძელბაღნიანს, ბანჯგველიანს. ამ შემთხვევაში ფუძისეული ბოლოკიდური თანხმოვანი ლ გადაადგილებულია ფუძის შუაში, თუმცა ფალთას აქვს ვარიანტი ფათა იმავე მნიშვნელობით. მაგალითისათვის შევადართ ისევ სვანური წარმომავლობის ქვეყნის სახელები, რომელიც შედიოდა დაიაენი-დიაოხში: კაბილუხი და კალბა. პირველი ურარტულ, ხოლო მეორე – ასურულ ლურსმნულ ძეგლებში მოიხსენიება. აღნიშნული ქვეყანა ამავე სახელწოდების ცენტრით მდებარეობდა თურქეთის თანამედროვე ქალაქ კაბადაღის მიდამოებში. იგი იყო უძველესი ქართველური სამეფოს დაიაენი-დიაოხის უკიდურესი სამხრეთი ოლქი [ს. გოგიტიძე, 2006: თავი კაბილუხი].

ქართველურ ენებში (სვანურში) სახელწოდება ფათალიას შეიძლება მოეძებნოს სხვანაირი ახსნაც. ფათუ ნიშნავს თმას [ვ. თოფურია, 2000: 748]. ფანთალ – ტოტებგაშლილ (ხეს) [ვ. თოფურია, 2000: 749]. შეიძლება ეს ნახევრად ველური ტომები ქაშქები გრძელ თმებს ატარებდნენ, ან რაღაც ამგვარი თვისებებით ხასიათდებოდნენ, რის გამოც მათ ქვეყანას,

ოლქს, ქალაქს ასე ეწოდა, ან სადაც დასახლება გაჩნდა, იქ არსებული ტოტემგაშლილი ხის გამო ეწოდა ფანთალია. იასუფიქსი, როგორც ცნობილია, დღესაც აწარმოებს ქართველურ (მეგრულ) ტოპონიმებსა და გვარსახელებს. შესაძლებელია, თავდაპირველი ფანთალია ფათალიადან მომდინარეობდეს და ნ ფორმანტი შემდეგ შეზრდილი იყოს. ასე მაგალითად: კიტრი – კინტრი, ეგური – ენგური, ოძრხე – უნძრხე და სხვა.

ტერმინ ფათალიას ახსნა მეგრულ ენაშიც მოეძებნება. იქნებ საკვლევი ტერმინი ფართალიას უკავშირდებოდეს, რომლის მნიშვნელობაა ბრტყელი ან ცომის გასაბრტყელებელი ხელსაწყო [ო. ქაჯაია, 2002: 84], ან ფატ – ფეტვი [იქვე, 89], ფატალა – დაჩეხილი მატყელი [იქვე]. ასევე სარწმუნოდ გვეჩვენება სხვა მეგრული სიტყვა თართალია, რომელიც “ფუს-ფუსს, ფაცაფუცს” აღნიშნავს [ო. ქაჯაია, 2002: 37].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და ნაწარმოებებში შემონახულ სხვადასხვა მოცულობისა და დანიშნულების ნაკვების სახელებს შორისაა ფათალია ნავი [ზ. კუტაღეიშვილი, 1991: 108].

რაც შეეხება ორმაგ სუფიქსებს. ძველადმოსავლურ ხანაში მრავალი ქართველური ქვეყნის, ტომის თუ დასახლებული პუნქტის სახელი წარმოებულია მსგავსი სუფიქსებით, მაგალითად, აღ-ულ-ილ-ით: ხუშ-აღ-ხი, აშკ-აღ-აში, ხაღ-დი-რი-ულ-ხი, კულ-ხა-ხა-აღ-ი, კოღ-ხ-ეთ-ი და მრავალი სხვა [ს. გოგიტიძე, 2006; მისივე, 2002: 15-20]. ია სუფიქსი ამჟამად აწარმოებს მეგრული წარმომავლობის გვარებსა და ტოპონიმებს. ძველი მცირეაზიული ტომის სახელი კაშია ზუსტი ანალოგიაა თანამედროვე მეგრული გვარისა კაშია, რომელშიც აგრეთვე ია სუფიქსი გამოიყოფა (შეადარეთ: შენგელია, შონია, სახოკია, შარია, ბერია და ა.შ.). ხეთურ წყაროებში დადასტურებული ტოპონიმები თულმალია, თარია, შარია, ციხარია, ელურია და სხვები სუფიქსადღური წარმოების მხრივ პროტოტიპები არიან საკვლევი ტერმინის – ფათალია-სი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ლექსიკაში

მრავლად მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომლებიც გვაგვარაუდებინებენ ტერმინ ფათალიას მათგან წარმომავლობას. ესენია: ფშაგ-ხევსურულ-მოსხვეურ-მთიულურ-თიანეთურ ქართულ დიალექტებში დადასტურებული ფათალა – სურო, ხვართქლა; ფათარი – ბრტყელფოთლიანი მცენარეა (ბალახი), ოროვანდი; ფათილე – საჯჯე გამომცხვარი მეცხვარის პური; ფათლახი (ქსნის ხეობა) – უსუფთაო ადამიანი, ფათლახი (თუშურში) – მძიმე ადამიანი, საქონელი; ფოთ – ჩქარი, ფიცხი და სხვა [ქართულ ... 1884: 532, 546].

ძველი საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება ფათ ძირიანი ტოპონიმები, მაგალითად ჭანეთში – ფათხია [ი. სიხარულიძე, 1979: 53], საქართველოს ტაშირის ხეობაში აღწერილია ტოპონიმი ფათალას სოფელი [ი. ბაგრატიონი, 1986: 55].

საქართველოში გავრცელებულია აგრეთვე ამავე ძირიანი სახელ-გვარები: ფათალიშვილი, ფატლაძე, ფართლიძე, ფატარიძე, ფარფალია, ფანთია, ფათალა, ფათალი, ფატიმა, ფათანი, ფატმა, ფატმანი, ფათანი და ა.შ. რაც მთავარია ჩვენში გავრცელებულია ადამიანის საკუთარი სახელი ფათალი, ფათალა, ფაფალა და გვარი ფათალია, ფათალიშვილი, ფართლაძე, ფართლაძე, ფატლაძე და ა.შ. [პ. ცხადაია, 2007: 79, 106, 314; ი. ახუაშვილი, 2002: 766-767; ი. მაისურაძე, 1981: 165].

ქაშქების ტერიტორიის სიახლოვეს ამავე სახელწოდების ტოპონიმს ადასტურებს არაერთი მოგვიანო ხანის მკვლევარი. ი. ბექირიშვილი წერს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში რიხეს მხარის სოფლები აღწერა ი. ყიფშიძემ და გამოაქვეყნა ნაშრომი “ჭანეთში მოგზაურობის” სახელწოდებით. მასში მოხსენიებულია სოფელი ფატლა (იგივე ფატ(ა)-ლა, ფატალ-ია – ს. გ.). ამ სოფლიდან არიან ჭანი ფატოლდები, ე. ი. ფატოშვილები, უფრო ზუსტად ფატლაძეები [ი. ბექირიშვილი, 1996: 176]. ვახუშტიც მოიხსენიებს სოფელ ფატალას; ამასთან დაკავშირებით გ. ჟორდანიას წერს, რომ უძველეს ნუზის ტექსტებში არის საკუთარი სახელები: ფართალა, ფათა, ბადა, ფათალი, ფათა-თაში. აღნიშნულ ძეგლში მოხსენიებული მამაკაცის სახელი – ფათალი-ფათალა, მისივე შენიშენით, გად-

მოსულა ქართულ ნიადაგზე, რაც ძველად იხმარებოდა საკუთარ სახელად [გ. ჟორდანიას, 1956: 177-178].

ამრიგად, საკვლევი ტერმინი – ფათალია – მეგრული წარმომავლობისაა. სამეგრელოს წერილობით ძეგლებში დადასტურებულია ადამიანის საკუთარი სახელი ფათალი და გვარი ფათალია.

თახაშთურია-თაქაშთურია – ქართველურ ენაში (მეგრულში) თახაშ სამშაბათია, თუირ-ორთქლი, ნათავედი [გ. თოფურია, 2000: 263]. როგორც ჩანს, ამ ტოპონიმის სახელი ღვთაების სახელიდანაა ნაწარმოები. ივ. ჯავახიშივილის გადმოცემით, მნათობ-ღვთაების სახელი, რომლისთვისაც სამშაბათი წარმართულ ეპოქაში იყო განსაკუთრებული, მეგრულად თახაშხა, სვანურად თახაში იწოდებოდა. საფიქრებელია, რომ თახა არიას, ანუ მარსის სახელი უნდა იყოს და ქართველურ ტომებში ომიანობის ღვთაებად უნდა ყოფილიყო მიჩნეული [ივ. ჯავახიშივილი, 1979: 173-175].

მაშასადამე, თახაშ სვანურში ღვთაების სახელი ყოფილა. საერთო ტერმინი აღნიშნავს ღვთაება თახაშისადმი კუთვნილ თაფლს, ნათავედს, ან ორთქლს.

ტერმინის მეორე ნაწილი, თურია ჩნდება ქართულ გვარებში, მაგალითად, თურმანიძე, თურმანაული, თურმანიშვილი, თურქანაისძე, ადამიანის ქართული საკუთარი სახელია თურმანი. თური ძველი სვანური ადამიანის საკუთარი სახელია, რომელიც წერილობით ძეგლებში დასტურდება, არის აგრეთვე ბაღვათურ, სიქუთურ, ბაღათურა [სვანეთის ... 1988: 505, 513, 537]. ხეთურ წყაროებში მოგვეპოვება მსგავსი ფუძიანი ან გაფორმებული ქაშქური ტოპონიმები: თახანთარია, თათაშთურია, ტახანტაპტიპა, თახანა და ა.შ. [ვრ. გიორგაძე, 2000; მისივე, 1991; ი. ტატიშვილი, 2007: 14-27].

საკვლევ ტერმინში თურ-ი უფრო მეგრულია და ნიშნავს მოგვარე, სისხლით ნათესავი, ტომის, მოდგმის წარმომადგენელი. მაგალითად თურკათა=მოგვარე, ნათესავი ხალხი [ო. ქაჯაია, 2002: 67]. ზუსტად ამის გამოა, რომ მეგრულში

არსებობს დამოუკიდებლად, ცალკე როგორც სახელი, ისე გვარი – თურ, თურია.

ქაშქური სახელი თახაშთურია ზუსტად იგივეა, რაც ქართული თახაშვილი (თახაშ+შვილი), თახაშის შვილი, შთამომავლობა, თახაშის ნათესავი. იქნებ თაქა, თაყას გადმოცემა იყოს. როგორც ცნობილია, ყ-ბგერა მსოფლიოს ენებში თითქმის არ გვხვდება. საქართველოში ასევე გავრცელებულია თახა || თაყა-თა(რ)ხანი || თარხანა.

ურარტუს დედაქალაქის თუშვას ასურულ სახელში – თურუშვა – შეიძლება გამოიყოს ძირი თურ, ეტყობა – მსგავსი სახელითაა ნაწარმოები სხვა ქართველური სამყაროს შემადგენელი ნაწილები ეტრუსკი (ეტურსკი), ტროა (ტორა-თორია-თურია) და სხვა მრავალი. ეს რომ ასეა, ნაწილობრივ ადასტურებს ურარტუს მსოფლიოში არსებული მსგავსი ტერმინები: ქვეყანა ტურუკი, დასახლება მუტურნა, მთა ტურაბ-ღინი და ა.შ.

სხვათა აზრით, ეს სახელი აიხსნება, როგორც თათაშთურია და გვეუბნება, თაქას გვარისა არისო. შევადაროთ დღეს საქართველოში არსებული მეგრული წარმოშობის გვარები: თურია, ბაღათურია, ჭანტურია (ჭანთურია) და სხვა [ჯურნ., აია, 18-26; ს. ბაღა, 2006: 299].

ამრიგად, ქაშქური ტერმინი თახაშთურია კომპოზიტიცაა, შედგება ორი ნაწილისაგან – თახაშ და თურია. პირველი ნაწილი საკუთარი სახელია, ხოლო მეორე გვარი, მეგვარის, სისხლით ნათესავის მნიშვნელობით.

ხუმინთეშქა – აღნიშნული ტოპონიმის სემანტიკაც ქართველურ ენებში იძებნება. როგორც ჩანს, იგი კომპოზიტური სახელია და შედგება ორი ელემენტისაგან – ხუმინ და თეშქა. მისი პირველი ნაწილი ხუმინ შეიძლება წარმოშობილი იყოს მეგრული და სვანური ღუმირ-იდან, რაც ნაძვს აღნიშნავს, ხოლო თეშქა-დიშქა – შეშას [ო. ქაჯაია, 2001: 477]. ტოპონიმის სახელი შეიძლება წარმომდგარი იყოს იმ ნაძვის შეშისაგან, რომელიც თავმოყრილი ყოფილა დასახლების გაჩენის ადგილას. ასეთივე წარმოების ტოპონიმი ღუმურიში,

აფხაზეთის ტერიტორიაზეც გვხვდება, რომელიც სვანებისა და მეგრელების უძველესი საბინადროა.

მეგრულ ენაში საკვლევ ტერმინს მოეპოვება სხვა ასხნე-ბიც, მაგალითად, ხუმინ ნიშნავს ხმაურს [გ. ელიავა, 1997: 390], გუმინ-ღუმინი – სიღრმეში ყრუ ხმაური, შრიალი [ო. ქაჯაია, 2001: 412], ღუმინ-ღმუილი, ღრიალი, ხმაურია [ო. ქაჯაია, 2002: 196]. ქუმინ-ხმაური, ქუსილი, ღუმუ-ღომი [ო. ქაჯაია, 2002: 157, 197], თხუმინ – ცხვირში ლაპარაკი, დუღღინი [ო. ქაჯაია, 2002: 80]. ხოლო თეშქა-თიშქა ნიშნავს – იმას შუა. აქედან გამომდინარე, ტოპონიმის მეორენაირი ასხნა შეიძლება იყოს „ხმაური, ღრიალი იმას შუა“, ე.ი. ადგილი, სადაც მოხდა „იმას შუა ხმაური“. ან იმის გათვალისწინებით, რომ მეგრულში თი – სახლია, ტოპონიმის შინაარსი შეიძლება გავიგოთ, როგორც ხმაურიანი სახლი, ან ხმაურიანი სახლი მისი კუთვნილებათ.

მეორე ნაწილი თიშქა შეიძლება აიხსნას, როგორც თიმ მეგრულია და ქართულად ნიშნავს – მისი, შ – კუთვნილებითი სუფიქსია, ქა მეგრულში შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც რქა, ქა-ქიანა, ქაანა-ქვეყანა, მხარე [ო. ქაჯაია, 2002: 123].

ქართული ენის დიალექტებში, მაგალითად თუშურში, გვაქვს სიტყვა ხამინ, რაც დახამინებას აღნიშნავს [ქართულ... 767]. ასე რომ, ხუმინ თიშქას შინაარსი მრავალნაირად შეიძლება იქნას გაგებული.

მსგავსი ტოპონიმები ქაშქების ქვეყანაში ხეთური წყაროების მიხედვით ყოფილა ციანთიშქა, რაც ციანას შემას ნიშნავს. არის ასეთიც–თათიშქა. დღევანდელ საქართველოში არის ხუმინის მსგავსი ტოპონიმები: ხუმენი, ხუმუშკარი, ხუმეშქური, ხუმენი საზოგადო სიტყვაა: “ხუმენი ფარონზე მაღალი და დაბურული ტყეა. ხუმუ სამეგრელოში გავრცელებული სახელიც ყოფილა [პ. ცხადაია, 2003: 239, 313, 314]. აქედან გამომდინარე, ტოპონიმის სემანტიკა იქნება “ხუმუს შემა” ან “დაბურულ ტყეში შემა.” თუმცა ხუმ მეგრულად დალოცვას აღნიშნავს, ხოლო თიშქა || თეშქა შემას. შესაძლებე-

ღია ტოპონიმის შინაარსი იყოს დალოცვილი (ღვთაებრივი) შეშა ხე. თუმცა ხუმ ამავე ენაში გამხმარსაც აღნიშნავს (გამხმარი შეშა), ხოლო ხვამი მოტაცებულს. შესაძლებელია საკვლევი ტერმინი ნიშნავდეს – ხუმუს შეშა ან დახურული ტყე, შეშა და ა.შ.

ღუღუშკა (დაღუსკა) – ეს ქალაქი მეზობელ ქალაქ ხალილასთან ერთად იყო ქაშქების ქვეყნის მთავარი რაიონი [Я. Манандян, 1956: 118]. ღუღუშკა, ანუ დაღუსკა ერთი შეხედვით თითქოს ადვილად ამოსაცნობია. ღუდი მეგრულში თავს ნიშნავს, სემანტიკურად მაღალ ადგილს, შქა – შუას, შქას – შუა ადგილს [ო. ქაჯაია, 2002: 263]. ე.ი. დასახლება, რომელიც რაღაცის მიმართ “შუა, მაღალ ადგილზე იმყოფება.” შეიძლება ტოპონიმი მეგრული დიდასკა-დან მომდინარეობდეს, რომელიც დედა ფუტკარს აღნიშნავს [ო. ქაჯაია, 2001: 461]. სხვათა შორის, იმავე ხეთურ წყაროებში ადამიანის საკუთარი სახელად გვხვდება dudushija (ღუღუშხიალა, დოდოსქიალა?), ღუღუ [Gr. Гиоргдзе, 1991: 89, 130].

სვანეთის წერილობით ძეგლებში ადამიანის საკუთარ სახელად, მითითებულია თუღუ, თუთალა, თუთარუყი, თუთაი, თუთარუ, თუთი, თუთრუა [სვანეთის ... 512]. ტბეთის სულთა მატრიანეში დადასტურებულია თუთა, თოთო (სძე) [ტბეთის ... 146]. საკვლევ ტერმინში თუკი თოთო იგულისხმება; ასეთ შემთხვევაში თოთო ქართული სიტყვაა და ნიშნავს ახალნერგს, ნორჩს. საქართველოში ასევე გავრცელებულ პირსახელად ითვლება უთუ, დუტა, უთი. სოფელ კობალაურის სათეს ადგილას უთიყანა (უთის ყანა) ჰქვია [ი. სიხარულიძე, 1959: 59].

გვინდა შემოგთავაზოთ ამ სიტყვის (ღუღუშკა თუ თუთუშქა) კიდევ ერთი ახსნა. ამ ვარიანტით სახელის პირველი ნაწილი ადამიანის საკუთარი სახელია, ხოლო მეორე კი მეგრულ სკუას-შვილს უნდა შეეფარდებოდეს. მეგრული გვარია პაპასკუა, ე.ი. პაპასშვილი. თუკი საკვლევ ტერმინს ამგვარად გავიაზრებთ, მაშინ მისი შინაარსი იქნება ღუღუს თუ თუთუს

შვილი, შთამომავლობა. თუთუს სემანტიკა შეიძლება დაკავშირებული იყოს თუთასთან, თოთოსთან, მთვარესთან.

სხვათა აზრით, ტერმინი დუდუშკა თავისი დაბოლოებით სიახლოვეს ამუღავნებს ხური-ურარტუს სამყაროსთან [გ. მელიქიშვილი, 1999: 91]. გრ. გიორგაძე და ს. ბადა მას მიიჩნევენ მეგრულ სახელწოდებად. მათი აზრით, იგი უნდა დაიყოს დუ, დუ და შქა-დ. დუ ქართულად იქნება იყო, რომელიც სიტყვაში ორჯერ მეორდება. შქა – ქართულად არის შუა. საბოლოოდ მივიღებთ: „იყო, იყო შუა“ ამ სახელწოდების ახსნის მეორე ვარიანტიც არის. პირველი სიტყვა დუდუ ნიშნავს თავს, ხოლო მეორე შქა – შუას. ამის მიხედვით მივიღებთ შემდეგ შინაარსს: “თავის შუა,” ე. ი. ეს ადგილი მდებარეობდა ქვეყნის შუა თავში. მათივე აზრით, ამ სახელის ორივე ახსნა ნათელყოფს, რომ ტერმინი ლაზურ-მეგრული წარმოშობისაა [ყურნ., აია, 18-26; ს. ბადა, 2006: 302].

ამრიგად, ტოპონიმის სემანტიკა იქნება დუდუს თუ დადუს შვილები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, II, თბ., 2002.
2. ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძისა და გ. ბელოშვილის გამოცემა, თბ., 1986.
3. ს. ბადა, ლაზ-მეგრელთა ისტორია, თბ., 2006.
4. ი. ბექირიშვილი, ასი აჭარული გვარსახელი, ბათ., 1996.
5. გრ. გიორგაძე, ხეთური და ასურული ლურსმნული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000;
6. ს. გოგიტიძე, დაიაენი-დიაოხი. ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის, ბათ., 2006.
7. ს. გოგიტიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ. წ. XII-IV სს.), ბათ., 2002.

8. ს. გოგიტიძე, დიაოხის შემადგენელი ოლქების ლოკალიზაციისათვის, – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, II, ბათ., 2002.

9. გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

10. ვ. თოფურია, მ. ქაღდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

11. ზ. კუტაღიშვილი, ქართული სანაოსნო საშუალებები, კრებ. აია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991.

12. ი. მაისურაძე, ქართული გვარ-სახელები, თბ., 1981.

13. გ. მელიქიშვილი, ძიებანი საქართველოს კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1998.

14. გ. ურდანიას, მეხურეღნი, თბ., 1956.

15. უურნ. აია, 1999, №7.

16. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ეპიგრაფიული ძეგლები, გამოსცა ვ. სილოგავამ, თბ., 1988.

17. ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონომიკა, II, ბათ., 1959.

18. ი. სიხარულიძე, ჭანეთი, II, ბათ., 1979.

19. ი. ტატიშვილი, ხეთები ქაშქების შესახებ. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, II, ბათ., 2007.

20. ტბეთის სულთა მატინანე, გამოსცა თ. ენუქიძემ, თბ., 1977.

21. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

22. ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 2001.

23. ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 2002.

24. ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბ., 2002.

25. პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003.

26. პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი, თბ., 2007.

27. ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. I, თბ., 1979.

28. Гиоргадзе Гр., Вопросы общественного строя хеттов, Тб., 1991.

29. Гогитидзе С., локализация стран. Даиаэн-диаоха, - მოამბე VI (ამირანი) მონრეალი-თბ., 2002.

30. Манандян Я. А., О некоторых спорных проблемах истории и географии древней Армении, Ер., 1956.

Simon Gogitidze

Is Qashqa-Abeshla part of Abkhazian or Georgian world?

Summary

In this work are discussed ca. 170 names of countries, regions, cities, humans, etc. and researched semantic and etymology of these.

On our view, all of them connected with Georgian world. Most part to Mengrelo-Lazian world and lesser to Kartvelian and Svanian. Concerning to Abkhazian, this phenomena connected to the northern Caucasus and has not direct links with south Caucasus and Asia Minor.

It is well known that Kashka tribes were living in the South-Eastern part of Black sea coast. The scientists are connecting this term with the name of Kosogi (Circassians) tribe and some scientists are supposing that they were the ancestors of Apsuas (nowadays Abkhazians). On account of our point of view Kashka tribe are not in any relation with Apsuas and Kosogi (Circassians). In contrary they were of Kartvelian origin.

Termin Kashka is connected with Kartvelian (Megrelian) personal names, surnames, toponymies and the words. It is possible to divide this word into two or three parts: Ka-shka or Ka-sh-ka. Ka-denotes the personal name of a person, Shka-shka-shkua-son, Sh-the suffix of belonging and the Ka (ki, Kha)-country, people. The content of this termin will be the next- Ka-sons or the country belonging to Ka. It is possible to connect this word Kashka with the Khattian deity by the name Kashka, Kartvelian word Kashkasha(bright) which sometimes is fixed in such form in the literature.

It is well known that the Abeshla (Kashka) tribes were living in the South- Eastern of Black sea coast. The scientists are connecting this term with the name of Apshil's tribe and are supposing that they were the ancestors of Apsuas (nowadays Abkhazians). On account of our point of view Abeshla tribe and Apsils are not in any relation Phatana, Tsiana, Dada, Thuthu, Qanu, Qasu, Thakhani, Muthi, Phiphia, Sharia, Thuria, Tharia, Quqava, Phasava, Gakharia, Kharia, Phatsia, Phaia, Litha, Nunu, Thali, Vasha, etc. had exact parallels in Georgian sources and modernity:

Thakhash Thuria, Thathash Thuriawith Apsuas. In contrary they were of Kartvelian origin. Term Abeshla are connected with Georgian names, surnames and toponymy. Here we can separate the prefix “A”- and suffix “La”, which are Georgian word-building affixes. The root of the word Abes-Abesh-Afesh-Afsh can be connected with Mingrelian word “Abes”, with the meaning “story”, The term “Abeshla” can be explained by the other Georgian words, for example,- “The sons of Aba.” If the name “A” is the prefix, then it must be connected with Georgian word Psha, that means the water running near the river or mingrelian word Psila - that means the sand and so on.

3,500-3 000 old toponyms and anthroponyms: Tibia, Phithauria, Thathalia, , Thakhan Tharia, Tsitha Kharia, Qathi Kharia, Vasha Kharia, Vash Kharia, Askhar Phaia, Thul (Thal) Malia, etc.

Симон Гогитидзе

Этническое принадлежность Кашка-абешла

Резюме

Известно, что племена Кашки проживали в глубине юго-восточного Причерноморья. Исследователи этот факт связывают с названием племени Косогы (Черкесы) и считают Апсуа адыгейским племенем. По нашему мнению Кашки не имели никакой связи с северо-западными народами и в том числе с апсуйцами (т.е. с современными абхазами). Напротив, они были грузинского (мегрельского) происхождения. Эта точка зрения поддерживается хеттскими источниками упомянутых личных имен и топонимов, которые на сегодняшний день являются фамилиями, личными именами, а иногда топонимами мегрелов. Напр. Малия, Хария Тулия,

Фация, Фаия, Тария, Хаия, Фамалия, Шария, Гахария, Кукава, Фифия, Тали, Дада, Ками, Мути и др.

Термин Кашка имеет связь с грузинскими (скорее всего с мегрельскими) личными именами, фамилиями, топонимами и словами. Его можно разделить на две или три части: Ка-шка или Каш-ка. Ка является личным именем, шка-шкау-сыном, ш суффиксом принадлежности, а ка (qí, xí) – страна, люди. Так что этот термин означает : сыновья ка или страна принадлежащая Ка. Может быть название Кашка связано с хаттским лунным божеством Кашку. Сравните с грузинским словом кашкаша (сияние звезды). Иногда в источниках встречается и в такой форме.

Известно что племена Абешла (Кашка) проживали в Юго-Восточном Причерноморье. Исследователи этот факт связывают с названием племени апшилов и считают предками Апсуйцев (современные Абхазцы). По нашему мнению Абешла и Апсилы не имели никакой связи с Апсуйцами, напротив, они были Картвельско-го происхождения.

Термин Абешла имеет связь с грузинскими личными именами, фамилиями и топонимами. Здесь можно выделить префикс «А» и суффикс «ЛА», которые считаются грузинскими словообразовательными аффиксами. Корень слове Абес-Абеш Афеш-Афш можно связать с мингрельским словом Абес, который означает событие. Термин Абешла можно объяснить и другими грузинскими словами, например: «Сыновья Аба». Если в названии «А» является префиксом, то он, должно быть, связан с грузинским словом Фша - которое означает воду, протекающую вблизи реки, или с мингрельскими словами Фсила-песок и другое.

Топонимы и антропонимы, которые у кашков были около 3,5-3 тысячи лет тому назад (Тибия, Питаурия, Фаталия, Фатана, Циана, Дада, Туту, Дадилу, Татили, Касу, Кану, Тахани, Мути, Фифия, Шария, Турия, Тария, Кукава, Фасава, Гахария, Хария, Фация, Фаия, Лита, Нуну, Тали, Ваша и др.) находят подтверждение в грузинских исторических источниках и в нынешней Грузии точно в таких же формах. В Грузии, скорее всего в Самегрело (Мингрелия), можно

встретить людей с такими же именами и фамилиями, например: Тахаш-турия, Таташ-турия, Тахан-тария, Цита-хария, Кати-хария, Ваш-хария, Ваш-хаия, Асхар-фаия, Тул(Тал)-малия и т.д. Семантику всех перечисленных слов можно объяснить на грузинском, вернее, на мегрельском языке. В этих названиях выделенные суффиксы (шка, лия, ия, ва, ция, эн, эл, фа, иян, ха, ки, ша) особенно характеризует мегрело-лазскойой, в частности, грузинский (картвелский) и сванский языки. Приведем нескольких примеров.

Фаталия в грузинских диалектах означает фатали _ плюш, хვაгTqla. В Мегрелии есть собственное имя человека – Фатала, Фатали, а Фаталия – фамилия. В Грузии есть село с названием Фатала, а так же есть и фамилие – Фаталишвили (сын Фаталии), Фатладзе.

Кашский топоним Тахаштурия есть тоже самое, что и грузинское (мегрельское) Тахаш (собственное имя), Турия (фамилия). Слово Турия в мегрельском означает фамилию, однофамильца, а Таха было именем божества в древней Грузии.

Название топонима Хуминтешка состоит из двух частей – Хумин и Тешка. В сванском и мегрельском хумин есть ель, а в мегрельском – дрова. В Грузии есть и такие же топонимы – Хумени, Хумушкари, Хумешкури и другие. Слово хумени означает высокий, густой лес.

Название города Дудушка (Дадушка) в мегрельском должно означать сыновья Дуду. В Грузии есть собственное имя человека Дуду, Туду, а шка (шкуа) по мегрельский – сын, сыновья. Сравните мегрельскую фамилию Папаскуа (сын папа). Семантически Дуду, Туду, Туга связаны с именем луны.

ქართული რელიგიურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური გავლენის გაძლიერება სომხეთზე XI-XV საუკუნეებში

ქართველ-სომეხთა ურთიერთობები XI-XV საუკუნეებში განსაზღვრული იყო იმ ტენდენციებით, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა IX-X საუკუნეებიდან და რომლებიც ხშირად რელიგიურ საბურველში იყო გახვეული.

ნიკო მარის დაკვირვებით, ანტიქალკედონიტობა და ქალკედონიტობა (ე.ი. ქართული მართმადიდებლობა – ვ.შ) სომხეთში ერთმანეთს პირისპირ იდგა, როგორც ორი, მეტ-ნაკლებად თანაბარი მებრძოლი მხარე, მაგრამ IX საუკუნის დასაწყისიდან ამ თანაფარდობაში კრიტიკული მომენტი დადგა, როცა ქალკედონიზმი სომხეთში იმდენად მომძლავრდა, რომ გაბატონებაც კი სცადა [გ. მაისურაძე, 1982: 182]. საქართველოდან და ალბანეთიდან ამ პროქართულმა რელიგიამ ქართული ენითა და მღვდელმსახურებით სივნიეთშიც შეაღწია, სადაც მისი გავლენის კვალი XIV საუკუნეებშიც კი იგრძნობოდა ლიტერატურულ ძეგლებსა და სომეხთა ყოფაცხოვრებაში. ამ გავლენის ზრდის გამოხატულება იყო ისიც, რომ სომეხთა კათალიკოსი ვაჰანი X საუკუნეში ქართული ხატების დანერგვას იწყებს სომხურ ეკლესიებში, რის გამოც იგი ბოლოს კარგავს კათალიკოსობას და იძულებით ვასპურაკანში მიდის. ნიკო მარმა ისიც კარგად შეამჩნია, რომ სომეხი ქალკედონიტი ბერძნობას (ბიზანტიელობას) კი არ ჩემულობს, არამედ ქართველობას. ამასთან, სომხეთში არსებული ქალკედონიტური ეპარქიები ძირითადად სომხური მოსახლეობისგან შედგებოდა.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იმის უდავო მოწმობაა, რომ ქართული ფეოდალური ურთიერთობა თავისი

ხასიათითა და თავისებურებებით, რომლის იდეოლოგიურ იარაღსაც გაინდივიდუალებული ქრისტიანობა (ქალკედონიტობა) წარმოადგენდა, სომხურ სამყაროსა და სომხეთში იჭრებოდა თანდათანობით და მშვიდობიანად. ეს ტენდენცია კიდევ უფრო აშკარად იჩენს თავს მოგვიანებით, როცა სომეხი ფეოდალური საზოგადოება ქართული სტილითა და ქართული წარწერებით ეკლესიებს აშენებს სომხეთში, ქალკედონიტური საეპისკოსოები არსდება კარში, ვალაშკერტში, ანისში და სხვ. როგორც სავსებით სწორად შენიშნავს ნიკო ბერძენიშვილი, ადგილობრივი სომეხი ფეოდალური საზოგადოება ამ ნიშნით ქართველობას იხემადა [ნ. ბერძენიშვილი, 1974: 91].

კავკასიის გასაერთიანებლად დაწყებული ქართულ-სომხური მცდელობა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. მაშინ, როცა სომხეთის სახელმწიფოებრიობა გაუქმდა, ქართველებმა მოახერხეს ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა და სომხებზე გავლენის მოპოვება. სომხეთი XI საუკუნის მეორე ნახევრიდან საბოლოოდ გამოეთიშა ამ დიდ ბრძოლას და ამიერკავკასიამ თანდათანობით “საქართველოდ” იწყო გაერთიანება. ნიკო მარი მიუთითებდა, რომ XII საუკუნეში სომხური არისტოკრატია უკვე სრული დენაციონალიზაციის უკანასკნელ საფეხურებზე იდგა და თავის ნაციონალიზმს, როგორც ჩანს, ის მხოლოდ სომხური ეკლესიისადმი ოფიციალური კუთვნილებით ამოწურავდა [გ.მაისურაძე, 1982: 86]. ამასვე ადასტურებს თავად სომეხი აკადემიკოსი ი.ორბელი, რომლის აზრით, “კლასობრივი ნიშნები, არცთუ იშვიათად, ემთხვეოდნენ რა კონფესიურს, სომხურ არისტოკრაციას, ყოველ შემთხვევაში მის მნიშვნელოვან ნაწილს, ნაციონალური პოზიციების მიღმა უბიძგებდნენ” [Орбели И. А., 1968: 383].

ნ.მარიც და ი.ორბელიც ფაქტობრივად აღნიშნავდნენ ქართული საერო ლიტერატურისა და, კერძოდ, შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსნის” დიდ გავლენას მათ თანადროულ სომხურ ხელოვნებაზე, როცა ისინი იქ შესაბამის მხატვრულ

ფორმებსა და მიმართულებებს ამჩნევდნენ (იქვე). ხელოვნების ისტორიის დიდი სპეციალისტის, აკადემიკოსის გიორგი ჩუბინაშვილის აზრითაც, ქართული ფეოდალური კულტურის ეს გავლენა სომხურ ხელოვნებაზე აღნიშნული პერიოდისთვის აშკარა და თვალსაჩინო იყო: “როგორც კი ხელს ვკიდებთ საკითხს სომხეთის საეკლესიო მხატვრობის შესახებ, ჩვენ ძალაუნებურად ვეხებით საქართველოს გავლენას სომხეთის ხელოვნებაზე XII-XIII საუკუნეების საქართველოსთან პოლიტიკური და მასთან დაკავშირებული კულტურული შერწყმის დროს” [Чубинашвили Г. Н., 1967: 8]. ამავე პერიოდში სომხეთში სწრაფად ვრცელდება ქართული ენაც, რისი დამადასტურებელია სომხეთის მდიდარი ქართული ეპიგრაფიკა (ნაწერები). პირველი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები სომხეთის ტერიტორიაზე 1020-იან წლებში ჩნდება და შემდეგ თანდათან მრავლდება ქართული სახელმწიფოებრიობის სომხეთში შეღწევის კვალობაზე. XII საუკუნის ბოლოს მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად მატულობს, XIII საუკუნის დასაწყისში კი - განსაკუთრებით [გ.მაისურაძე 1982: 87]. წარწერათა ავტორები ქართველ ხელისუფალთა გარდა არიან სხვადასხვა რანგის ადგილობრივი მმართველები, ქალკედონიტური მრევლი და ზოგჯერ მონოფიზიტური (გრიგონიალური) სარწმუნოების მიმდევარნიც. განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ აბუ საიდის სპარსულად ამოკვეთილ ბრძანებას ანისში (1330წ) დართული აქვს მინაწერი სომხურ და ქართულ ენებზე (ვზარტოლდი). ქართული წარწერების დიდი რაოდენობა ადასტურებს იმ უეჭველ ფაქტს, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა თუ არა, მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც იცნობდა მათთვის საჭირო ქართულ ენას (ასეთი წარწერებია ანისში, კოშში, თეჟა-რუიქში, ქობაირში, კოლიბში, პლინძაჰანქში, ყარსში და სხვაგან). ქართული ენის მცოდნე მოსახლეობიდან უმრავლესობას მაინც სომეხი ქრისტიანი ქალკედონიტები შეადგენდნენ, რომელთათვის ეს ენა კონფესიური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება იყო. მონოფიზიტებიდან ქართული ენას, როგორც სახელ-

მწიფო ენას, ხშირად იყენებდნენ მმართველობის ყველა რგოლის წარმომადგენლები. აბუ საიდის წარწერაც ადასტურებს, რომ ქართულ ენას XIV საუკუნეშიც კი, 1330 წლისთვის, შეუნარჩუნებია ოფიციალური ენის მნიშვნელობა, რის გამოც, უეჭველია, საჭიროდ ჩაუთვლიათ სპარსულ ენაზე შედგენილი ბრძანებისათვის სომხურთან ერთად ქართული წარწერა გაეკეთებინათ. ამასთან ერთად, ქართულ ენას სომხეთში იმხანად ზოგადი კულტურის მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა. ამაზე მიუთითებს სომეხი მონოფიზიტი დიდი ფეოდალის საჰმადინის მიერ შესრულებული ქართული წარწერა ანისში, რომელიც არა იძულებით, არამედ თავისი სურვილითაა შესრულებული. ამით საჰმადინი თავის დამოკიდებულებას ავლენდა მაღალკულტურული ქართული ენისადმი. საჰმადინის მაგალითი გამონაკლისი არ არის და ისტორია სხვა მსგავს ფაქტებსაც იცნობს [Мурадян П. М., 1979: 97].

ფეოდალური განვითარების ამ ეტაპზე, როგორც ეს შესანიშნავად გააანალიზა აკად. ნიკო ბერძენიშვილმა, “საქართველო” და “ქართველი” კრებით სახელებად იქცნენ და საკუთრივ ქართველობისა და მათი ქვეყნის გარდა, ახალი პოლიტიკურ-კულტურული გაერთიანების – კავკასიური ფეოდალური სამყაროსა და მისი წევრების აღმნიშვნელები გახდნენ. ქართული მატიანის “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”-ს ავტორის წარმოდგენით, ეს სამყარო “ნიკოფსიიდან (ტუაფსე) დარუბანდამდე “ ვრცელდებოდა, “სადაც სპანი საქართველოსი იკრიბებიან”. ასევე ვრცელ ქვეყნად წარმოადგენენ საქართველოს სომეხი და უცხოელი ავტორებიც, ამ ავტორთა მონაცემების გაანალიზების საფუძველზე აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ასკვნის: “საქართველო ჩვენი ავტორის წარმოდგენით მრავალეროვანი ქვეყანაა, მაგრამ ის მაინც ერთიანი ქვეყანაა, საქართველოა, სადაც ქართველთა ნათესავი არის განმსაზღვრელი ძალა” [ნ. ბერძენიშვილი, 1975:295].

ამ დაცულ გარემოში, როცა საქართველოს შემადგენლობაში შემოსული სომხეთი სოციალურ-ეკონომიკურად და კულტურულად სწრაფად ვითარდებოდა, სომხური მოსახლეობა სავსებით ბუნებრივად ქართულ ფეოდალურ მონარქიას საკუთარ სახელმწიფოებრიობად აღიქვამდა, რითაც აღიარებდა თავის კულტურულ-პოლიტიკურ ერთიანობას მასთან. ამიტომ წერდა აკად.სიმონ ჯანაშია: “საკითხის იდეოლოგიური და თვით ფსიქოლოგიური მხარეც იმაში გამოიხატება, რომ სომხური მოსახლეობა ქართულ სახელმწიფოებრიობას მთელი მისი მმართველობის აპარატით აღიქვამდა როგორც მშობლიურ სახელმწიფოებრიობას” [Джанашиа С., 1947: 47].

შესაბამისი შეგნება თავის გამოხატულებას პოულობდა სომხური წყაროებისა და ავტორების ისეთ ფორმულირებაში, როგორიც იყო: “ქართველთა და სომეხთა მეფე”, “ქართველთა და სომეხთა მხედართმთავარი”, ქართველთა და სომეხთა ლაშქარი”, ქართველთა და სომეხთა ათაბაგი” და სხვა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეფე მხოლოდ ქართველთა და სომეხთა მეფე არ ყოფილა, არამედ ყველა იმ ხალხის მეფე იყო, რომელთაც ქართული სახელმწიფო აერთიანებდა.

ამ პერიოდში სახელმწიფო ასპარეზზე საკმაოდ დაწინაურდნენ ჩრდილოეთ სომხეთის ფეოდალები, რომლებიც ქართველთა მეფეების სამსახურში დგებოდნენ და ამით საქართველოსაც ემსახურებოდნენ ცალკეული გამონაკლისების გარდა. ქართული სახელმწიფოს ინტერესები აქ მოსახლე ფეოდალური ერების უფრო მაღალი ხარისხის გაერთიანებისათვის საფუძვლის შემზადებას და კონფესიურ (რელიგიურ) სხვაობათა ნიველირებას (წაშლას) მოითხოვდა. საგულისხმოა, რომ ამ საქმეშიც ყველაზე აქტიური იყვნენ სომეხი დიდი ფეოდალები და თანმდებობის პირები.

ნათქვამის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ ეპიზოდები სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი დავიდან, სადაც სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცველებად სომეხი მხარგრძელები (წარმოშობით ქურთები) გვევლინებიან. ამ

მხრივ ნიშანდობლივია მეფე თამარის დროს ამირსპარსალარ ზაქარია მხარგრძელის მიერ 1205 წელს ღორეში და 1207 წელს ანისში მოწვეული საეკლესიო კრებები. კრებას უნდა განეხილა სომხურ ეკლესიაში ზოგიერთი ქართული წესის დანერგვა. მიზნის მისაღწევად ზაქარიას სომეხთა კათალიკოსისა და კილიკიის სომეხთა მეფის მხარდაჭერაც მოუპოვებია, მაგრამ კირაკოს განმაცეცის თქმით, ეს ღონისძიება საკმარისი არ აღმოჩენილა სომხური სამღვდელოების მისამხრობად. მაშინ ზაქარია მხარგრძელი ძალით შესდგომია თავის სამფლობელოში განლაგებულ ეკლესია-მონასტრებში ქართული წესების დანერგვას, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა ეფექტური ღონისძიება, რის შემდეგ იგი მეორე კრებას უკვე ანისში იწვევს. ამჯერად კრების ნახევარი მიმხრობია მას. ეს იმიტომ მოხდაო, წერს მემბტიანე, - რომ შეშინდნენ, ვაითუ სპასალარმა ზაქარიამ საეპისკოპოსო კათედრებიდან გადაგვაყენოსო. დავა მხოლოდ მხითარ გოშის ავტორიტეტს უნდა გადაეწვიტა. ის კი მოზომილი ტაქტით თავს არიდებდა ზაქარიას მოთხოვნებს [Киракос Гандзакци, 1976: 125].

კირაკოს განმაცეცის ცნობით, ოპოზიციაში მყოფი ეპისკოპოსები ზაქარიას ქვეყნიდან გაუძეგებია, მაგრამ მათი ერთი ნაწილი მხითარ გოშს გადაურჩენია, ხოლო დანარჩენები ზაქარიას ძმას, ივანეს დაუბრუნებია ადგილებზე (იქვე). აშკარაა, რომ ზაქარია მხარგრძელი მარტო არ ყოფილა თავისი მოღვაწეობის ამ სფეროში და მას აქტიურად უჭერდა მხარს სომხური ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენის მნისვენელოვანი ნაწილი. ამ მოვლენებთან დაკავშირებით, სავსებით მართებულად შენიშნავს სომეხი მეცნიერი ი.ორბელი სომეხი საერო ფეოდალების მისწრაფებას სულ უფრო მზარდი ნიველირებისა და მიბაძვისადმი ქართველ საერო ფეოდალებთან [Орбели И. А., 1968:236].

პოლიტიკურად მთლიანად საქართველოზე დამოკიდებული სომხობა სარწმუნოებრივ სხვაობაში ეძებდა თავისი ეროვნული სახის შენარჩუნებას, რის გამოც სარწმუნოებრივი ინდივიდუალობის მანიველირებელი პოლიტიკა (განსაკუთრებით,

როცა ის უხეში ფორმით ვლინდებოდა) ძლიერ წინააღმდეგობას აწყდებოდა. სტეფანოს ორბელიანის გადმოცემით, იმ ხანებში სომხური ნაციონალური ეკლესიის კრებებზე საჯაროდ წყევლიდნენ “ქართველების და ბერძნების” ყველა თანამოაზრეს, როგორც სავსებით მართებულად შენიშნავდა ნიკო მარი, ეს წყევლა ეხებოდა არა სომეხ ქალკედონიტებს (მათ უკვე დიდი ხანია აღარავინ თვლიდა სომხებად), არამედ მონოფიზიტ სომხებს [Mapp H. Я., 1905: 39].

სარწმუნოებრივი დაპირისპირების შესარბილებლად და ეკლესიათა გაერთიანების პოლიტიკის გასამართლებლად ოფიციალური საეკლესიო ქართველი ხელისუფალნი უფრო ხშირად დარწმუნებისა და თეორიულ დასაბუთებათა გზას მიმართავდნენ, სადაც არაიშვიათად ისეთი მომენტებიც ჰქონდათ, რომელთაც სომეხთა ეროვნული თავმოყვარეობა უნდა დაექმაცოფილებინათ და ამდენად, გაეადვილებინათ მათი მიმხრობაც [გ.მაისურაძე, 1982: 92]. მაგალითად, საინტერესო არგუმენტაციაა მოცემული არსენ კათალიკოსის ცნობილ თხზულებაში “განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა”. ავტორი, მართალია, გმობს მონოფიზიტობას, მაგრამ სომეხ ერს ისტორიის წინაშე დამნაშავედ არ მიიჩნევს. მისი მტკიცებით, სომეხი ხალხი “უბრალოა” და “უნებლიეთ არის მოქცეული” მცდარი სარწმუნოებისკენ სპარსელთა ძალადობის შედეგად. ქართველი და სომეხი ხალხების სარწმუნოებრივი გაერთიანების ინტერესებისათვის არსენ ქართლის კათალიკოსი ისეთ დათმობაზეც კი მიდის, რომ გრიგოლ ქართველს სომეხებთან ერთად ქართველთა განმანათლებლადაც კი აცხადებს [არსენ საფარელი, 1980: 81], ამ გონიერულ პოლიტიკას შედეგები მოჰქონდა. თბილისში გამართული საეკლესიო პაექრობის შემდეგ “მრავალი სიმრავლე სომეხთა მოვიდა ნათლისღებად” [ქართლის ცხოვრება, II, 1955: 90], კიდევ უფრო განმტკიცდა ქალკედონიზმის პოზიციები თვით სომხეთშიც.

ერთი სიტყვით, ქართული ფეოდალური მონარქიის სინამდვილეში ქართველ და სომეხ ხალხებს შორის დამყარებუ-

ლი კულტურულ-პოლიტიკური ერთობა ქართველთა მეთაურობით იქამდე ძლიერი აღმოჩნდა, რომ მონღოლებმა სომხეთიც საქართველოს მიათვალეს და, საფიქრებელია, “სომეხთა” პოლიტიკურ მოღვაწეთა აქტიური მოქმედებების შედეგად (ნ.ბერძენიშვილი).

1220–იანი წლებიდან კავკასიაში ვითარება მკვეთრად იცვლება. ჯერ მონღოლთა მარბიელი ლაშქრის დაზვერვითმა დარტყმებმა ჯებე და სუბუდაი ნოინების მეთაურობით, მერე კი გარნისის ომში ივანე მხარგრძელის ღალატმა და ქართველთა მარცხმა 1225 წელს გზა გაუხსნა ჯალალედინის ხუთწლიან ამოხრებელ თარეშს აღმოსავლეთ საქართველოში. ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებულმა ქვეყანამ წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია უკვე დასაპყრობად მოსულ მონღოლებს, რომლებმაც დიდი ძალისხმევით გარეშე დაიმორჩილეს აღმოსავლეთ საქართველო.

საქართველოს დიდებულები გაერთიანების ნაცვლად ცალ-ცალკე დანებდნენ მონღოლებს, რათა შეენარჩუნებინათ საკუთარი საგამგეო ქვეყნები და ტერიტორიები.

პირველი, ვისაც თავდაცვითი ძალები უნდა გაეერთიანებინა და მტრისთვის წინააღმდეგობა გაეწია, ეს საქართველოს მეფის – რუსუდანის (1222-1245) მიერ ამირსპასალარად და ათაბაგად დანიშნული სომეხი ავაგ მხარგრძელი იყო, მაგრამ სწორედ მან უღალატა პირველმა ქვეყანას და მტერთან სეპარატისტული მორიგების გზას დაადგა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველო მონღოლებთან საომარ ვითარებაში იმყოფებოდა, კენის მიუვალ ციხეში ჩაკეტილმა ავაგმა მეფის დაუკითხავად მოლაპარაკება გამართა ბარდავში მყოფ ჩარმაღან ნოინთან. მონღოლებმა ავაგს უვნებლობის ფიცი მისცეს და საგამგეო ქვეყანა შეუნარჩუნეს, სამაგიეროდ, მის ყველა ციხეში თავიანთი ჯარი ჩააყენეს. მოღალატე ავაგს მალე მიბაძეს მისმა ბიძაშვილმა შანშე მხარგრძელმა და ვარამ გაგელმა. შეიძლება სამივე ფიქრობდა, რომ ამ ნაბიჯით სომხეთი ჩამოეშორებინათ საქართველოსთვის, თუმცა მონღოლები ვერ მოატყუეს. მონღოლებმა კი გააძლიერეს მთავრების

ხელისუფლება ადგილებზე, სცადეს გაედრმავებინათ სამეფოს დაშლის პროცესი (ორმეფობა, ხასინჯუ), მაგრამ საქართველო მაინც ვერ დაშალეს. ამდენად, მონღოლთა ბატონობის ხანაში სომხეთი ისევ საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ამ დროს ქართველი მეფეები კვლავ იწოდებიან სომეხთა მეფეებად და რეალურადაც მეფობენ. საამისო ცნობები მრავლადაა როგორც სომეხ და ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში, ისე სომხეთის ლაპიდარულ წარწერებში. XIV საუკუნეშიც კვლავ კეთდება ლაპიდარული წარწერები ქართულ ენაზე სომხეთში და თემურ-ლენგის შემოსევამდე (1386წ) ანისი და კარი (ყარსი) კვლავ საქართველოს შემადგენლობაში იმყოფებოდა [ივ. ჯავახიშვილი, 1949: 214-215].

როცა ნახეს, რომ ვისთან ჰქონდათ საქმე მონღოლების სახით, სომეხი დიდებულები უკვე საქართველოდან განდგომასა და განცალკევებას კი არ ცდილობდნენ, არამედ კვლავ ქართველი სამეფო კარის დახმარებით ფიქრობდნენ პრივილეგირებული მდგომარეობის მოპოვებას და თავისი ეგოისტურ-მერკანტილური მიზნების მიღწევას. გამოსდიოდათ კიდევ ასეთები იყვნენ მედროვეები – სადუნ მანკაბერდელი და მისი მემკვიდრეები (სადუნის შვილის ხუტლუბუდას მოღალატურმა ქცევამ, როცა მან დემეტრეს მაგივრად მონღოლებს შესთავაზა დავით ნარინის შვილის – ვახტანგის დასავლეთ საქართველოდან გადმოყვანა და თბილისში გამეფება, გადაწყვიტა დემეტრეს ბედი მონღოლთა ურდოში – იგი სიკვდილით დასაჯეს 1289 წელს. მან ათაბაგობა არ უბოძა სადუნის შემდეგ მის შვილს ხუტლუბუდას, რომელმაც ამით გადაუხადა სამაგიერო საქართველოს მეფეს), დიდვაჭრები – უმეკი, შადინი, შნორჰავორი [გ. მაისურაძე, 1982: 101].

მონღოლთა დაუსჯელმა თარეშმა და მათ მიერ დაკისრებულმა დიდმა გადასახადებმა უზარმაზარი ზიანი მიაყენა საქართველოს და მასში შემავალ ქვეყნებს. განსაკუთრებით დაზარადა საქართველოს სომხური თემები, სადაც მომთაბარე მონღოლთათვის უფრო შესაფერისი გარემო აღმოჩნდა კარგი საძოვრების სახით [გრიგოლ აკანელი, 1961:13]. ვინაი-

დან ეს სომხური ტერიტორიები (ისევე როგორც იორ-ალაზნის და მტკვრის ნოყიერი ველები) მომთაბარე მონღოლთა ურდოების სათარეშოდ იქცა, საარსებო სივრცეებს მოკლებულმა სომხებმა ისევ და ისევ საქართველოს შეაფარეს თავი (ამ პირობებში კვლავ კარგად გამოჩნდა ქართული სოფლის მეურნეობის გამძლეობა და სიცოცხლისუნარიანობა სომხურთან შედარებით). თავადაც შეჭირვებული ქართული მოსახლეობა კვლავაც თანაგრძნობით შეხვდა ყარსიდან აყრილ-დარბეულ და გაუბედურებულ ლტოლვილ სომხებს. ამ მოვლენების თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი ძალზე ორაზროვნად აღწერს ამ ფაქტს: “თვით შეუბრალებელი ქართველებიც კი ძალზე კეთილნი და გულთადნი იყვნენ მოსულების მიმართ, რომლებიც მათთან თავშესაფარს ეძებდნენ” [Киракос Гандзакечи, 1976: 167]. როცა ჭირდება, კირაკოს განძაკეცი აქებს და აღიდებს ქართველებს (მაგ: დავით აღმაშენებელს), მაგრამ უფრო ხშირად ანტი-ქართულ განწყობას ამჟღავნებს: თუ ქართველები ასეთი შეუბრალებლები იყვნენ, ვინ ეპატიუებოდა მათ საქართველოში – შეუბრალებელ ხალხთან ხომ თავს არავინ აფარებს. ეს უმადურობა არც პირველია და არც უკანასკნელი. ქართული ეკლესიის მოწინააღმდეგე კირაკოზა კიდევ უფრო მძიმე ბრალს სდებს ქართველებს: მისი გადმოცემით, გარნისში ჯალალედინის 200-ათასიან ჯართან შერკინების წინ ქართველები იკვებნიდნენ თურმე, რომ თუ ჯალალედინს და ხვრახმელებს დაამარცხებდნენ, თავის ქვეშევრდომ ყველა სომეხს ქართულ სარწმუნოებაზე მოაქცევდნენ, ანდა, ვინც წინ აღუდგებოდა მათ სურვილს – ხმლით გაწყვეტენო [Киракос Гандзакечи, 1976: 149].

მოდით და ეცი პატივი ასეთ ხალხს! კირაკოს განძაკეცს არ ჩამოუვარდება საბჭოთა პერიოდის სომეხი ისტორიკოსი ლ.ბაბიანი, რომელიც მიმოიხილავს რა მონღოლთა პერიოდის მოვლენებს, მას ქართულ ისტორიულ წყაროებში მოცემული საკუთარი სახელები თავის ნაშრომში ყველგან სომხური ფორმით მოჰყავს და ამით ისეთ შთაბეჭდილებას უქმნის

მკითხველს, რომ თითქოს თვით ქართული წყაროები უწოდებენ სარგის თმოგველს “სარგის თმოგვეცის”, ვარამ გაგელს – “ვარამ გაგეცის”, ჯავახეთს – “ჯავახქს”, ტაოს – “ტაიქს” და ა.შ რაც არის ისტორიის პირდაპირი გაყალბება [Бадаян Л. О., 1969: 131-141].

საბედნიეროდ, მაშინდელი სომხების უმრავლესობა კირაკოს განძაკეცივით როდი ფიქრობდა. ქართველთა მიერ დაცული და მათი ხელის შემყურე სომხები კარგად ხვდებოდნენ, რომ საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლა სომხეთის დაცვასაც გულისხმობდა; ამიტომ ისინი ხშირად მხარში ედგნენ ქართველ მეფე-მთავრებს. ცალკეული სომეხი მემატიანები, პოეტები, სამღვდელო პირნი საკმაო თანაგრძნობით გადმოსცემდნენ საქართველოში მომთაბარეთა გაუთავებელი შემოსევების შესახებ. ისინი ამ პერიოდშიც კი კავკასიის ქრისტიანული სამყაროს ცენტრად კვლავ თბილისს მიიჩნევდნენ, უწოდებდნენ რა სამეფო ქალაქს, “დედაქალაქს”, “მეფის ადგილსამყოფელ ქალაქს”, “დიდ ქალაქს”, მათ გადმოცემებში ასახვა პპოვა იმდროინდელი სომხური საზოგადოების აზრმაც [გ.მაისურაძე 1982: 108].

ამიტომაც, ცხადია, თბილისი, როგორც ამიერკავკასიის ქრისტიანთა პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, ისეც იზიდავდა სომეხ მოღვაწეებს თვით შორეული რეგიონებიდან.

მაგ: პოვჰანნეს ერზინკაცი თავისი თხზულების “ზეციურ სხეულთა მოძრაობისათვის” წინასიტყვაობაში წერს, რომ „1284 წელს მომეცა შემთხვევა მოვსულიყავ ქართველთა ღვთივ დაცულ სამეფოში, სახელგანთქმულსა და დიდ დედაქალაქ თფილისში, რომელიც მემატიანეთაგან ფაიტაკარანად იწოდებოდა და მომიხდა წარმომეტქვა ქადაგება” წარმოთქმელი იყო სიტყვა ზეციური მოძრაობებისათვის [გ. მაისურაძე 82: 109]. ამ ტექსტში ყურადღებას იპყრობს არა მარტო ის გარემოება, რომ სომეხ ასტროლოგს თბილისის საზოგადოება მიუჩნევია თავისი ცოდნის დამფასებლად და შემფასებლად, არამედ ისიც, რომ შორეული ერზინკის მკვიდრს მონდოლთა მიერ დარბეული და გაჩანაგებული ქვეყანა საქართველო

მაინც ღვთის მიერ დაცულ ქვეყნად მიუჩნევია. ანალოგიურად აღიქვამდნენ ამას აქ მცხოვრები სომხებიც, რომლებიც სომხეთის მომავალს საქართველოს ძლიერებას უკავშირებდნენ.

თვით XV საუკუნეშიც კი სომხებში ისევ ცოცხლობდა წინა საუკუნეების პოლიტიკური ერთობის დროინდელი ფსიქიკა, რომლის საფუძველზეც მათ ქართული სახელმწიფოებრიობა მშობლიურად ესახებოდათ. ამის კარგი მაგალითია მონაზონ მათეოს განძასარეცის მიერ გადმოცემული ცნობა. საქართველოს მეფის კონსტანტინე I (1407-1411) დაღუპვის გამო ღექსად დაწერილ მის ერთ ჰიშატაკარანში (ხელნაწერის ანდერძში) მოგვითხრობს: “მოთქმის ჟამმა მოაწია, გულის ტკივილს ვერ დავფარავ, რადგან ამ წიგნის გადაწერამდე წინა ხანებში, სამი წლით ადრე, წარწყმოდეს მეფე საქართველოსი, თურქმენის ბოროტი ნათესავის, იუსუფად სახელდებული (იგულისხმება ყარა-იუსუფი, რომელმაც საკუთარი ხელით განგმირა კონსტანტინე I არა ბრძოლაში, არამედ დატყვევებული – ვ.შ), სატანის მიერ დატყვევებული კონსტანტინე, მოიცვა დიდმა მწუხარებამ გონებაცა და არსება ჩვენი, რადგანაც დიდსა ნათესავს ჩვენსას ჰყავდა ის თავის მეფის მაგივრად” [სომხურ ხელნაწერთა..., 1978: 35-36].

მათეოს განძასარეციმ, ცხადია, იცის, რომ სომხებს მეფე არა ჰყავთ, მაგრამ მისი მაგიერი, მათეოსის თქმით, სომეხ ხალხს ქართველთა მეფე მიაჩნია; აქედან გამომდინარე, სომხური სახელმწიფოს მაგივრობაც, მათივე წარმოდგენით, საქართველომ უნდა გასწიოს.

ამიტომაც, ქართველთა ასეთი მარცხი შეგნებული და პატრიოტი სომხების მწუხარებას იწვევდა, ხოლო წარმატება, თუნდაც დროებითი, მომავლის იმედს აღუძრავდა. ბუნებრივია, ქართველი მეფეები, მათთვის სასარგებლო ამ ფსიქოლოგიური კლიმატის პირობებში, მას შემდეგაც, რაც სომხეთი თურქმანებმა ძალით მოგლიჯეს საქართველოს, კარგა ხანს ისევ ძველებურად ატარებდნენ სომეხთა მეფის ტიტულსაც. ბოლო ქართველი მეფე, რომელიც თავის თავს ჯერ ისევ სომეხთა მეფეს, შანშა და შარვანშას უწოდებდა,

სიმონ I (1556-1600) იყო. იმ პერიოდში რეალური შინაარსიდან დაცლილი ეს ტიტულები ამასთანავე იმასაც მოწმობდნენ, რომ საქართველოდან სომხეთის მოგლეჯა ქართველ მეფეებს დროებით მოვლენად მიაჩნდათ და მისი “გამოსხნის” და ერთიან ქვეყანაში “ადღგომის” იმედი მათ ისევ ჰქონდათ, მით უმეტეს, როცა ლორე-ტაშირი ისევ ქართველთა ხელში იყო ისტორიულად [გ. მაისურაძე, 1982: 118].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ XI-XV საუკუნეებში საქართველოს რელიგიურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური გავლენა სომხეთზე კიდევ უფრო გაძლიერდა, რასაც ძალზე დიდი დადებითი შედეგები მოჰყვა სახელმწიფოებრიობდაკარგული სომხების ფიზიკური და კულტურული გადარჩენისა და აღორძინებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961.
2. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VII, თბ., 1974.
3. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975.
4. გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1982.
5. არსენ საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ, თბ., 1980.
6. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს), ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1978.
7. ქართლის ცხოვრება, ტ II, თბ., 1955.
8. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, თბ., 1949.

9. Бабаян Л. О., Социально-экономическая и политическая история Армении в XIII-XIV веках, М., 1969.
10. Киракос Гандзакечи, История Армении, М., 1976.
11. Джанашиа С., Об одном примере искажения исторической правды, Тб., 1947.
12. Марр Н. Я., Аркаун монгольское название христиан в связи с вопросом об армянах-халкедонитах, «Византийский временник», т. XII, 1905.
13. Мурадян П. М., Грузинские приписки и записи в армянской рукописи 1317 г. из Гладзора, «Кавказ и Византия», I, Ереван, 1979.
14. Орбели И. А., Избранные труды, т. I, М., 1968.
15. Чубинашвили Г. Н., Разыскания по армянской архитектуре, Тб., 1967.

Vazha Shubitidze

The Strengthening of Georgian Religious, Cultural, Social, and Economic Influence on Armenia in the 11-15th Centuries

Summary

Starting from the 11th century Georgian religious, cultural, social, and economic influence on Armenia was becoming stronger and stronger. And in Davit Aghmashenebeli's epoch Armenia turned out to be within the bounds of Georgia. In struggle started for uniting the Caucasus the rivalry between Georgia and Armenia was crowned with Georgia's victory.

At the time when Armenia's statehood was cancelled, the Georgians managed to create

Важа Шубитидзе

Возрастание грузинского религиозно-культурного и социально-экономического влияния на Армению в XI-XV веках

Резюме

С XI века все больше возрастало грузинское влияние на Армению, который со времен Давида строителя входило в состав Грузии.

В борьбе за объединенные Кавказа грузины одержали победу над соперниками-армянами. Тогда, когда Византия разрушила армянскую государственность, грузины смогли создать сильное феодальное государство и завоевали полное влияние на Армению.

Это влияние распространилось на армянскую церковь и церковную письменность, на армянский язык и армянской литературе, на социально-экономическое развитие Армении. Всё это принесло положительные результаты для физического и культурного самосохранения армян.

საქართველოს ერთიანობისთვის წამებული კათალიკოსი

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიამ არაერთი ტრაგიკული და მძიმე პერიოდი იცის, მაგრამ გამორჩეულია XVII ს-ის პირველი ნახევარი, როცა შაჰ-აბასის გამანადგურებელ ლაშქრობებს, გვირგვინოსანთა (ლუარსაბ II, ქეთევან დედოფალი) ტყვეობაში წამებით სიკვდილსა და ძმათმკვლელ ბაზალეთის ბრძოლას მოჰყვა სპარსეთის მიერ ქართლში გამაჰმადიანებულ ბაგრატიონთა გამეფების წესის დაკანონება. ამ პოლიტიკური მოვლენების შედეგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში უპრეცედენტო გამოდგა – პირველმა გამუსლიმანებულმა მეფე როსტომმა ქართლის ორი კათალიკოსი შეიწირა: ერთი (ზაქარია) ქვეყნიდან გააქცია, მეორე კი (ევდემოზ I) სიკვდილით დასაჯა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებულ პატივს მიაგებს იმ მღვდელმთავრებს, რომელთაც ქრისტიანობისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვას თავი შესწირეს და ამით მაგალითი მისცეს თანამემამულეებს რწმუნისა და ქვეყნის თავისუფლებისათვის თავდადებისა. ისინი ეკლესიამ წმიდა მოწამეებად შერაცხა, ვითარცა წმიდა სამოციქულო ეკლესიისა და ქვეყნისათვის წამებულნი.

წმიდა წამებულთა ამ გუნდიდან გამორჩეულია XVII საუკუნის 30-იანი წლების ქართლის კათალიკოსის – ევდემოზ I ღიასამიძის სახელი, რომელსაც ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში (1634-1643 წ.წ.), როსტომ მეფის მმართველობისას მოუწია ქვეყნის ეკლესიის მესაჯეობა და სულიერი მამობა.

ევდემოზ პირველის მოღვაწეობა, მისი მოწამებრივი აღსასრული ასახულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, მისი ღვაწლი ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე სათანადოდ დაფასდა წმიდა მოწამედ შერაცხვით, მაგრამ ბოლო ხანებში, ისტორიკოს-მკვლევართა ერთი ნაწილის შრომებში განჩნდა შეფასებები, რომ “მაჰმადიანობის მიუხედავად, როსტომი პატივისცემას იჩენდა ქრისტიანობისადმი, ესმარებოდა სასულიერო პირებს და აქტიურად მონაწილეობდა ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლებაში. ქრისტიანობისა და ეკლესიისადმი ასეთ ღლიალურ დამოკიდებულებას მხოლოდ პოლიტიკური მიზნები არ ედო სარჩულად. ირანში დაბადებისა და იქ მისი ცხოვრების უდიდესი ნაწილის გატარების მიუხედავად, როსტომში ქართული ცნობიერება საკმაოდ ძლიერი იყო. ამიტომაც მისი კარგი დამოკიდებულება ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული” [მ. კაპანაძე, 2007:66]. ამასთან, ისინი ეყრდნობიან რა “ქართლის ცხოვრებაში” მითითებულ მის ნათესაობას (მოყვრობას) თეიმურაზ პირველთან, ევდემოზ კათალიკოსის მცდელობას როსტომ მეფის დამხობისა და თეიმურაზ I-ის გამეფებისათვის ქართლში, მიიჩნევენ პირადი, ნათესაური ურთიერთობის გამოვლინებად და ამით აკნინებენ მის დამსახურებას ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, აჩვენოს ევდემოზ კათალიკოსის დროის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, როსტომ მეფის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის არსი და მკითხველი დაარწმუნოს იმაში, რომ ევდემოზ კათალიკოსის პოზიცია და ბრძოლა როსტომის წინააღმდეგ განპირობებული იყო არა პირადი ინტერესებით, არამედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვის ინტერესებით.

წმ. ევდემოზ პირველის კათალიკოსად კურთხევას წინ უსწრებდა ჩვენი ისტორიის ტრაგიკული მოვლენები: შაჰ-აბასის ლაშქრობები და ათიათასობით ქართველის სპარსეთში გადასახლება, მეფე ლუარსაბ I-ისა და ქეთევან დედოფ-

ლის მოწამებრივი აღსასრული სპარსეთის შაჰის კარზე, მარტყოფის ძღვევამოსილი გამარჯვების შემდეგ, მარაბდის ტრაგედია და ბაზალეთის ძმათამკველელი ბრძოლა და სხვა, რომლებმაც შეამზადა საფუძველი სპარსეთის ხელისუფალთა მიერ საქართველოს დამორჩილების ახალი სტრატეგიის შემუშავებისა – საქართველოს მეფეებად დაესვათ მხოლოდ გამუსლიმანებული ბაგრატიონები და მათი ხელით განეხორციელებინათ საქართველოს გამუსლიმანება, სახელმწიფოებრიობის დაკნინება და მისი საბოლოოდ დამორჩილება. ამით შესრულდებოდა მათი მეორე დიდი გეგმაც, კავკასიისაკენ მომართულ გაძლიერებულ რუსეთს ჩამოაცილებდნენ საიმედო მოკავშირეს – ქრისტიანულ საქართველოს.

1629 წელს (იანვარში) გარდაიცვალა შაჰ-აბას I. ამავე წლის ოქტომბერში, ოსმალეთის დიდი ვეზირის ხუსრევ ფაშას ბრძანებით, გიორგი სააკაძე სიკვდილით დასაჯეს. გიორგის ბიძაშვილმა როსტომ ხან სააკაძემ და გიორგის ხელშეწყობით დაწინაურებულმა გამუსლიმანებული დაუდ ხანის შვილმა როსტომ ხან ბაგრატიონმა ირანის შაჰინ-შაჰად სეფი I დასვეს. სწორედ სეფი პირველს მოუწია იმ გეგმის განხორციელების დაწყება, რომელიც გამუსლიმანებულ ბაგრატიონთა გამეფებას ითვალისწინებდა ქართლში (ეს წესი მოქმედებდა 112 წელიწადს – 1632-1744 წლებში).

შაჰ-აბასი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მიაღწია ქართლის საბოლოო დამორჩილებას, ამიტომ შაჰის კარზე ქართლის გამუსლიმანება-დამორჩილების ახალი, განსხვავებული გეგმა შემუშავდა: გამოენახათ სამეფო გვარის – ბაგრატიონთა გამუსლიმანებული შთამომავალი, რომლის ქართლის ტახტზე დასმა კანონიერ სახეს მიიღებდა. ასე გახდა ქართლის ვალი (მმართველი) დიდი სიმონ I-ის მოღალატე ძმის – დაუდ ხანის უკანონო შვილი როსტომი, რომელმაც შაჰისადმი ერთგულებით ჯერ მისი გვარდიის სარდლობას, შემდეგ კი ისპაჰანის ტარულობასაც (მოურავობა) მიაღწია. ამ დროს ქართლ-კახეთის რეალური მმართველი იყო თეიმურაზ I. 1633 წელს შაჰმა 130 000-იანი ჯარით თეიმურაზის წინააღმდეგ გამოგ-

ზაენა როსტომ ხან ბაგრატიონი მისი ქართლში გამეფების პირობით. თეიმურაზ I იძულებული გახდა დედოფლით, ერთგული სასულიერო პირებით და სამასამდე დედაკაციო შეხიზნებოდა თავის სიძეს, იმერეთის მეფეს ალექსანდრეს. მეფეს იმერეთში გაჰყოლია ქართლის კათოლიკოსი ზაქარიაც. მ. თამარაშვილი წერს: “რადგან თეიმურაზთან ერთად ზაქარია კათალიკოსიც გაიქცა იმერეთში, ამისათვის როსტომ ხანმა კათალიკოსად დანიშნა ერთი ახალგაზრდა ეპისკოპოსი, რომელიც არ იყო მეგობარი კათოლიკეებისა და რომლის შესახებ მისიონერები ამბობდნენ: კაი მეომარი და მონადირე არისო” [მ. თამარაშვილი, 1902:127]. ეს ახალგაზრდა ეპისკოპოსი ევდემოზ I დიასამიძე იყო, რომელიც, როგორც ჩანს, როსტომ მეფემ სწორედ ამ თვისებების გამო („კაი მეომარი და მონადირე“) შეარჩია კათალიკოსად, რადგან ფიქრობდა ახალგაზრდა კათალიკოსი ნაკლებად ღვთისმოსავი იქნებოდა, მაგრამ როგორც მოვლენების შემდეგმა მსვლელობამ აჩვენა, იგი შეცდა. “კაი მეომარი და მონადირე” ახალი კათალიკოსი, ღრმად მორწმუნე და თავდადებული ქრისტიანი აღმოჩნდა.

როგორც როსტომის მოღვაწეობამ აჩვენა, იგი შაჰის კარის მიერ მკაცრად განსაზღვრული პროგრამით ჩამოვიდა საქართველოში. ამიერიდან სპარსეთის სახელმწიფო, ძალის ნაცვლად, მოქნილ, ლოიალურ პოლიტიკას გაატარებდა მუსლიმანი ბაგრატიონი მეფეების ხელით. ასე რომ, „როსტომ ხანმა თავისი მმართველობის 26 წლის მანძილზე გაცილებით მეტის გაკეთება შეძლო ქართველთა გადასავგარებლად, ვიდრე შაჰ-აბასმა, თემურლენგმა და ჯალალედდინმა ერთად... რასაც ვერ გახდნენ ომითა და მახვილით, მშვიდობითა და ოქროთი შეძლეს” [ს. მასხარაშვილი, 2006: 242]. ბერი ეგნატაშვილი შემდეგნაირად აღწერს როსტომ ხანის მეფობის დასაწყისს: “ამან აღაშენა სახლი ყიზილბაშური, კეკელუცად და ტურფად ნაგები, შემოიღო მოფენილობა, სმა-ჭამა, გამოჩუენება და კეკელობა. და მიიქცნენ სრულიად წესსა ზედა ყიზილბაშისასა, და გამრავლდა სახლსა შინა მისსა სიძვა და

არა-წმინდება, ცოდვა იგი სოლომ-გომორული და მრუშობა და დედათა თანა აღრევა” [ქცა, 1959:424]. და ეს ყველაფერი კეთდებოდა ყაენის ნებით, რადგან როსტომ მეფე “უყაენოდ არავის რა მისცემოდა, და, თუ ვინმე გასაკეთებლად უნდოდა, ყაენს შეეკითხვოდა. და იყო მეფე როსტომ მორჩილი ყაენისა და მოყუარე სჯულისა მაჰმადისასა” [ქცა, 1959: 424]. მან ქართლ-კახეთში ახალი ტიპის სახელმწიფოს დაუდო საფუძველი. ერთი მხრივ, შინაურთა და ადგილობრივთათვის როსტომი ქართველი მეფე იყო, რომელმაც ძველქართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურები და სახელმწიფო მმართველობაში ძველთაგანვე არსებული ქართული სახელო-თანამდებობები არ მოშალა, თავის თავსაც მეფეს უწოდებდა, მაგრამ მეორე მხრივ, მან გზა გაუხსნა ყიზილბაშურ რიგს, ”ხელისუფალთა დასახელება სპარსეთის მიბაძვით შეცვალა, შემოიღო ყიზილბაშური თანამდებობები. როსტომმა თავის მმართველობას ორსახა ხასიათი მისცა: სპარსელებისთვის ის „ვალია” (ანუ შაჰის მოხელე), ქართველებისთვის – “მეფე” [ა. ჯაფარიძე, 2003:251]. მოსახლეობის გულის მოგებისა და მხარდამჭერთა გამრავლების მიზნით რიგი ისეთი ღონისძიებები გაატარა, რომლებიც მას ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის, ქვეყანაში წესრიგის განმტკიცების და ქრისტიანობისადმი ღოიადური დამოკიდებულების იმიჯს უქმნიდა. ბერი ეგნატაშვილი გვაუწყებს: “ხოლო სამღვდელონი ეპისკოპოსნი ამითი დაიერთგულნა, რომე ყოველთავე ჯამაგირი განუწესა, თავმდაბლად და ტკბილად ექცეოდა, ამისათვის არდარა ზრუნვიდენ სამღვდელონი კრებულნი. ხოლო აღაშენა წმიდა კათოლიკე ეკლესია, მცხეთის გუმბათი და სხვანიცა რომელნიმე მოოხრებულნი ეკლესიანი აღაშენნა. და კუალად აღაშენა გატეხილი ხიდი” [ქცა, 1959: 425].

მეფეს ესმოდა რა ვაჭრობის, აღებ-მიცემობის როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, ხელს უწყობდა ვაჭრობის სადავეების უცხოელთა ხელში (სომხები, ბერძნები, ებრაელები) გადასვლას. მაკარი ანტიოქიელის ცნობებზე დაყრდნობით, პროფ. შ. მესხია XVII საუკუნის შუა ხანების ქართლში

შექმნილ მდგომარეობას ასე ახასიათებდა: “მთელი ვაჭრობა ქართველთა ხელქვეითი სომხების, ებრაელების და ზოგიერთი ბერძნის ხელთაა... ეს სომხები და ებრაელები წარმოადგენენ მდიდართა კლასს საქართველოში და მათ წინაშე ყველა ქართველი დავალებულია განურჩევლად წარჩინებულობისა და მმართველობისა. ყოველ ამ ვაჭართაგანს ოჯახში ყავს ქართველი გოგო-ბიჭი მსახურად, რომლებსაც როგორც უნდათ, ისე ექცევიან” [შ. მესხია, 1983: 316].

როსტომ მეფის მოღვაწეობის ხანიდან დამკვიდრდა ქართლში ქრისტიან ქართველთა ტყვედ სყიდვა. თუ სიმონ ხანი ტყვეებად, საჩუქრებად არაქართველებს, არაქრისტიანებს აგზავნიდა, როსტომის მეფობიდან დაკანონებული ქართველ ქრისტიანთა ტყვედ ქცევა. “ქართლის ცხოვრებაში” ვკითხულობთ: “და ამან როსტომ მატა ყოველსა ფეშქაშსა და მეტადრე ტყვესასა. რაჟამს დაიდვა სვიმონ მეფემან, ამ წესით იქმოდა: ანუ ძესა ურიისასა, ანუ ნასყიდსა და ანუ ოსთასა გაგზავნიდა, ხოლო ამან გამოიყვანა ქართველთა გლეხობა, აზნაურთა, დიდებულთა ასულნი და ძენი და მას გაუგზავნიდა, ამიერითგან დაიდვა ეს: და ყოველნი მეფენი საქართველოსანი ესრეთ ჰყოფდენ, ვიდრე მოდღეინდელად დღემდე” [ქცა, 1959: 425].

როსტომ მეფის დროს გახშირებული ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანთა “გაკათოლიკება”, “გასომხება”, “გაბერძნება”, თუ “გამუსლიმანება”. ამ პროცესმა ძალიან ფართო და საშიში ხასიათი მიიღო. ამიერიდან ქართველად მხოლოდ მართლმადიდებელ ეთნიკურ ქართველს თვლიდნენ. ეთნიკურად ქართველი კათოლიკე “ფრანგად” იწოდებოდა, გრიგორიანელი – “სომხად”, ბერძნული ეკლესიის წევრი – “ბერძნად” და ა.შ. ამ პროცესს ხელს უწყობდა უცხოელთა მიერ გლეხებით დასახლებული მიწებისა და სოფლების შეძენის მიღებული წესიც, რომელსაც ხელისუფლებაც უწყობდა ხელს. ავგუსტინიანი პატრი ამბროზიო 1640 წელს რომში გაგზავნილ წერილში წერდა: “თუმცა ქართველებს დიდი სიმძულვარე აქვსთ სომხებისა სარწმუნოების მხრივ, გარნა,

როდესაც მათი ყმები ხდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზე. ამაზე უარესიც ვნახეთ: ზოგიერთმა მდიდარმა ურიებმა, რომლებიც საქართველოში სცხოვრობენ, გააურიავეს რავდენიმე თავიანთი ყმა და მოსამსახურე” [მ. თამარაშვილი, 1902: 236]. საქმე იქამდეა მისული, რომ როცა ერთ-ერთი მართლმადიდებლის (ნასყიდა ლოპამონი) კათოლიკე მონაზონად შედგომის გამო სასამართლო შედგა, კათოლიკე პატრი ქართლის კათოლიკოსს საყვედურით მიმართავს: “ყოველდღე ჩვენის თვალთ ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან, და უფრო მომეტებული მათგანნი მაჰმადის სარწმუნოებასაც დებულობს, მაშ, ვისაც კი უნდა გაფრანგება, რად უნდა დაეშალოს?” [მ. თამარაშვილი, 1902: 127].

XVII საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში ევროპელი კათოლიკი პატრები ქართლიდან იმერეთსა და სამეგრელოში გადადიან. ამას მ. თამარაშვილი იმით ხსნის, რომ “ქართლში ვეღარ ხედავდნენ უწინდელებრ კათოლიკე სარწმუნოების მოსარჩლე მეფეს (თეიმურაზს – ბ.დ.), მისიონის მფარველს დედოფალს (თეიმურაზის მეუღლე დარეჯანს მისიონის მფარველს და დედას ეძახდნენ) და აღარც თავიანთ ერთგულ კათალიკოსს (ზაქარია – ბ.დ.)... არც ახალი კათალიკოსისაგან (ევდემოზ I – ბ.დ.) დიდს სიკეთეს მოელოდენ” [მ. თამარაშვილი, 1902:131]. როსტომ მეფის საეკლესიო პოლიტიკის დამახასიათებელია ისიც, რომ ევდემოზ პირველის მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ კათოლიკოსად დასვა არა გამოცდილი, ღრმად განსწავლული სასულიერო პირი, არამედ “ლაშქარ-ნადირობით” გამორჩეული ქრისტეფორე ურდუბეგაშვილი, რომელიც იყო ”გამოცდილი საეროსა სამამაცოსა ლაშქარ-ნადირობასა შინა, და არა ჰქონდა გამოცდილობა წერილთა, მცირე ოდენ წურთილ იყო” [ქცა, 1959: 425].

ვფიქრობთ, ქართლში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების წარმოდგენილი სურათი იძლევა იმის საფუძველს, რომ ღრმად გავიაზროთ, კათოლიკოს ევდემოზ I დიასამიძის მოღვაწეობის არსი: ან უნდა შეგუებოდა როსტომ მეფის ქართველთა სულიერი გახრწნის, ეროვნული

ცნობიერების გადაგვარების პოლიტიკას, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვას მოუშადებდა საფუძველს, ან დაპირისპირებოდა მას, ეძებნა გზა ქვეყნის ხსნისა. როგორც ჩანს, კათალიკოსმა მეორე გზა აირჩია. იგი ვერ ეგუებოდა მეფის მიერ ქვეყანაში დანერგილ ყიზილბაშური ცხოვრების წესსა და იმას, რომ “რომელნიცა იყვნენ ქართველნი, მოყუარენი წესისა მათისა, მეძავნი და ბილწების მოქმედნი, დიდად პატივსცემდა მეფე როსტომ და ჰკითხევდა და უსმენდა მათსა და, რომელნიცა იყვნენ სიმართლისა მოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი, მათ არას პატივსცემდა და ცუდს კაცს ეძახდენ და შეუძლებელსა” [ქცა, 1959: 425]. ამიტომ კათალიკოსი მეფეს სახალხოდ ეუბნებოდა “მაჰმადიანების მამა ხარ და ქრისტიანთა მამინაცვალიო” [წმინდანთა ცხოვრებანი, 2006: 306-307]. მისთვის ცხადი იყო, რომ შაჰისაგან გამოგზავნილი, სპარსეთში დაბადებულ-აღზრდილი მუსლიმანი როსტომი ირანის ხელისუფლების გეგმის მიხედვით მოქმედებდა, ამიტომ იგი თანამოაზრებთან ერთად ქართლის ინტერესებისათვის მისადებ მეფის კანდიდატურად, სპარსელების წინააღმდეგ დაუცხრომელ მებრძოლ, წამებული ქეთევან დედოფლის შვილს თეიმურაზს მიიჩნევდა, რადგან სწორედ მან გაიღო ყველაზე დიდი მსხვერპლი (შვილები, დედა...) დამპყრობლებთან ბრძოლაში.

ამიტომ “შეკრეს პირობა (ზაალ) ერისთავმან, იოთამ ამილახორმან, ნოდარ ციციშვილმან, კათალიკოზმან დიასამიძემან ევდემოზ, გოჩაშვილმან გიორგი და ზოგმან რომელგანმე ქართველმანცა, ამათ ინებეს განდგომა როსტომ მეფისა. და უფროსდა ცდილობდა კათალიკოზი ევდემოზ ამისათვის, რომე ამისი ძმის ასული დათუნას, ბატონი თეიმურაზის შვილს ცოლად ესუა. ამათ გაუგზავნეს ბატონს თეიმურაზს კაცი და მისცეს საფიცრები და პირობა დიდი და იხმეს: “კუალად მოდი ქართლში და გაგაბატონებთო” – ვკითხულობთ “ქართლის ცხოვრებაში” [ქცა, 1959: 422]. შეთქმულება გასცეს. როსტომ მეფემ შეთქმულები შეიპყრო და სასტიკად დასაჯა.

“შეიპყრა კათალიკოზი ევდემოზ როსტომ მეფემან და წარავლინა ქალაქის ციხეშია და ტყუე-ყო და, ხანსა რაოდენსამე უკანა, მუნვე ციხეში მოაშთობინა” [ქცა, 1959: 423]. ვახუშტი ბატონიშვილი შემდეგნაირად გადმოსცემს ამ ამბავს: “შეიპყრა როსტომ მეფემან კათალიკოზ ევდემოზ და პატიმარჰყო ტფილისს ციხესა შინა. შემდგომად გარდმოაგდო განჯის-კარის კოშკილამ” [ქცა, 1973: 442]. მარი ბროსე ამბობს: “კათალიკოზი შეიპყრეს, მაღალ კოშკიდან ხევში გადააგდეს” [მ. ბროსე, 1895: 204-205]. “ქართველ წმინდანთა ცხოვრებაში” ვკითხულობთ: როსტომ მეფემ “მისი გვაში შეურაცხყოფის მიზნით ნარიყალას ციხიდან გადააგდებინა აბანოების მხარეს. ქრისტიანობისათვის წამებული ნეტარხსენებული კათალიკოს-პატრიარქის გვაში ქრისტიანებმა ფარულად წამოასვენეს და ანჩისხატის ტაძარში დაკრძალეს, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში“ [ქართველ წმინდანთა..., 2003: 235].

ყველა ზემოთქმული და ევდემოზ პირველის დასჯის ფორმა (დატუსადება, მოშთობა, ციხის კოშკიდან გადაგდება) აჩვენებს, რომ ევდემოზ პირველის მოქმედება, მისი მონაწილეობა შეთქმულებაში, ხელისუფლებამ შეაფასა, როგორც მეფისაგან განდგომა და დალატი. როსტომის მეფობას ივ. ჯავახიშვილი ასე აფასებდა: ქართლში როსტომისა და კახეთში სელიმის გაბატონებით “ქვეყანა მთლიანად სპარსეთს ჩაუვარდა ხელში... ბრმისათვისაც ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ თეიმურაზ მეფის ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობასა და მაინცადამაინც დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულის ბრძოლას მოასწავებდა, როსტომის მეფობა კი ჩვენი ქვეყნის მონობასა და სპარსთა ბატონობის მომავლინებელი იყო“ [ივ. ჯავახიშვილი, 1967: 369]. თუ ამ შეფასებას ვიზიარებთ, მაშინ ევდემოზ კათალიკოსის როსტომ მეფისაგან განდგომა, მის წინააღმდეგ აჯანყება გმირობა, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის თავგანწირვა იყო და მისი ნათესავობა (მოყვარეობა) თეიმურაზ მეფესთან მხოლოდ რეალობის დაფიქსირებაა მემბტიანეს მიერ, რადგან აჯანყებულთა გამარჯვების შემთხვევაშიც

ევდემოზ კათალიკოსი პირადად არაფერს ელოდა, რადგან იგი ისედაც უმაღლესი მღვდელმთავარი, კათალიკოსი იყო. “კათალიკოს ევდემოზ I-ის პოლიტიკური ნაბიჯი (“როსტომისგან განდგომა”) ნაკარნახევი იყო არა ვიწრო სუბიექტური (ნათესაური ურთიერთობა თეიმურაზ I-თან) მოსაზრებით, არამედ იყო ნაბიჯი ღრმად მოაზროვნე ეროვნული მოღვაწისა, ერის ჭეშმარიტი სულიერი მამისა და შორსმხედველი პოლიტიკოსისა” [ხ. კაცელაშვილი, 1999].

როსტომ მეფის მხრივ ქრისტიანობის მიმართ ლოიალობა, ეკლესიების შენება და შემკობა, მშვიდობიანობა და ერთგვარი ეკონომიკური აღმავლობა ქვეყანაში არა მისი კეთილი ნების გამოვლინება იყო, როგორც ამას ზოგიერთი მეკლევარი თვლის, არამედ სპარსეთის სახელმწიფოს დამპყრობლური გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა ქართველი ხალხის გულის მოგებას, დამშვიდებას, სულიერ გახრწნას, ეროვნული ცნობიერების მოღუწებას, ქვეყანაში შექმნილი ვითარებისადმი შეგუებას, მოსახლეობის რაც შეიძლება დიდი ნაწილის დამპყრობთა სამსახურში ჩაყენებას და საბოლოოდ, მშვიდობიანი გზით, რენეგატი გამუსლიმანებული მეფეების ხელით ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის წართმევას. ამიტომ როსტომ მეფის საქმიანობის გაზვიადება და დადებითად შეფასება ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ქრისტიანობის დაცვისათვის თავდადებული წმიდა მოწამე ევდემოზ კათალიკოსის ღვაწლის დაკნინებაა, რაც დიდი უმადურობა და უსამართლობაა ისტორიის წინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, ტფ., 1895.
2. მ. თამარაშვილი, კათოლიკობა ქართველთა შორის, ტფ., 1902.
3. მ. კაპანაძე, ქრისტიანობისა და ეკლესიისადმი როსტომ ხანის დამოკიდებულების საკითხისათვის, – კრ. აღმოსავლეთი და კავკასია, №5, 2007.
4. ზ. კაცელაშვილი, შეიპყრა მეფემან და ციხეში მოაშობინა, გაზ. „თბილისი“, 10 ივლისი, 1999.
5. ს. მასხარაშვილი, მატეანე ქართველთა, თბ., 2006.
6. შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1983.
7. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
8. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
9. ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბილისი-ათენი, 2003.
10. წმინდანთა ცხოვრებანი, წიგნი II, თბ., 2006.
11. ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. III, თბ., 2003.
12. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967

Bichiko Diasamidze

Catholicos Martyred for the Unity of Georgia

Summary

The work analyzes the social-political and economic policy implemented in the country by the king of Kartli – Rostom – in 1630-1650s, his relationships with the Catholicos Evdemos I and shows the real reasons of the Catholicos's tragic death.

The article also summarizes the results of Rostom Khan's reign and the tragic death of the Catholicos for the country.

Бичико Диасамидзе

Католикос- мученик за единую Грузию

Резюме

В работе проанализирована социально-экономическая политика Ростома-хана – царя Картли 30-50-ых годов XVII века, а также его отношение с католикосом Картли Эвдемосом I, показаны реальные причины трагического убийства католикоса и значение для судеб страны правление Ростома-хана и трагической гибели католикоса Эвдемоса I.

ქუჩუკ-კაინარჯის ზავი და მესხეთის საკითხი

რუსეთი XVIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის მზარდი შესაძლებლობებისა და პრეტენზიების ქვეყანას წარმოადგენდა. შესაბამისად, იზრდებოდა მისი მისწრაფებები ტერიტორიული გაფართოებისაკენ, რაც სტიმულირდებოდა მმართველი წრეების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით. რუსეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკაში განსაკუთრებულ ადგილს თანდათან ოსმალეთის იმპერიის ვრცელი და გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიების საკითხი იჭერდა.

აღნიშნული რეგიონის მიმართ ინტერესი რუსეთს ადრიდანვე გააჩნდა, რაც დაკავშირებული იყო საკუთარი მატერიალური ინტერესებისა და შავ ზღვაზე რუსული სავაჭრო და სამხედრო ფლოტის ნაოსნობის სრული თავისუფლების უზრუნველყოფასთან [Жиганов С., 1896:II].

შავი ზღვის პრობლემამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მიიღო, როცა რუსეთის იმპერია თავისი საზღვრების შავ ზღვამდე გაზრდის ”აუცილებლობის” წინაშე დადგა [Очерки истории СССР, 1956:349; Маркова О., 1966:58].

1762 წლის 6 ივლის ეკატერინე II-ს წარედგინა რუსეთის კანცლერის მ.ი.ვორონცოვის მოხსენება. მასში ფორმულირებული შეხედულებები რუსეთის ხელისუფლების წინაშე ოსმალეთთან დაკავშირებით რამდენიმე მკაფიოდ გამოკვეთილ ამოცანას აყენებდა. სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთისათვის აუცილებელი იყო: ა) მოეპოვებინა აზოვისა და შავ ზღვებზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება; ბ) შეეერთებინა ყირიმის სახანო, ან ოსმალეთისაგან მისი დამოუკიდებლობის აღიარების მიღწევით საფუძველი ჩაეყარა

აქ რუსული გავლენის გავრცელებისათვის, რითაც აღიკვეთებოდა ყირიმთან მომდინარე საფრთხე და, პერსპექტივაში, აზოვისა და შავ ზღვებზე დამყარდებოდა რუსეთის მფლობელობა; გ) აღეკვეთა ირანის კუთვნილი ტერიტორიების მიტაცების ხარჯზე კასპიისპირეთში თურქების დამკვიდრების მისწრაფება [Дружинина Е., 1955:47-68].

საკითხის ასე დაყენება მოწმობს, რომ 1760-იანი წლების დასაწყისში "რუსეთი მთელი თავისი ეროვნული ინტერესებით შავი და კასპიის ზღვების აუზში პოზიციების განმტკიცებისაკენ ისწრაფოდა" [მ. სამსონაძე, 1988:26]. კანცლერის მოხსენების უკან იმპერიაში არსებული საკმაოდ სოლიდური პოლიტიკური ძალები მოიაზრებოდა. გამომდინარე აქედან, ეკატერინე II-მ, რომელმაც აღნიშნული მოხსენება ტახტზე ასვლის ახლო ხანებში მიიღო, თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად აქცია იგი და ყველაფერი იღონა მისი რეალიზებისათვის.

ევროპულ სახელმწიფოთა ინტერესებში არანაირად არ ჯდებოდა პეტერბურგის გეგმების რეალიზება და ზოგი ამჟამად, ზოგიც ფარულად, მზად იყო ხელი შეეშალა რუსეთის შემდგომი გაფართოება-გაძლიერებისათვის.

ოსმალეთის იმპერია, რომელიც ევროპის დიდი სახელმწიფოების ამჟამად მხარდაჭერას გრძნობდა, მიუხედავად შინაგანი კრიზისისა [ო. ჯიბაშვილი, 2009 : 102-106], რუსული საფრთხის ლიკვიდირების მიზნით მზად იყო ომი წამოეწყო მასთან [ს. ხოსიტაშვილი, 1972:8]. მაღე, "ყირიმში საფრანგეთის კონსულის, ბარონ ტოტას უშუალო მონაწილეობით ყირიმმა და პოლონეთმა ხელი შეუწვევეს კონფლიქტის პროვოცირებას" [Маркова О., 1966:60].

1768 წლის 25 სექტემბერს ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა, რომლის დროსაც "ბრძოლა შავი ზღვისათვის... გადამწყვეტ ფაზაში შევიდა" [ო. გიგინეიშვილი, 1959:219].

დიდი პოლიტიკის კულუარებში არსებული ანტირუსული განწყობილებით გამოწვეული მოკავშირეთა დეფიციტის შევსება რუსეთმა ოსმალეთის იმპერიის უღელქვეშ მყოფი ან მის

წინააღმდეგ მებრძოლი ქრისტიანი ხალხების გამოყენებით სცადა. 1768 წლის 12 ნოემბერს, საგანგებო საბჭოს სხდომაზე გადაწყდა მორეელების, დაღმატების, ქართველებისა და ოსმალთაგან შევიწროვებული სხვა ქრისტიანების ”სადვთო ომისაკენ” მოწოდების ღოზუნგით თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა [Исторический очерк..., 1899:75].

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II სიხარულით გამოეხმაურა პეტერბურგის მოწოდებას და ამ ომში რუსეთის მხარეზე გამოვიდა. იგი ”რუსეთის დახმარებით... ოსმალეთის მიერ მიტაცებული მესხეთის შემოერთებას, ჭარ-ბელაქნის დაპყრობასა და ქართლ-კახეთში ”ლეკიანობის” მოსპობას აპირებდა” [ნ. ბერძენიშვილი, 1965:217].

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ერეკლეს გეგმები მესხურ მიწებთან დაკავშირებით. მას კარგად ესმოდა ამ ტერიტორიების მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის და 1768-1774 წლების ომის მსვლელობის მთელ სიგრძეზე დაუნიებით ითხოვდა რუსეთისაგან ქმედით დახმარებას აღნიშნული მიწების ოსმალთაგან განთავისუფლების საქმეში.

ამ თხოვნას იმეორებს ერეკლე მეფე ეკატერინე II-სადმი გაგზავნილ, 1771 წლის 30 დეკემბრით დათარიღებულ მფარველობითი ხელშეკრულების პროექტშიც: ”კუალად ვედრებით მოგახსენებთ თქვენს ყოვლად მოწყალეებასა, რათა ამავე გაზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა; და თუ შერიგება მოხდეს თქვენის დიდებულებისა და სულტანისა, მაშინაც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაითგან საქართუელოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალი ქრისტიანენი არიან იმათში და სხუანიცა ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ” [ვ. მაჭარაძე, 1997:766(დოკ.№661)]. იგივე თხოვნა შესულია რუსეთში ელჩად მივლინებული ლევან ბატონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის მიერ ნ.პანინისადმი წარდგენილ, 1773 წლის 27 აპრილით დათარიღებულ პროექტშიც [ვ. მაჭარაძე, 1997:863(დოკ.№724)].

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ერეკლე მეფის რუსეთის მხარეზე ომში ჩაბმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი

სამცხე-საათაბაგოს დაბრუნების დიდი იმედი იყო, თუმცა ერეკლეს უფრო შორს მიმავალი მიზნებიც გააჩნდა.

ჯერ კიდევ 1769 წლის 4 სექტემბერს ნ.პანინისათვის გაგზავნილ წერილში მეფე ერეკლე ომში ჩაბმისათვის სრულ მზადყოფნას გამოთქვამდა, ოღონდ სანაცვლოდ არანაკლებ 15 პოლკი რუსი ჯარისკაცით ითხოვდა დახმარებას. წერილის ბოლოში იგი აცხადებდა: ”ამ თხუთმეტის პოლკისაგან ხუთი პოლკი ჯარი ახლა გვებოდოს, ამ ზამთრამდისვე... ეს ხუთი პოლკი ჯარი ამად გვენებაეს ამ ზამთრამდის და ამისთვის მოგასსენებთ და გთხოვთ, რომ რადგან ოსმალთ ძალი ჩუენს საზღურამდე არ მოწეულა, ჩვენ იმ ჯარის შეწევნით, რომელნიც რომ არარატის მთის გარშემო, ანუ ახალციხისა და ანუ ყარსისა გარეშემო ქრისტიანენი არიან, და იგინი ოსმალთა მონებასა ქუეშე იმყოფებიან, და კუალად, რომელნიც შავი ზღვის გარშემო ჩვენ კერძო ადგილნი უჭირავნ, შესაძლებელ არს, რომ ყოველივე ძალითა დეთისათა მიეუღოთ; და ათი პოლკი – გაზაფხულზე, როდესაც დროსა და საქმესა ეშესაბამებოდეს, მაშინ გვიბოდოთ” [ვ. მაჭარაძე, 1988:415-416 (დოკ. №160)].

ამდენად, ერეკლე II არა მარტო სამცხე-საათაბაგოს, არამედ ლაზეთისა და დასავლეთ სომხეთის ერთი ნაწილის დაკავებასაც გეგმავდა და ამისათვის საკმაოდ რეალური საფუძვლებიც გააჩნდა [ო. ჯიბაშვილი, ვის ებრძოდა..., 2003 : 41-45; მისივე, ერეკლე II ურთიერთობა აისორებთან..., 2003 : 202-205; მისივე, 2005 : 51-56].

ბუნებრივია, ასეთი გეგმების ფონზე მეფე ერეკლე უმოქმედოდ ვერ დარჩებოდა და შეეცდებოდა მათ განხორციელებას რუსეთთან ალიანსში. სხვა საკითხია, როგორ შესძლო მან ეს.

რაც შეეხება რუსულ მხარეს, მისი მიზანი იყო ერეკლესა და სხვა ქართველ მფლობელებს ოსმალთა რაც შეიძლება მეტი სამხედრო ძალები დაეხმარებინათ ამიერკავკასიის ხაზზე, რათა ამით შეღავათი მისცემოდა ბალკანეთის ფრონტზე მებრძოლ რუსებს. თავდაპირველად პეტერბურგში სურდათ

ქართულ სამეფო-სამთავროებს საკუთარი ძალებით ეწარმოებინათ დივერსიები ოსმალეთის წინააღმდეგ, მაგრამ მოლაპარაკებების პროცესში ერეკლე II-მ შესძლო პეტერბურგის დარწმუნება ამიერკავკასიაში თავისი საბრძოლო კონტინგენტის გამოგზავნის სარგებლიანობაში. 1769 წლის ზაფხულის მიწურულს 480 კაცისაგან შემდგარი რუსეთის საექსპედიციო კორპუსი გენერალ-მაიორ გოტლიბ-კურტ პენრის ფონ ტოტლებენის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა. შემდგომში საექსპედიციო კორპუსი თანდათან რამდენიმე ათას კაცამდე გაიზარდა.

ტოტლებენისდა სამწუხაროდ, მოვლენების განვითარებამ აჩვენა, რომ ერეკლეს გეგმები არ შეესაბამებოდა რუსეთის მთავარსარდლობის სტრატეგიულ გათვლებს. ქართველი მეფე მიმდინარე ომში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ფართო ტერიტორიული შენაძენის მიღებას იმედოვნებდა, ხოლო რუს გენერალს სარდლობისაგან მხოლოდ თარეშული ხასიათის ბრძოლის წარმოება და დივერსიებით ოსმალთა გარკვეული ძალების ამიერკავკასიაში დაბანდება ევალებოდა, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიულ გაზრდას არ ითვალისწინებდა. ერეკლეს ასეთი ვარიანტი ხელს არ აძლევდა. ადგილობრივი რესურსების გარეშე კი ტოტლებენი თავის მისიას პრაქტიკულად ვერ ასრულებდა, რაც ასე აუცილებელი იყო 1761 წელს ჩადენილი დალატით შებღალული სახელის აღდგენისათვის. გამოსავალი ერეკლეს ფიზიკურ ლიკვიდაციასა და ქართლ-კახეთში პოლიტიკური ძალაუფლების უზურპაციაში მდგომარეობდა. ცენტრთან შეთანხმებით ტოტლებენი წავიდა კიდეც ამ ავანტიურაზე, მაგრამ, როგორც ცნობილია, მისი რეალიზება ვერ შესძლო [ოჯიბაშვილი, 2007:159-163]. რუსეთი იძულებული გახდა იგი გენერალ-მაიორ ალექსი სუხოტინით შეეცვალა, თუმცა ვერც მან მოახერხა ქართველთა შეხედულებების გათვალისწინების გარეშე წარმატებების მიღწევა. პეტერბურგმა თავისი რაზმების ამიერკავკასიიდან გაწვევის გადაწყვეტილება მიიღო.

1772 წლის ივლისში რუსეთის საექსპედიციო კორპუსმა საქართველო დატოვა [ვ. მაჭარაძე, 1997:826(დოკ.№698), 833 (დოკ.№702)] არ ვიქნებით ტენდენციური, თუ ვიტყვი, რომ ამ აქტით რუსეთის საიმპერატორო კარმა ფაქტობრივად ტოტლებენის დალატი გაიმეორა. ვერ ისარგებლა რა ადგილობრივი რესურსებით საკუთარი გეგმებისამებრ, მსგავსად თავისი ავანტიურისტის გენერლისა, იმპერიამ სამხედრო მოკავშირე საომარ ვითარებაში მიატოვა და ამით, კიდევ ერთხელ, უხეშად დაარღვია სამოკავშირეო ნორმები.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების ნამდვილი მიზეზის აფიშირება, თავისთავად ცხადია, პოლიტიკური თვალსაზრისით წამგებიანი იქნებოდა ეკატერინე II-თვის, რომელიც ევროპის წინაშე თავისი ჰუმანურობით კეკლუცობდა და ჩაგრული ქრისტიანი ხალხების უანგარო დამცველად ასაღებდა თავს [Философическая и политическая..., 1802]. პეტერბურგში იმიჯის შენარჩუნება "გაღმა შედაგების" პრინციპით სცადეს. ერეკლე II-თვის განკუთვნილ, 1772 წლის 8 თებერვლით დათარიღებულ წერილში გრაფმა პანინმა ქართველ მფლობელებს ბრალი დასდო ურთიერთშეუთანხმებელ მოქმედებებში და ჯარის გაყვანის ოფიციალურ მიზეზადაც ეს დაასახელა. ამასთანავე, იგი ერეკლე მეფეს მოუწოდებდა ესარგებლა მიმდინარე ომში ბრწყინვალე პორტას დასუსტებით და დამოუკიდებლად გაეგრძელებინა დივერსიები ოსმალეთის წინააღმდეგ. სანაცვლოდ, – წერდა გრაფი, – "ოტომანთა პორტასთან ზავის დადებისას საქართველოს ხვედრი ისე იქნება უზრუნველყოფილი, თითქოს ეს ქვეყანა სრულიად რუსეთის იმპერიის ნაწილი იყოს, აგრეთვე სამუდამოდ დავიმტკიცდებათ ის თურქული მიწები, რომელთა დაუფლებასაც თქვენ მოახერხებთ". აქვე პანინი ერეკლეს აცნობებდა, რომ რუსეთის რწმუნებული კაპ. ი.ღვოვი კვლავ საქართველოში რჩებოდა [ვ. მაჭარაძე, 1997:795(დოკ.№683)].

მიანიშნებდა რა ოსმალთაგან მიტაცებული მიწების დაბრუნების შესაძლებლობაზე, ამით პანინი ყველაზე მგრძობიარე ნერვს უღიზიანებდა ერეკლე II-ს. ეს იყო დიპლომა-

ტიური მანევრი. იგი მიზნად ისახავდა საქართველოში შენარჩუნებულიყო პრორუსული განწყობილება და აქაური პოტენციული კვლავ ყოფილიყო გამოყენებული ოსმალეთის წინააღმდეგ. იდენტური შინაარსისა იყო სოლომონ I-სათვის განკუთვნილი იგივე რიცხვით დათარიღებული წერილიც [ვ. მაჭარაძე, 1997:796-798(დოკ.№684)].

რუსული კორპუსის გაწვევამ მთელ საქართველოში უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია. როგორც ღვოვი მოახსენებდა პანინს, განსაკუთრებით ქართლ-კახეთის მოსახლეობა იყო შეშფოთებული. ამის გამო ერეკლე მეფე იძულებული გახდა ყალბი ხმებიც გაეგრცვლებინა, თითქოს ბატონიშვილი ლეონის შეტყობინებით რუსეთი ახალ რაზმს აგზავნიდა ამიერკავკასიაში [ვ. მაჭარაძე, 1997:824(დოკ.№698)].

ბატონიშვილი ლეონი და კათოლიკოსი ანტონ II სპეციალური მისიით 1772 წლის 5 იანვარს რუსეთში გაგზავნილ ელჩობას ხელმძღვანელობდნენ [ვ. მაჭარაძე, 1997:842 (დოკ. №709)] და ამ დროისათვის ასტრახანში იმყოფებოდნენ. მათ ევალებოდათ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღებასთან დაკავშირებით შედგენილი სათანადო თხოვნის ტექსტი და ხელშეკრულების პროექტი გადაეცათ იმპერატორსა ეკატერინე II-ის. ერეკლეს ასეთი ნაბიჯი იმან განაპირობა, რომ მიმდინარე ომში რუსეთის მხარეზე გამოსვლით იგი დაუპირისპირდა როგორც ოსმალეთს, ისე სხვა მაჰმადიან მეზობლებს და მას მოკავშირისაგან ქმედითი დახმარება სჭირდებოდა, და რადგან მხოლოდ მოკავშირეობით ამას ვერ მიაღწია, მის უზრუნველყოფას მფარველობაში შესვლით შეეცადა. ესოდენ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში, უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად, დიდი როლი ითამაშა მესხეთის შემოერთების დაუძღვევლმა სურვილმაც, რაც კარგად აისახა ზემოთ აღნიშნულ პროექტში [ვ. მაჭარაძე, 1997:764-767(დოკ.№661)].

მოკავშირისაგან მიტოვება დიდი დარტყმა იყო ერეკლე II-თვის. იმედგაცრუებასთან ერთად მტკივნეულად განიცადა მან რუსეთის მიერ წაყენებული უსაფუძვლო ბრალდებაც. 1772

წლის 29 ივნისს ერეკლე ლვოვს სწერდა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობდა, ხოლო სამხედრო თანამშრომლობის არასასურველი შედეგები კორპუსის მეთაურთა არასწორი სტრატეგიით იყო გამოწვეული. აქვე სინანულით აღნიშნავდა: "თუ ჩვენის ქვეყნის მხრიდან მისის დიდებულების კორპუსით მივსულიყავით ახალციხეზედა, კეთილ შეზავებულის ჰაერით და კარგის გზით, გაუჭირვებლად და პრავიანტის დამზადებულობით მივიყვანდი ჯარსა მისის დიდებულებისასა. და როდესაც ახალციხე მისის დიდებულობის ბედნიერებით აიღებოდა, ყოველივე ამისი უეზდნი ჩვენდა მომართ თან შეკრულნი იქმნებოდნენ და უომრად დაგვემონებოდნენ ზღვისა და ხმელისა სიმაგრენი, უმეტეს ამისთვის, რომ უფროსი ერთი ხალხი ქრისტიანენი არიან და ქართულის ენის მეცნიერნი და დიდადაც სურისთ ოსმალთაგან გამოხსნა" [ვ. მაჭარაძე, 1997:816(დოკ.№696)]. შემდეგ ერეკლე II მიუთითებდა, რომ სანამ რუსეთი იომებდა, თავადაც გააგრძელებდა ბრძოლას და თუ იმპერატრიცას ნება იქნებოდა, რუსული კორპუსით კვლავ დახმარების შემთხვევაში, "პონტოსა და კასპიის ზღვის საშუალი ქვეყნებისა და თვით სრულის სპარსეთის" დაპყრობაც კი ადვილი შესაძლებელი იყო [ვ. მაჭარაძე, 1997:817(დოკ.№696)].

მიმზიდველი პერსპექტივების დახატვით, ერეკლე ცდილობდა პეტერბურგში ეფიქრათ მიღებული დადგენილების გადასინჯვისა და ახალი კორპუსის გამოგზავნის მიზანშეწონილობაზე. მისი მონდომება გასაგებია. რუსების გასვლით მესხეთთან დაკავშირებული ერეკლესეული გეგმების განხორციელება ეჭვქვეშ დგებოდა. ამას ემატებოდა საომარი მდგომარეობა ოსმალეთთან და დამოკიდებულების გაუარესება ქართლ-კახეთის პრორუსული ორიენტაციით შეშფოთებულ სხვა მაჰმადიან მეზობლებთან [ვ. მაჭარაძე, 1997:801-802 (დოკ.№686), 805 (დოკ.№689), 807-808 (დოკ.№692)]. ასეთ პირობებში რუსეთში გაგზავნილმა ელჩობამ მეტი მნიშვნელობა შეიძინა.

1772 წლის 3 ივლისს ერეკლე II ნაპინის სწერდა, რომ ”ეს საქმე (ჯარის გაყვანა – ო.ჯ.) ჩვენის და ჩვენის ქვეყნის ოხრება არისო” და უმორჩილესად სთხოვდა, დახმარება გაეწია ქართველი ელჩებისათვის დაკისრებული მისიის შესრულებაში [ვ. მაჭარაძე, 1997:829-830(დოკ.№700)]. ელჩიონისადმი გულისხმიერების გამოჩენასა და ქართლ-კახეთის მფარველობაში მიღებას ეაჯებოდა იგი იმპერატრიცა ეკატერინესაც [ვ. მაჭარაძე, 1997:822(დოკ.№699)].

საქართველოში განცდილი წარუმატებლობის გამო, საიმპერატორო კარმა ჯერჯერობით მიზანშეუწონლად მიიჩნია ქართლ-კახეთის ელჩობის მიღება და ვითარების გარკვევამდე იგი ასტრახანში შეაჩერა.

1772 წლის მარტის დასაწყისში დუნაის ფრონტის სარდალმა, ფელდმარშალმა პრუმიანცევმა ოსმალეთის დიდი ვეზირისაგან საზავო მოლაპარაკების დაწყების შემოთავაზება მიიღო [Чечулин Н., 1896:351]. 19 მაისს გაფორმდა დროებითი ზავი. ივლისის ბოლოს კი ვლახეთისა და მოლდავეთის საზღვართან მდებარე ფოკშანში საზავო კონფერენცია დაიწყო. ფოკშანის მოლაპარაკება ოსმალეთის მიზეზით მალევე ჩაიშალა – საზავო პირობები მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

მოლაპარაკებათა ახალი ეტაპი, რომელიც ბუქარესტის კონგრესის სახელით არის ცნობილი, 1772 წლის 29 ოქტომბერს დაიწყო და 1773 წლის 9 მარტამდე გაგრძელდა. ბუქარესტის კონგრესზე რუსულმა მხარემ ოსმალეთს თავისი მოთხოვნების სრული ტექსტი წარუდგინა. წარდგენილი პუნქტების ნაწილი ოსმალეთმა მისაღებად ცნო, მაგრამ ის, რაც უმთავრესი იყო რუსეთისათვის, დაუკმაყოფილებელი დარჩა. კერძოდ, ბრწყინვალე პორტა სასტიკი წინააღმდეგი იყო მიეცა რუსეთისათვის შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება, გადაეცა მისთვის ჩრდილო-შავიზღვისპირეთის ნავსადგურები (ქერჩი, იენიქალე, ქინბურნი) და ეცნო ყირიმის დამოუკიდებლობა [Дружинина Е., 1955:246-247]. ანუ რუსეთი პრინციპულ წინააღმდეგობას წააწყდა სწორედ იმ საკითხებში, რომელთა მოგვარებაც მიმდინარე ომში მისი

ძირითადი მიზანი იყო. პრაქტიკულად დამარცხებული ოსმალეთის სიჯიუტე ევროპის სახელმწიფოების ანტირუსული განწყობილებით საზრდოობდა [Ляхов В., 1958:53-54; ვ. ტარტარაშვილი, 1968:10-28; Восточный вопрос..., 1978:36-38]. დიდ იმედებს უნერგავდა ბრწყინვალე პორტას რუსეთის საშინაო მდგომარეობის გართულება და შვედეთის მოსალოდნელი დივერსიაც ამ ქვეყნის წინააღმდეგ [Дружинина Е., 1955:247]. მოლაპარაკებების ბედი საბოლოოდ ისევე იარაღის ძალას უნდა გადაეწყვიტა.

რაც შეეხება ქართლ-კახეთს, საექსპედიციო კორპუსის გაყვანის შემდეგ, მდგომარეობა აქ შედარებით გართულდა. გახშირდა მოთარეშეთა თავდასხმები როგორც ახალციხის, ისე დაღესტნის მხრიდან [ვ. მაჭარაძე, 1997:849-851(დოკ.№715)]. 1773 წლის 23 ივნისის წერილით ერეკლე II სპეციალურად ამახვილებდა პანინის ყურადღებას ამ საკითხისადმი, თან დიპლომატიურად მიუთითებდა, რომ ლეკ-ოსმალთა გაძლირებული მტრობის მიზეზი ქართლ-კახეთის რუსეთთან მოკავშირეობა იყო და სთხოვდა გრაფს დახმარება გაეწია მისთვის მფარველობის მიღების საქმეში [ვ. მაჭარაძე, 1997:868-870 (დოკ.№727)].

გადაწყვეტილება ქართული ელჩობის ასტრახანიდან პეტერბურგში გაშვების თაობაზე საიმპერატორო კარმა 1772 წლის დეკემბერში მიიღო. 30 დეკემბერს ნ.პანინმა სათანადო ბრძანება გაუგზავნა ასტრახანის გუბერნატორს ნ.ბეკეტოვს. ამავე ბრძანებით ელჩებს მიეთითათ, რომ პეტერბურგში მხლებელთა მხოლოდ მესამედი წაეყვანათ [ვ. მაჭარაძე, 1997:851-852 (დოკ.№716)].

პეტერბურგში ჩასული ელჩები 1773 წლის 27 აპრილს ნ.პანინს წარუდგნენ და გადასცეს მფარველობითი ტრაქტატის პროექტი. პროექტზე თვალის ერთი გადავლევითაც ჩანს, რომ იგი რუსეთის დახმარებით მესხეთის განთავისუფლებაზე იყო გათვლილი. ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. ეს ასეც იყო მოსალოდნელი. მიმდინარე ომში რუსეთს იმდენად სერიოზუ-

ლი პრობლემები ჰქონდა გადასაჭრელი, რომ საქართველო ამ ეტაპზე თავის შეწუხებად ნამდვილად არ უღირდა. როგორც პროფ. ი.ცინცაძე მიუთითებს, "1772-73 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღება იმ პირობებით, რომელთაც ქართველი მეფე სთავაზობდა რუსეთს, არ შედიოდა რუსეთის გეგმებში. რუსეთს ზავი ესაჭიროებოდა და საზავო მოლაპარაკებების გაჭიანურება და გართულება საქართველოს გამო არ შეიძლებოდა. ამიტომ ლეონ ბატონი-შვილისა და ანტონ პატრიარქის ელჩობა იმთავითვე განწირული მოჩანდა" [ი. ცინცაძე, 1960:82].

1773 წლის 31 დეკემბრის სიგელით ეკატერინე II-მ ოფიციალურად განუცხადა უარი ერეკლე მეფეს როგორც ჯარის გამოგზავნაზე, ისე მფარველობაში მიღებაზე. სიგელი დიპლომატიური დახვეწილობითაა შედგენილი და დემაგოგიის კარგ ნიმუშს წარმოადგენს. იმპერატრიცა მიუთითებდა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნდა ახალი კორპუსის გამოგზავნით ოსმალთა ზედმეტი გაღიზიანება და უმჯობესად თვლიდა საქართველოს ინტერესები საზავო მოლაპარაკებების დროს დაეცვა [ვ. მაჭარაძე, 1997:902-905(დოკ.№749)]. ამით ამწვიდებდა იგი მეფეს, რომელიც მისივე წაქეზებით ჩაება ომში და მტრით გარშემორტყმული, რეალურ სამხედრო თანადგომას ითხოვდა ოფიციალური მოკავშირისაგან. იდენტური სულისკვეთებით იყო გაუღენთილი პანინის 31 დეკემბრისავე წერილიც, რომელშიც იგი დამატებით რუსეთის რწმუნებულის კაპ. ი.ღვოვის რუსეთში გაშვებას ითხოვდა.

ქართველი ელჩები 1774 წლის თებერვალში სამშობლოში გამოისტუმრეს. მათი პირადი ნიჭი უძლური აღმოჩნდა გაერღვია პოლიტიკური პრაგმატიზმის ბარიერი და ეიძულებინა რუსეთი რეალური დახმარება აღმოეჩინა სამხედრო მოკავშირისათვის.

ფაქტობრივად, რუსეთმა, ვერ აქცია რა ერეკლე II თავის ხელში ბრმა იარაღად, მიმდინარე ეტაპზე მისდამი ინტერესი დაკარგა და იგი, შეიძლება ითქვას, ბრძოლის ველზე მიატოვა. როგორც ჩანს, "ტოტლებენის სინდრომით" არა მარტო

რუსი გენერლები, საიმპერატორო კარიც იყო დაავადებული. რუსეთთან ალიანსში იარაღის ძალით მესხეთის განთავისუფლების გეგმები ჩაიშალა. ერეკლეს ერთადერთ იმედად საზავო მოლაპარაკებები რჩებოდა.

ბუქარესტის კონგრესის ჩაშლის შემდეგ, რუსეთ-ოსმალეთს შორის საბრძოლო მოქმედებები განახლდა. 1774 წლის მაისში რუსებმა დუნაი გადალახეს და ფელდმარშალმა პ.რუმიაანცევმა მისდამი დაქვემდებარებული ჯარები მიმართა ქ. შუმლასაკენ, რომელიც სტამბოლისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. აქვე იყო განთავსებული დიდი ვეზირის მთავარი ბანაკი და საკომანდო პუნქტი [Соловьев С., 1966:77-79].

მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ბრწყინვალე პორტა ერთხანს კვლავ განაგრძობდა ბრძოლას. საბოლოოდ, რუსეთის მიერ ძალის დემონსტრირებამ თავისი საქმე გააკეთა – ოსმალეთმა წინააღმდეგობა შეწყვიტა. 1774 წლის 5 ივლისს, სოფ. ქუჩუკ-კაინარჯში განთავსებულ ფელდმარშალ პ.რუმიაანცევის სამხედრო ბანაკში თურქთა წარმომადგენლობა გამოცხადდა. 10 ივლისს დაიდო ზავი, რომელიც ისტორიაში ქუჩუკ-კაინარჯის ზავის სახელწოდებით შევიდა [Дружинина Е., 1955:269-272].

რუსული მხარე, ითვალისწინებდა რა ხანგრძლივი ომის მძიმე შედეგებს, რუსეთის წარმატებებით შეშფოთებული ევროპული სახელმწიფოების გაზრდილ ანტირუსულ განწყობილებას, ქვეყანაში ემელიანე პუგაჩოვის მეთაურობით მიმდინარე გლეხთა ომს [Дружинина Е., 1955:251; Ляхов В., 1958:62-90], არ აცხადებდა დიდ ტერიტორიულ პრეტენზიებს, თმობდა ოკუპირებულ ბულგარეთს, მოლდავეთს, ვლახეთს, ბესარაბიას და მთელ ძალისხმევას ყირიმისა და შავი ზღვის პრობლემების მოგვარებისაკენ მიმართავდა [Восточный вопрос..., 1978:36].

აღნიშნულ საკითხებში, როგორც ვთქვით, ოსმალეთი მძაფრ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთს. მისთვის მიუღებელი იყო როგორც შავ ზღვაზე მონოპოლიის დაკარგვა, ისე

ყირიმის დამოუკიდებლობის აღიარება. განსაკუთრებით აღი-
ზიანებდა ბრწყინვალე პორტას ეს უკანასკნელი. ა.სტახიევი,
რუსეთის რეზიდენტი სტამბოლში, თავის პატაკში წერდა:
”პორტა მზადაა დათმოს ყველა საკითხში, გარდა თათართა
დამოუკიდებლობისა, რომელსაც იგი არ შეურიგდება, ვიდრე
თუნდ ერთი თურქი დარჩება ცოცხალი” [ვ. ტარტარაშვილი,
1968:87]. მაგრამ, ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო. რუსულმა
დიპლომატიამ რუსულსავე ხიშტებზე დაყრდნობით შეუძლე-
ბელი შესძლო და ქუჩუკ-კაინარჯის ზავით მოიპოვა ის, რაც
კანცლერმა მ.ი.გორონცოვმა 1762 წლის 6 ივლისის მოსკენე-
ბით უპირველეს ამოცანად დაუსახა იმპერატრიცა ეკატერინე
II-ს. გადავხედოთ ამ ფაქტის დამადასტურებელ პუნქტებს.

ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების მე-3 არტიკულით,
თათარმა ხალხებმა: ყირიმელებმა, ბუჯაკელებმა, ყუბანელებ-
მა, ედისანელებმა, ჯამბულაკებმა და ედიჩყულელებმა
მოიპოვეს სრული დამოუკიდებლობა.

მე-10 არტიკულის 1-ლი ქვეპუნქტით, რუსეთის სავაჭრო
ფლოტმა მიიღო შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის, სრუ-
ტეებით სარგებლობის და ოსმალეთის პორტებში თავისუფა-
ლი შესვლის უფლება. რუსეთმა აგრეთვე მიიღო ის სავაჭრო
პრივილეგიები, რასაც ინგლისელები და ფრანგები ფლობდ-
ნენ.

მე-10 არტიკულის მე-2 ქვეპუნქტით, რუსეთს შეეძლო თა-
ვისი ვაჭრობა გაეგრძელებინა ოსმალეთის აფრიკულ კანტონ-
ებზე – ტრიპოლზე, ტუნისზე, ალჟირზე და ბრწყინვალე
პორტა ვაღდებული იყო ხელი შეეწყო მისთვის.

მე-10 არტიკულის მე-8 ქვეპუნქტით, რუსეთს გადაეცა
კინბურნის სიმაგრე და ვრცელი ტერიტორია მდინარეებს –
დნეპრსა და ბუგს შორის. ხოლო მე-9 ქვეპუნქტით, იენი-
ყალესა და ქერჩის სიმაგრეები თავიანთი ნავსადგურებითა და
მიმდებარე ტერიტორიებით [Дружинина Е., 1955:350-355 (დოკ.
№3)].

თავი რომ დავანებოთ ზავით მოპოვებულ სხვა წარმატე-
ბებს (ახოვისპირეთისა და ყაბარდოს საკითხების მოგვარება,

შედავათები ოსმალეთის ქვეშევრდომი ქრისტიანებისათვის და სხვ.), მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი მიღწევებიც კი უდიდესი გამარჯვება იყო რუსეთისათვის. ”ქუჩუკ-კაინარჯის სამშვიდობო ტრაქტატით – აღნიშნავს ისტორიკოსი ს.ჟიგანოვი, - რუსეთმა ნახა მნიშვნელოვანი მატერიალური სარგებელი, რის წყალობითაც მისმა სახელმწიფოებრივმა ორგანიზმმა მიიღო მძლავრი იმპულსი სწრაფი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის” [Жиганов С., 1896:199].

საზავო მოლაპარაკებებში რუსული დიპლომატია მთავარ აქცენტს აუცილებელი პრობლემების მოგვარებაზე აკეთებდა და ცდილობდა იმხანად მეორეხარისხოვანი საკითხების მიზეზით ნაკლებად დაპირისპირებოდა ბრწყინვალე პორას, რომლის ზურგს უკან ევროპის სახელმწიფოები იდგნენ. საქართველოც ასეთი მეორეხარისხოვანი საკითხების რიგში აღმოჩნდა. მისი ბედი 23-ე არტიკულით განისაზღვრა [Дружинина Е., 1955:356(დოკ.№3)]. განვიხილოთ მისი ტექსტის ზოგიერთი ნიუანსი.

23-ე არტიკულის ძალით, ბაღდათი, ქუთაისი და შორაპანი იმის საკუთრებად იქნა გამოცხადებული, ვისაც ისინი ძველთაგანვე (издревле) ეკუთვნოდნენ. ”ასე რომ თუ ეს ქალაქები ნამდვილად ძველთაგანვე (издревле) ან დიდი ხანია (с давнего времени) არიან ბრწყინვალე პორტას მფლობელობაში, ცნობილი იქნებიან მის კუთვნილებად” – ნათქვამია დოკუმენტში. ფაქტობრივად, ამ დებულებით აღნიშნული ქალაქები ოსმალეთის უშუალო საკუთრებად არის ნაგულისხმები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი დოკუმენტი, რომელიც 1768 წლის ნოემბერ-დეკემბრის მიჯნაზე იქნა შედგენილი საქართველოთი დაინტერესებული იმპერატრიცა ეკატერინეს ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. მასში პირდაპირაა მითითებული, რომ ”სამეგრელო, იმერეთი და გურია ძველთაგანვე (издавна) თურქეთის ქვეშევრდომია” [ვ. მაჭარაძე, 1988:295(დოკ.№80)]. როგორც ვხედავთ, იმდროინდელი ოფიციალური რუსეთისათვის დასავლეთი

საქართველო ოსმალეთის საკუთრებაა. ვფიქრობთ, სწორედ ამ შეხედულებამ ჰპოვა ასახვა ზავის ზემოთ მითითებულ არტიკულში.

განხილული არტიკულის სხვა დებულებებით, ოსმალეთს სამუდამოდ ეკრძალებოდა თავისი ქვეშევრდომი ქართველები-საგან მონების სახით ხარკის მიღება, მათ მფლობელობაში არსებული ციხეების დაკავება და მისდამი დაქვემდებარებულ პროვინციებში ქრისტიანული რელიგიის შევიწროება. ბრწყინვალე პორტა ვალდებულებას იღებდა, ამნისტია გამოეცხადებინა ყველა ქართველისათვის, ვინც კი განვლილ ომში მის წინააღმდეგ გამოვიდა. უკანასკნელ დებულებაში ქართლ-კახეთიც მოიაზრებოდა. სულ ამით ამოიწურებოდა საქართველოს საკითხი.

საინტერესოა, რომ მესხეთი საერთოდ არ ფიგურირებს ხელშეკრულების ტექსტში. მიუხედავად ერეკლეს მიერ არაერთგზის გამოთქმული თხოვნისა, პრაგმატული მოსაზრებებით რუსეთმა თავი შეიკავა მესხეთის გამო ოსმალეთთან ზედმეტი დაპირისპირებისაგან. ”აღმოსავლეთ საქართველოს იმედები ახალციხის საფაშოს დაბრუნების თაობაზე არ გამართლდა. ყირიმის დამოუკიდებლობა ნაყიდი იქნა ქართლ-კახეთის მოთხოვნებზე უარის თქმის ხარჯზე. ამას ადასტურებს ნ.ი.პანინის ინსტრუქცია რუსეთის წარმომადგენლები-სადმი ფოქშანის კონგრესზე (1772 წ.)” – მიუთითებს ო.მარკოვა [Маркова О., 1966:145]. ამდენად, პორტასაგან მიტაცებული ქართული მიწების ბედი ფოქშანშივე გადაწყვეტილა. რუსეთმა შეგნებულად აარიდა თავი დაპირებების შესრულებას და საზავო მოლაპარაკებებში არ გაითვალისწინა თავისი მოკავშირის უმთავრესი მოთხოვნები. მიუხედავად ამისა, ეკატერინე II 1774 წლის 5 სექტემბრის სიგელით დიდი რიხითა და პომპეზურობით ულოცავდა ერეკლე II-ს ომის დამთავრებასა და საზავო მოლაპარაკებების თითქოსდა საქართველოსათვის კეთილსასურველ შედეგებს [ვ. მაჭარაძე, 1997:931-932(დოკ.№769)].

ამრიგად, 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომმა ერეკლე II-ის იმედები ვერ გაამართლა. რუსეთთან სამხედრო კავშირში შეუძლებელი აღმოჩნდა "ოსმალის საქართველოსთან" დაკავშირებული გეგმების რეალიზება. სანაცვლოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს შეექმნა სერიოზული ხასიათის პრობლემები, რომელთა თავიდან აცილებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა [ივ. ჯავახიშვილი, 1989:83-84]. მესხეთის გამოსხნისათვის ბრძოლა ამ ეტაპზე უშედეგოდ დასრულდა. ისტორიული შანსი ხელიდან იქნა გაშვებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., გამ. „მეცნიერება“, 1965, 513 გვ.
2. გიგინეიშვილი თ., საქართველო ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, თსუ შრომები, ტ. 73, თბ., გამ. „მეცნიერება“, 1959, გვ. 251-230.
3. მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. I, თბ., თსუ გამ-ბა, 1988, 599 გვ.
4. მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. II, თბ., თსუ გამ-ბა, 1997, 956 გვ.
5. სამსონაძე მ., საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, თბ., გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1988, 318 გვ.
6. ტარტარაშვილი ვ., რუსეთ-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1968, 127 გვ.
7. ცინცაძე ი., 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1960, 304 გვ.

8. **ხოსიტაშვილი ს.**, ასპინძის ომი, თბ., გამ. „განათლება“, 1972, 160 გვ.

9. **ჯავახიშვილი ივ.**, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, იხ.: ივ.ჯავახიშვილი, პსურგულაძე, პროფ. დისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., კოლპ. „ბბნ“, 1989, გვ. 63-120.

10. **ჯიბაშვილი ო.**, ვის ებრძოდა ერეკლე მეფე ასპინძასთან, იხ.: საისტორიო მაცნე, ტ. 12, გამ.-ბა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათ., 2003, გვ. 41-46.

11. **ჯიბაშვილი ო.**, ერეკლე II ურთიერთობა აისორებთან და იეზიდებთან XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში, იხ.: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ტ. 5, გამ.-ბა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათ., 2003, გვ. 202-206.

12. **ჯიბაშვილი ო.**, ლაზებთან ერეკლე II-ის ურთიერთობის საკითხისათვის XVIII ს. 60-70-იან წლებში, იხ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, გამომც. „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათ., 2005, გვ. 51-57.

13. **ჯიბაშვილი ო.**, გენერალ ტოტლებენის ავანტიურის საკითხისათვის, იხ.: ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, გამომც. „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათ., 2007, გვ. 159-165.

14. **ჯიბაშვილი ო.**, რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ქართლ-კახეთის მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხისათვის, იხ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათ., 2009, გვ. 92-113.

15. Восточный вопрос во внешней политике России конец XVIII – начало XX в., М., Изд-во „Наука“, 1978, 434 с.

16. **Дружинина Е.**, Кючук-Каинарджийский мир 1774 года, М., ,, Изд-во акад. наук. СССР, 1955, 368 с.

17. **Жиганов С.**, Русская политика в восточном вопросе, т. I, М., Университ. тип., 1896, 465 с.

18. Исторический очерк, Кавказская война от их начала до присоединения Грузии, под редакцией генерал-майора **Потто**, Тиф., Изд-во воен.-ист. Отд. при штабе Кавказ. воен. окр., 1899, 332+XIV с.

19. **Ляхов В.**, Россия во второй XVIII века. Восстание крестьян под руководством Емельяна Пугачева, М., Изд-во ЦК КПСС, 1958, 94 с.

20. **Маркова О.**, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., Изд-во „Наука”, 1966, 323 с.

21. Очерки истории СССР, 2-я половина XVIII века, М., Изд-во Акад. наук СССР, 1956, 894 с.

22. **Соловьев С.**, История России, кн. XV, т. 29, М., Изд-во „Мисль”, 1966, 774 с.

23. Философическая и политическая переписка императрицы Екатерины II с г. Волтером, с 1763 по 1778 год, ч. 1, СПб., Императ. тип., 1802, 220 с.

24. **Чечулин Н.**, Внешняя политика России в начале царствования Екатерины II (1762-1774), СПб., 1896, 468+IV с.

Oleg Jibashvili

The Treaty of Kuchuk-Kainarji and the Issue of Meskhети

Summary

King Erekle II responded to St. Petersburg appeal and entered the Russian-Turkish war of 1768-1774 on the side of Russia. In alliance with Russia, he planned to return the old Georgian territories of Meskhети taken away by Turkey. Russia cherished the Georgian king's hopes.

The aims of Russia in this war were very serious and difficult to achieve: a) to get the right of navigation in the Black Sea; b) to annex the Crime Khanate or liberating it from Turkey spread the Russian influence there. So, Russia would not have been interested in opposing Turkey supported by European Powers because of Meskhети. In that period Petersburg considered Georgia and Georgian recourses as the means necessary to prevent the Ottoman forces in the South Caucasus. So Russia did not actually help her ally in Meskhети question. According to

pragmatic considerations during the Kuchuk Kainarji Negotiations Russia followed only her aims (and successfully) and the issue of Meskhети was not placed on the agenda at all. The hopes of East Georgia to return the old Georgian domain Samtskhe-Saatabago - Pashalik of Akhaltsikhe failed. The independence of Crimea was achieved due to denial of demand to correct the borders of the Kingdom of Kartli-Kakheti – says a Russian historian O. Markova (Маркова О., Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., Изд-во „Наука”, 1966, с. 145).

Thus, Erekle II's hopes in connection with 1768-1777 were failed. It proved to be impossible to realize the plans on Meskhети in alliance with Russia. Furthermore, that alliance worsened the relations of the Kingdom of Kartli-Kakheti with Muslim world. The fight to liberate Meskhети turned out fruitless. The historical chance was missed.

Олег Джибашвили

Кючук-Кайнарджийский мир и вопрос Месхетии

Резюме

В русско-османской войне 1768-1774 годов царь Картли-Кахетии Ираклий II отозвался на призыв Санкт-Петербурга и в этой войне выступил на стороне России. В альянсе с русскими он планировал отвоевать отторгнутые османами древнегрузинские земли Месхетии. Россия всячески стимулировала надежды грузинского царя.

В упомянутой войне у России были очень серьезные и трудно достигаемые цели. Она стремилась: а) получить на Азовском и Черном море право на свободное судоходство; б) присоединить Крымское ханство или добытая от Блистательной Порты признание его независимости, положить основу для распространения здесь

российского влияния. Исходя из этих соображений, Россия старалась из-за Месхетии не противостоять Османской империи, за спиной которой стояли мощные европейские государства. На данном этапе Грузия и грузинские ресурсы интересовали Петербурга как средство для удержания на грузино-османской границе определённого количества османских войск. Соответственно, Россия не оказала никакой реальной помощи союзнице в деле возвращения Месхетии. Выходя из прагматических соображений, и на Кючук-Кайнарджийских мирных переговорах она стремилась только к достижению своих целей (что, кстати, удалось вполне успешно) и совсем не озвучила месхетинский вопрос. «Надежды Восточной Грузии на возвращение Ахалцихского пашалыка, исконного грузинского владения Самцхе-Саатабаго (Месхетия), не были оправданы. Независимость Крыма была куплена ценой отказа от требования исправления границ Картли-Кахетинского царства» _ указывает русский историк О. Маркова (**Маркова О.**, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., Изд-во „Наука”, 1966, с. 145).

Таким образом, русско-османская война 1768-1774 гг. не оправдала надежды царя Ираклия II. В военном альянсе с Россией не удалось реализовать планы в связи с возвращением Месхетии. Взамен этого, из-за союза с Россией, у Картли-Кахетинского царства возникли серьезные проблемы с исламским миром. Борьба за освобождение Месхетии на этом этапе завершилось без успеха. Исторический шанс был упущен.

რუსეთ-გერმანიის ურთიერთობა ბერლინის კონგრესის შემდეგ (1878-1879)

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა და ბერლინის კონგრესმა „სამი იმპერატორის კავშირი“ გათიშა, რომელიც 1873 წლიდან მოქმედებდა [11, 379-380]. გათიშვა გამოწვეული იყო იმით, რომ რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის დიდმა წინააღმდეგობებმა იჩინა თავი [2, 73]. კანცლერმა ბისმარკმა კარგად იცოდა, რომ ბერლინის კონგრესის შედეგებმა უბიძგეს კანცლერ გორჩაკოვს რუსეთის პოლიტიკა შეეცვალა და გერმანიის მავივრად მოკავშირე საფრანგეთში ეძებნა [13, 85]. იმავე დროს, საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ვენასა და პეტერბურგს შორის კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში, ბერლინი ვენის მხარეზე აღმოჩნდებოდა. ეს დადასტურდა 1875-1878 წლების აღმოსავლეთის კრიზისის დროს და გამოძინარეობდა თვითონ გერმანიის მმართველი წრეების პოზიციიდან, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ აღმოსავლეთში თავისი ექსპანსიონისტური პოლიტიკის წარმოებისათვის, ბერლინი დასაყრდენს ვენაში ხედავდა [5, 228]. ამასთანავე, რუსეთის როგორც არასაიმედო მოკავშირის დასუსტება ხელსაყრელი იყო გერმანიისათვის [13, 63-64].

ბერლინის კონგრესი ერთგვარ მიჯნას წარმოადგენდა. მან გარკვეული სტაბილიზაცია მოახდინა, მაგრამ იმავე დროს, საფუძველი ჩაუყარა ფუნდამენტურ ბალკანურ წინააღმდეგობებს დიდი ხნით [9, 79].

რუსეთთან შესაძლო ომში ავსტრია-უნგრეთის დამარცხება, ან კიდევ მისი მრავაეროვანი იმპერიის დაშლა ხელს შეუწყობდა რუსეთის გავლენის გაძლიერებას და სლავური სახელმწიფოების წარმოშობას, რაც სასურველი არ იყო გერმანიისათვის [15, 402]. თუმცა, ვენასთან დაახლოება რუსეთ-

თან მტრობას ან ურთიერთობების გაწყვეტას არ ნიშნავდა. ეს სახიფათო იქნებოდა გერმანიისათვის, ვიდრე მას არ მოეწონებოდა ისეთი კომბინაცია, რომელიც უზრუნველყოფდა გერმანიის უსაფრთხოებას. ამ მიზნით, გერმანიის დიპლომატია ენერგიულად ცდილობდა მის მეტოქეებს შორის არსებული წინააღმდეგობების გამოყენებას [15, 402]. ეს ძირითადად ეხებოდა წინააღმდეგობებს დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს შორის, შემდეგ კი - ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთს შორის.

ბალკანეთზე დამოუკიდებელი სლავური სახელმწიფოების აღმოცენებამ, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებათა შედეგად, რუსეთის დიპლომატიას მუდმივი პრობლემები გაუჩინა [8, 467]. იმპერატორი ალექსანდრე III დარწმუნებული იყო, რომ მისმა წინამორბედმა დიდი შეცდომა დაუშვა, დაარღვია რა სტატუს კვო ბალკანეთზე: „1876 და 1877 წლებში ჩვენი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ მივდიოდით ხალხებთან, იმის მაგივრად, რომ გვევლო მთავრობებთან ერთად. რუსეთის იმპერატორი ყოველთვის მხოლოდ მთავრობებთან ერთად უნდა მიდიოდა“ [ციტ. 9, 79]. ამით მან აჩვენა, რომ ეს იყო არა მარტო ანტიხალხური პოლიტიკა, არამედ ისიც, რომ სოციალური მოძრაობანი ევროპაში გადაიქცა მნიშვნელოვან ფაქტორად ევროპულ პოლიტიკაში [9, 79].

ბერლინის კონგრესის შემდეგ, საგარეო-პოლიტიკური სიტუაცია ბალკანეთზე ძალიან შეიცვალა. ბოსნია და ჰერცეგოვინა ავსტრია-უნგრეთის მიერ იქნა ოკუპირებული. სერბია აღშფოთებული იყო რუსეთის „ღალატით“, რომელიც ბულგარეთს ანიჭებდა უპირატესობას, მიუხედავად იმისა, რომ სერბია რუსეთის მოკავშირე იყო თურქეთთან ომში [6, 150]. ეს გამოწვეული იყო ბულგარეთის გეოგრაფიული მდებარეობით, საიდანაც ახლოს იყო კონსტანტინოპოლი და სრუტეები. ამით კი, პეტერბურგი თვითონ უბიძგებდა სერბიას ავსტრია-უნგრეთის გავლენის ქვეშ მოქცეულიყო.

ავსტრია-უნგრეთის ელჩი პეტერბურგში გრაფი კალნოკი წერდა: „თუ სერბია დაექვემდებარება ჩვენს გავლენას, ან

კიდევ უკეთესი, თუ ჩვენ ვიქნებით პატრონები სერბიაში, მაშინ ჩვენ ადვილად შევძლებთ უზრუნველვეოთ ჩვენი ინტერესები ბოსნიასა და პერცეგოვინაში, აგრეთვე ჩვენი პოზიციები ქვემო დუნაისა და რუმინეთში. მხოლოდ მაშინ დაემყარება ჩვენი ძლიერება ბალკანეთში მკვიდრ საფუძველს, მონარქიის სასიცოცხლო ინტერესებთან შესაბამისობაში“ [ციტ. 9, 82].

სერბიის ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო რუსეთის პოზიციით. პრემიერ-მინისტრი მილან პიროჩანაძე რუსეთს „ბარბაროსულ ქვეყანას“ უწოდებდა და ძალიან ეშინოდა, რომ „კახაკთა ცხენის ფლოქვებს არ გადაეთელა თანამედროვე ცივილიზაცია“ [16, 264]. მაგრამ, ხალხის მასებში სიმპათია რუსეთის მიმართ კვლავ ცოცხლობდა და იზრდებოდა იმის კვალობაზე, რაც მატულობდა ავსტრიის გავლენა სერბიაში.

რუსეთ-გერმანიის ურთიერთობების გაუარესებას, ობიექტურად, ხელს უწყობდა სლავიანოფილური პრესის გალაშქრება ბისმარკის წინააღმდეგ, რომელსაც ადანაშაულებდნენ რუსეთის ინტერესებისადმი დალატში. ეს იმ დროს, როცა პრესის აზრით, რუსეთმა დიდი დახმარება გაუწია პრუსიას საფრანგეთთან ომის დროს [10, 136; 8, 468]. ბუნებრივია, ბისმარკი ყველანაირად ცდილობდა, რომ შექმნილ ვითარებაში რუსეთი გაემტყუნებინა და იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ბერლინის კონგრესზე, პირადად მან, უფრო მეტი გააკეთა რუსეთისათვის, ვიდრე რუსეთის დიპლომატებმა ერთად აღებულება [10, 136].

რუსეთ-გერმანიის ურთიერთობების გაუარესებას ხელს უწყობდა აგრეთვე ეკონომიკური ხასიათის წინააღმდეგობანი ამ ორ ქვეყანას შორის. გერმანია წარმოადგენდა მნიშვნელოვან ბაზარს რუსეთის ნედლეულისათვის. მაგალითად, 1879 წელს გერმანიაზე მოდიოდა რუსეთის მთელი ექსპორტის 30% [10, 136]. იმავე დროს, იუნკრობის ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი ბაზრის უცხოური კონკურენციისაგან დაცვის მიზნით, ბისმარკმა 1879 წლის იანვარში კარანტინის ღონისძიებათა ნიღბით, თითქმის მთლიანად შეწყვიტა რუსეთიდან პირუტყვის შემოყვანა. ამ ღონისძიებამ დააზარალა რუსეთის

მემამულეთა გარკვეული ნაწილი და კიდევ უფრო გააძლიერა ანტიგერმანული კამპანია რუსულ პრესაში. გერმანიის კანცლერმა არ დათმო პოზიცია და ამგვარად გაიშალა ე.წ. „საგაზეთო ომი“ ორ კანცლერს შორის [10, 137]. ყოველივე ამას გაცილებით ღრმა მიზეზები ჰქონდა და არ ამოიწურებოდა ორი კანცლერის ჩხუბით [13, 86-89].

პირუტყვის შეყვანის შეზღუდვას მოჰყვა ბაჟის დადება იმპორტულ პურზე, რამაც ძალიან უარყოფითად იმოქმედა რუსეთის სოფლის მეურნეობაზე და ფულად სისტემას მოშლით დაემუქრა. აღმოსავლეთის კრიზისთან დაკავშირებით, აგრეთვე თურქეთთან ომის სამზადისზე ხარჯების გაღებასა და რუსული ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემასთან დაკავშირებით, 1876 წლის 10 ნოემბერს რუსეთის მთავრობამ გამოსცა დადგენილება საბაჟო გადასახადების ოქროთი გადახდის შესახებ, რაც ქაღალდის მანეთის კურსის გათვალისწინებით, უდრიდა ბაჟის საერთო გადაიდებას 48%-ით [10, 137]. ასეთმა პროტექციონისტულმა პოლიტიკამ გერმანიის ბურჟუაზიის უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთისა და გერმანიის გაბატონებულ კლასებს შორის ურთიერთობების გაუარესება, ობიექტურად, ხელს უწყობდა გერმანიის დიპლომატიას განეხორციელებინა მის მიერ დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული დიპლომატიური კომბინაცია.

პეტერბურგი, რა თქმა უნდა, გრძნობდა საფრთხეს, რომელიც მას ემუქრებოდა ბისმარკის საქმიანობის შედეგად. ამახვილებდა რა ამაზე ყურადღებას, საბუროვი [3] ურჩევდა მთავრობას - არ ებიძგებინათ ბერლინისათვის მოკავშირე ვენაში მოენახა. 1879 წლის ივლისში საბუროვი აცნობებდა პეტერბურგს ბისმარკთან თავისი საუბრის შესახებ: „უკვე ერთი წელია, რაც ჩვენ ვხედავთ მზარდ დაახლოებას ბერლინსა და ვენას შორის. ეს პირდაპირი შედეგია ჩვენი დაძაბული ურთიერთობებისა გერმანიასთან. ახლა თავადი ბისმარკი მხარს უჭერს ამ დებულებას, რადგან არ გააჩნია სხვა უკეთესი და ჩვენ შეგვიძლია შევწვიტოთ ის, როგორც კი მოვისურვებთ... ეს ადამიანი განურჩევლად პოულობს

თავისთვის სარგებელს ყველგან, სადაც კი შეუძლია. შევნიშნავთ, რომ არ უნდა მივაჩვიოთ ის ვენაში ეძებოს დასაყრდენი, რომელიც არ ყოფნის მას პეტერბურგში“ [12, 81].

საბუროვი, ბუნებრივია, ხვდებოდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუარესების მიზეზებს, მაგრამ სრულებით ვერ ამჩნევდა გერმანიის დიპლომატიის მთავარ მიმართულებას, რომელიც გერმანიის გაერთიანების შემდეგ წარმოიშვა და ძველებურად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პეტერბურგის პროზიციას.

საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, გერმანიის დიპლომატია საიმედო მოკავშირის მონახვას გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა. ამ მხრივ, შედარებით სუსტი ავსტრია-უნგრეთი უფრო პერსპექტიული ჩანდა. როგორც გაზეთი „დროება“ აღნიშნავდა გერმანიას სულაც არ ჰქონდა აზრად მშვიდობიანობის დამყარება ევროპაში, არამედ ეძებდა კავშირის შექმნის შესაძლებლობას, რომ ამით გაძლიერებულიყო და ევროპაში გაბატონებულიყო [1].

კავშირის გაფორმება ვენასთან დაახლოება რუსეთის პროზიციამ და ცნობამ ანდრაშის ძალე გადადგომის შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრაში გერმანიასთან კავშირის თავგამოდებული მომხრე იყო. ამის მიუხედავად, ბისმარკი მაინც არწმუნებდა ანდრაშის, რომ არსებობდა „რუსული საფრთხე“ და ამიტომ ვენას არ შეეძლო ნეიტრალური დარჩენილიყო [17, 138].

1879 წლის 7 ოქტომბერს ვენაში გრაფმა ანდრაშიმ და გერმანიის ელჩმა თავადმა როისმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის. ის ითვალისწინებდა ურთიერთდახმარებას რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში და კეთილსასურველ ნეიტრალიტეტს იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტში ჩართული აღმოჩნდებოდა სხვა სახელმწიფო და ის არ იქნებოდა კავშირში რუსეთთან. კავშირი დაიდო ხუთი წლით და იარსება 39 წელს, პირველ მსოფლიო ომში მათ დამარცხებამდე [11, 384-385]. იმავე წლის 15 ოქტომბერს ვილჰელმ I-მა რატიფიცირება გაუკეთა ამ

ხელშეკრულებას და ის ძალაში შევიდა [19, 295]. ორთა კავშირი წარმოადგენდა პირველ რგოლს კავშირების იმ სისტემაში, რომელმაც საბოლოოდ ორ მტრულ ბანაკად გათიშა ევროპა [2, 74].

ორთა კავშირი აშკარად რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული [22, 49]. მაგრამ ბისმარკმა შეძლო, მართალია, გაჭირვებით, ვილჰელმ I-ის დაყოლიება, რომ სიმართლე დაემალათ რუსეთისათვის [18, №509].

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ხელშეკრულების ხელმოწერამდე, რუსეთი შეეცადა ჩაეშალა კავშირის დადება ბერლინსა და ვენას შორის. ამ მიზნით, 1879 წლის 27 სექტემბერს ბერლინში ჩავიდა გავლენიანი რუსი დიპლომატი საბუროვი - იმ დროს ელჩი ათენში, რომელიც გერმანიასთან კავშირის მომხრე იყო. ის მეფე ალექსანდრე II-ს სწერდა: „მეგობრული პრუსიის არსებობა გვაყენებს ჩვენ ევროპაში ერთადერთი პრივილეგირებული სახელმწიფოს მდგომარეობაში, რომელსაც არ უნდა ეშინოდეს თავდასხმისა“ [ციტ. 14, 288]. საბუროვმა ბისმარკს შესთავაზა შეთანხმების დადება ურთიერთუშიშროების შესახებ - გერმანიას ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვა ინგლისსა და რუსეთს შორის ომის შემთხვევაში, მაგრამ ბისმარკმა უარი თქვა მასზე [14, 288].

ვენასთან კავშირის გაფორმებამ დამატებითი სტიმული მისცა გენერალური შტაბის უფროსს ფელდმარშალ მოლტკეს, რომელიც ორ ფრონტზე ომს ესწრაფვოდა. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი საჭირო იქნებოდა რუსეთის წინააღმდეგ პრევენტიული ომის წარმოება.

მოლტკე ფიქრობდა რუსეთის შინაგანი და საგარეო სიძნელეების გამოყენებას და შეტევის მომზადებას აღმოსავლეთში [21, 151]. სწორედ ამიტომ აჩქარებდა მოლტკე ავსტრია-უნგრეთის გენერალურ შტაბს, რათა სწრაფად შეემუშავებინა ღონისძიებანი რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი ომის წარმოებისათვის, რასაც ბისმარკი უარყოფითად ხვდებოდა [21, 151]. მას კარგად ესმოდა რუსეთთან შეჯახების

მთელი საფრთხე. „ომი გერმანიასა და რუსეთს შორის, - წერდა ბისმარკი 1879 წელს, - სამხედრო შანსების მიუხედავად, ყველა შემთხვევაში დიდი უბედურება იქნება ჩვენთვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საფრანგეთი მასში მონაწილეობას არ მიიღებს. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება ჩვენს უმნიშვნელოვანეს ინტერესებს და ჩვენი ზურგი სრულად იქნება უზრუნველყოფილი, ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ ასეთ ბრძოლაზე“ [18, №713]. ასეთი მოსაზრება გერმანიის მმართველ წრეებს კარნახობდა სიფრთხილე გამოეჩინათ რუსეთთან ურთიერთობაში. თუმცა, იმ დროს, მათ შორის ჯერ კიდევ არ იყო ისეთი დაძაბულობა, როგორც ორი ათეული წლის შემდეგ.

ვენიდან დაბრუნების შემდეგ ბისმარკი განშტეინში შეხვდა თავად ორლოვს [4], რომელმაც ჰკითხა – ვენაში იმისათვის ხომ არ იმყოფებოდა, რომ კავშირი დაედო რუსეთის წინააღმდეგ. მოულოდნელობის მიუხედავად, ბისმარკმა თავდაჯერებით უპასუხა, რომ ვენაში იმიტომ გაემგზავრა, რათა გაეფრთხილებინა ავსტრია-უნგრეთი ხელი აეღოთ ყოველგვარ მტრულ განზრახვაზე რუსეთის მიმართ [12, 89].

ბისმარკი აღიარებს, რომ იტანჯება „კოალიციების კოშმარით“ [12, 87]. ამასთანავე, რაც შეეხება სამი იმპერატორის კავშირს, – მოახსენებდა ორლოვი ალექსანდრე II-ს, – ბისმარკის თქმით „ყველაფრის მიუხედავად, განაგრძობს არსებობას, ხოლო ფრანც-იოსებს მეტი არაფერი არ სურს გარდა თანხმობის სრული განახლებისა სამ იმპერატორს შორის“ [12, 89]. საბოლოო ანგარიშით, გერმანიის მმართველ წრეებს ძვირად დაუჯდათ ვენასთან კავშირის დადება, თუმცა, სამაგიერო მიუხელოთ მოგვიანებით, 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც გაფორმდა საფრანგეთ-რუსეთის კავშირი. ამასთან დაკავშირებით, კ. გრიუნვალდი შენიშნავდა, რომ „სწორედ გერმანული პოლიტიკის შეცდომა იყო იმის მიზეზი, რომ ორი დიდი სახელმწიფო (საფრანგეთი და რუსეთი - ვ.ჩ.)

გეოგრაფი-ულად და იდეოლოგიურად დაშორებული, ერთმანეთს ხელგაშლილი შეეგება“ [7, 127].

უნდა აღინიშნოს, რომ ბისმარკი საერთოდ არ ფიქრობდა რუსეთთან აშკარად მტრული ურთიერთობების შენარჩუნებას და ავსტრია-უნგრეთის იმედად დარჩენას [20, 594]. თუმცა აცხადებდა, რომ „ჩვენ შეგვიძლია და პატიოსნად უნდა დავიცვათ კავშირი ავსტრია-უნგრეთის მონარქიასთან; ეს პასუხობს ჩვენს ინტერესებს, გერმანიის ისტორიულ ტრადიციებს და ჩვენი ხალხის საზოგადოებრივ აზრს“ [5, 228].

ბისმარკი, თავისი საგარეო-პოლიტიკური კონცეფციის თანახმად, განაგრძობს თავის დიპლომატიურ საქმიანობას და ცდილობს რუსეთის რთული მდგომარეობის გამოყენებას, რომელშიც იგი იმყოფებოდა ბერლინის კონგრესის შემდეგ, რათა მიეზიდა ის თავის მხარეზე და ამით ხელი შეეშალა საფრანგეთთან მისი დაახლოებისათვის. ბისმარკი ახერხებდა კიდევ ასეთი პოლიტიკის გატარებას მოქნილი დიპლომატიური საქმიანობის წყალობით.

წყაროები და ლიტერატურა:

1. „დროება“, 1878, №78.
2. ტაბალუა ი. რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის წინ. თბ., 1960.
3. საბუროვი იყო რუსეთის ელჩი ათენში 1870-1880 წლებში და ბერლინში 1880-1884 წლებში.
4. თავადი ორლოვი იყო რუსეთის ელჩი პარიზში 1872-1884 წლებში, 1884 წელს - ელჩი ბერლინში.
5. Бисмарк О. Мысли и воспоминания, т. II. Пер. с нем., 1941.
6. Бьюкенен Дж. Мемуары дипломата. Пер. с англ., М., 1991.
7. Грюнвальд К. Франко-русские союзы. Пер. с фран., М., 1968.
8. Дебидур А. Дипломатическая история Европы. 1814-1878. Т. II. Ростов-на-Дону, 1995.

9. Задохин А.Г., Низовский А.Ю. Пороховой погреб Европы. М., 2000.
10. История дипломатии, т. II. М., 1963.
11. Палмер А. Бисмарк. Пер. с англ., Смоленск, 1998.
12. Русско-германские отношения. 1873-1914 гг. М., 1922.
13. Сказкин С.Д. Конец австро-русско-германского союза. М., 1974.
14. Тэйлор А.Дж. П. Борьба за господство в Европе. 1848-1918. Пер. с англ., М., 1958.
15. Чубинский В. Бисмарк. Биография. Санкт-Петербург, 1997.
16. Шемякин А.А. Идеология Николая Пашичв. Формирование и эволюция (1868-1891). М., 1998.
17. Dawson W. The German Empire. 1867-1914. Vol. 2, Hamden, 1966.
18. Die Grosse Politik der Europäischen Kabinette. Sammlung der diplomatischen Akten des Auswärtigen Amtes. Bd. 1-40. Berlin, 1922-1927. –Bd. III.
19. Engelberg E. Bismarck. Das Reich in der Mitte Europas. Berlin, 1990.
20. Gall L. Bismarck. Der Weise Revolutionär. Frankfurt a/M., 1980.
21. Helmert H., Schmiedel K. Kriegspolitik und Strategie des preußischen Generalstabes im deutschen Kaiserreich. - In: Diplomatie und kriegspolitik vor und nach der Reichsgründung. Berlin, 1971.
22. Waller A. Bismarck. New-York, 1985.

Vazha Chochia

Russia-Germany interrelations after Berlin congress (1878-1879)

Summary

The result of Berlin congress pushed Russia to start searching for ally instead of Germany. And the resistances between Russia and Germany were sharpened as in political, so in economic sphere. At the same time, the diplomacy of Germany was actively looking for connection with Vienna, that could bring danger for Russia, which opposed Austria-Hungary for Balkan. On October 7, 1879 was made an agreement

between Germany and Austria-Hungary, pointed against Russia. This connection represented the first team in that system of connections, which disconnected Europe as two hostile camps.

According to his foreign – political course, Bismarck actively acted to use Russia's hard situation after Berlin congress, for approaching to it and to prevent Russia from approach with France, even if temporarily.

Важа Чочиа

Русско-германские отношения после Берлинского конгресса (1878-1879)

Резюме

Результаты Берлинского конгресса побудили Россию искать союзника вместо Германии. Тем более что обострились русско-германские противоречия, как в политической, так и в экономической сферах. В то же время, дипломатия Германии активно искала союз с Веней, что могло создать угрозу для России, которая противостояла Австро-Венгрии на Балканах. 7 октября 1879 года был заключен союз между Берлином и Веней направленный против России. Этот союз был первым звеном в той системе союзов, которая разобщила Европу на два враждебных лагеря.

Бисмарк, следуя своей внешнеполитической концепции, активно действовал, дабы использовать сложное положение России после берлинского конгресса, вновь сблизиться с ней и этим помешать, хотя бы временно, русско-французскому сближению.

სურამის სარკინიგზო გვირაბი *(გვირაბის გახსნის 120 წლისთავისათვის)*

შავი და კასპიის ზღვების დამაკავშირებელმა სურამის სარკინიგზო გვირაბმა, თავისი გრანდიოზულობით და სიგრძით, მშენებლობის პროცესშივე მიიქცია ევროპის საზოგადოებრიობის ყურადღება. ამ საკითხზე აქტიურად წერდა იმდროინდელი პრესა. დაგროვდა სხვა სახის მასალაც. სურამის სარკინიგზო გვირაბის თემას მეტ-ნაკლებად ეხება ყველა ავტორი, ვინც ამიერკავკასიის რკინიგზაზე წერს. გვირაბის გაჭრისა და რკინიგზაზე გამჭოლი მოძრაობის დაწყების შემდეგ 120 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე მნიშვნელოვნად განვითარდა სატრანსპორტო კომუნიკაციის სხვა საშუალებები (საავტომობილო, საჰაერო). ამის მიუხედავად, რკინიგზა კვლავ მნიშვნელოვანია ყოველდღიურად მზარდი საერთაშორისო გადაზიდვებისათვის. ამიერკავკასიის რკინიგზა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო მაგისტრალია ევროპასა და აზიას შორის. სურამის სარკინიგზო გვირაბი კი ამ არტერიის სასიცოცხლო კვანძია. ამიტომ, გვირაბის გახსნის საიუბილეოდ, მიზანშეწონილად მივიჩნევ ამ საკითხზე გამოქვეყნებულ წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, უფრო დეტალურად განვიხილო მისი მშენებლობისა და ექსპლოატაციაში შესვლის წარსული ისტორია.

გვირაბი საზეიმოდ გაიხსნა 1890 წლის 16 სექტემბერს. ამ დღეს ამიერკავკასიის რკინიგზის საგანგებო მატარებელი, რომელზეც იყო ბევრი მაღალი რანგის სტუმარი, დასავლეთ საქართველოს მხრიდან მიადგა წიფას ხეობას. ამ მოვლენის თანამედროვის აღწერით: „ადრე აქ იყო ხელთუხლები ტყე სავსე წაბლის, ფიჭვისა და ნაძვის ასწლოვანი ხეებით. ის ახლა გაჩეხილია და ტერიტორია მოფენილია სახელოსნოებით,

დინამიტის საწოლებით, სამჭედლოებით, საავადმყოფოს და მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლებით. აქვეა წვრილლიანდაგიანი რკინიგზები, რომლითაც გვირაბში შეპქონდათ სამშენებლო მასალები, ხოლო იქედან ხეობაში გამოპქონდათ ჩამონგრეული გრუნტი. გვირაბთან დაყენებული იყო ტუმბოები. მათი მეშვეობით ამუშავებდნენ საბურღ მანქანებს და ვენტილიატორებს, რითაც ჰაერს აწვდიდნენ გვირაბში მომუშავეთ. ხეობის დასაწყისში არის რკინიგზის პატარა სადგური ძველი წიფა. აქედან რკინიგზა ეშვება თავდაღმართში, რკინიგზის სადგურ ახალი წიფასკენ, შემდეგ გვირაბისაკენ.

გვირაბი იწყება წიფას ხეობის ფსკერზე, ვეებერთელა მთის ქვეშ, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 3.682 ფუტია** [Бегичев, 1890:8].

ცნობილია, რომ ლიხის ქედის ქვეშ სარკინიგზო გვირაბის გაჭრის აუცილებლობა მწვავედ დადგა დღის წესრიგში 1883 წლიდან, მას შემდეგ, რაც ამოქმედდა ბაქო-თბილისისა და სამტრედია-ბათუმის სარკინიგზო მონაკვეთები. ამიერკავკასიის რკინიგზაზე გამჭოლი მოძრაობის არქონა ძლიერ აფერხებდა კასპიის ზღვის აუზიდან დაძრული ნავთობის, ბამბის, ხორბლის და სხვა ნედლეულის ტრანსპორტირებას ბათუმისა და ფოთისაკენ.

ამიერკავკასიის რკინიგზის ისტორიის პირველი მკვლევარი ა.არღუთინსკი-დოღგორუკოვი წერს, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზის პროექტირებისას (XIX ს. 60-იანი წლებში), მშენებლები, ბუნებრივია, წინდაწინ ვერ გაითვალისწინებდნენ ბაქოში ნავთობის მოპოვების მომავალ ბუმს და შავი ზღვით მის ყოველწლიურად მზარდ ექსპორტს. ამიტომ ფოთი-თბილისის რკინიგზა თავიდან იმ გათვლითაც კი დაპროექტდა, რომ ლიხის უღელტეხილზე ტვირთების და მგზავრთა მოძრაობა განხორციელებულიყო ცხენის გამწევი ძალის მეშვეობით [Аргутинский-Долгоруков, 1896:76].

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გვირაბის გაყვანის საკითხი დადგა ფოთი-თბილისის

რკინიგზაზე მოძრაობის დაწყებისთანავე (1872 წ.). ხაშურიდან (ძველად სადგ. მიხაილოვო) ზესტაფონამდე (სადგ. ყვირილა) 62 კილომეტრი იყო უღელტეხილის ჩათვლით. ამ გზის უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 930-მდე მეტრზე გადიოდა. ამიტომ გზას ახასიათებდა მკვეთრი (0,046 დახრილობის) და მოძრაობისათვის სახიფათო აღმართ-დაღმართები. რკინიგზის ამ მონაკვეთმა თავიდანვე შექმნა სირთულეები პირველ ყოვლისა მგზავრთა გადაყვანაში, რადგან სადგურებზე ყვირილასა (ზესტაფონი) და სურამში ხდებოდა მგზავრთა გადასხდომა 3-4 ვაგონისაგან შემდგარ სპეციალურ მატარებელში, რომელსაც სამი ორთქლმავალი ეწეოდა. იგივე მიზეზის გამო ყოფდნენ საბარგო მატარებლების შემადგენლობებსაც და ტვირთები ნაწილ-ნაწილ გადაჰქონდათ უღელტეხილზე [Сарган, 1970:198].

უღელტეხილზე დაბალი დახრილობის შემოვლითი გზის გაყვანისა და გვირაბის მოწყობის პროექტზე პირველად მუშაობდა ინგლისელი ინჟინერი გაბბი, ხოლო 1874 წლიდან ინჟინერი მიშენკოვი, კავკასიის გზათა ინსპექტორის, გამოცდილ სამხედრო ინჟინერ სტატკოვსკის მეთვალყურეობით.

სურამის უღელტეხილის შემოვლითი გზისა და გვირაბისათვის ინჟინრებმა მთავრობას შესთავაზეს შემდეგი 4 მიმართულება: წიფა-ჩუმათელეთი, წიფა-მონასტერი, წიფა-ბულბულის ციხე და ხარაგაული-ბულბულის ციხე. აქედან უპირატესობა ენიჭებოდა პირველ მიმართულებას, რომლის გვირაბი 4,9 ვერსტი სიგრძის უნდა ყოფილიყო. თუმცა იმ ეტაპზე საქმე ამაზე წინ არ წასულა [Аргутинский-Долгоруков, 1896:76-77].

ფოთი-თბილისის რკინიგზის ამოქმედების პირველ ხანებში, ზესტაფონ-ხაშურს შორის მონაკვეთზე დღე-ღამის განმავლობაში ერთდროულად მოძრაობა შეეძლო 16 წყვილ მატარებელს. შემდეგ, როცა მოაწყვეს ერთი ახალი სადგური წიფა (იგულისხმება ძველი წიფა), ამ მონაკვეთის გამტარიანობა გაიზარდა 21 წყვილ მატარებლამდე, რომლის საშუალო შემადგენლობა 12-14 სატვირთო ვაგონს შეადგენდა. მას

ამოდრავებდა „ფერლის“ ფორმის 2 ორთქმავალი ერთდროულად. მკვლევარ გ.ხუნდაძის ცნობით, თუ სამტრედია-ზესტაფონს შორის მატარებლის ერთი შემადგენლობა მოძრაობდა 55 დატვირთული, ან 62 ცარიელი ვაგონით, უღელტეხილზე ზესტაფონ-ხაშურს შორის ეს ციფრი მცირდებოდა 13 დატვირთულ ან 26 ცარიელ ვაგონამდე [Хундадзе, 1937:82-83]. ეს ქმნიდა საცობებს მთელს რკინიგზაზე. ფერხდებოდა მგზავრთა მოძრაობა და ტვირთების გადატანა.

1879-1880 წლების ციფმა ზამთარმაც დაადასტურა ლიხის მთის უღელტეხილზე მოქმედი რკინიგზის მოუხერხებლობა. მოვიდა დიდი თოვლი და თითქმის ერთი თვე გააჩერა მატარებლების მოძრაობა ფოთსა და თბილისს შორის. ასეთი რამ შემდგომ წლებშიც შეიძლებოდა მომხდარიყო. რკინიგზის გასაწმენდად საჭირო დროებითი მუშახელი კი ჭირდა უღელტეხილის მიმდებარედ სოფლებისა და მოსახლეობის სიმენხრის გამო [«K.K.», 1880:84].

სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევამ თურმე მთავრობას გადააფიქრებინა ვლადიკავკაზიდან-თბილისამდე, კავკასიის მთავარი ქედის გავლით, რკინიგზის გაყვანის გეგმა. ბოლოს გადაწყვიტეს ამიერკავკასიის რკინიგზის რუსეთის რკინიგზასთან შეერთება მომხდარიყო ბაქოდან-დერბენდის გავლით-რკინიგზის სადგურ პეტროვსკზე, იქიდან კი ვლადიკავკაზ-როსტოვზე [იქვე, 85].

ამის შემდეგ სურამის სარკინიგზო გვირაბის საკითხი კვლავ აქტიურად დაისვა. მით უმეტეს, რომ ბაქო-ბათუმის რკინიგზის მშენებლობა აქტიურ ფაზაში იყო. 1882 წელს რუსეთის მთავრობამ ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველობას შესთავაზა ამ მთიანი რეგიონის რკინიგზის მთლიანად გადაიარაღების ახალი სრულყოფილი პროექტის შემუშავება. რკინიგზის მმართველობამ ასეთი პროექტი მთავრობას უკვე 1883 წ. აგვისტოში წარუდგინა. ამ პროექტის მიხედვით ახალი (0,025 დახრილობის) შემოვლითი რკინიგზის სიგრძე იქნებოდა 21,7 ვერსტი* (23 კმ). აქედან 4,1 ვერსტი იქნებოდა მთავარი

გვირაბი. ეს სამუშაო მთლიანად უნდა დამჯდარიყო 10,6 მილიონი რუბლი, აქედან გვირაბის გაყვანისათვის – 7,2 მლნ რუბლი [Аргутинский-Долгоруков, 1896:78-79].

პროექტი შეისწავლა იმპერიის გზათა სამინისტრომ და მოიწონა მინისტრთა კაბინეტმა, რის შემდეგაც 1886 წ. 9 ივლისს გამოიცა უმაღლესი ბრძანებულება რკინიგზის აღნიშნული მონაკვეთის მოწყობის თაობაზე. იმავე ივლისში ჩატარდა ადგილის საბოლოო გეოდეზიური და გეოლოგიური გამოკვლევა. გაითვალისწინეს ევროპელ გვირაბმშენთა (სენ-გოტარდის და სხვა გვირაბების) გამოცდილება. შედეგად პროექტში შევიდა გარკვეული ცვლილება. გადაწყდა 3 ვერსტი და 374 საყენი (ანუ 3996 მეტრი) სიგრძის გვირაბის გაყვანა, რაც იყო ყველაზე ოპტიმალური ადგილობრივი პირობებისათვის. აღმოსავლეთის მხრიდან მისადგომი ხაზის მოწყობა ხაშურიდან (გვირაბის ჩათვლით) და შემდეგ დასავლეთისკენ სადგურ ახალ წიფამდე (დაახლ. 16 ვერსტი) იკისრა ხაზინამ, ხოლო დასავლეთიდან მისადგომი 6 ვერსტის რკინიგზის ხაზისა, სადგურ ახალ წიფადან–მოლითამდე აიგო ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოების მიერ [Бегичев, 1890:9-10, 14].

სურამის სარკინიგზო გვირაბის გაყვანა დაიწყო 1886 წლის დამლევს – მუშაობას შეუდგნენ ორივე მხრიდან, რაც თავიდან ხელით მიდიოდა. 1887წ. ივნისიდან კი შემოიტანეს ბრანდტის ფირმის საბურღი მანქანები და წარმატებასაც მალე მიაღწიეს. 1888 წლის 12 ოქტომბერს გვირაბის ღერძულა ხაზის გაყვანა დასრულდა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულება შეერთდა. ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო ხვრელის გაფართოება გვირაბისათვის საჭირო პარამეტრებამდე, შემდეგ მისი მოპირკეთება, გრუნტის მომზადება და ღიანდაგის დაგება.

გვირაბის გაყვანა დაუჩქარებია იმ გარემოებასაც, რომ 1888 წ. შემოდგომაზე კავკასიაში ჩამოსულ რუსეთის იმპერატორს თან ახლდა გზათა მინისტრი. ამიტომ მშენებლებისათ-

ვის სასურველი იყო გვირაბში ღერძულა ხაზი გაეყვანათ მინისტრის კავკასიიდან წასვლამდე. თუმცა მუშაობას აფერხებდა გრუნტის წყლები და აალებადი გაზები. გრუნტიდან განსაკუთრებით დიდი რაოდენობის წყალი გამოდიოდა გვირაბის დასავლეთის უბანზე, დღიურად 200 ათასიდან 900 ათას ვედრომდე. ასევე დიდი რაოდენობით ამოდიოდა ჭაობური წარმონაქმნის გაზები, რაც განათების ღამპების გამო ააღლებოდა კიდევ. მართალია, რამდენჯერმე მუშათა შორის დამწვრობებსაც კჰონდა ადგილი, მაგრამ ადამიანის სიკვდილი არ მოჰყოლია. შემდეგ დააყენეს სავენტილაციო მოწყობილობები და გაზის აალების შემთხვევები შემცირდა. გრუნტი იმ მთისა, რომლის ქვეშაც გაჰყავდათ გვირაბი, იყო არახელსაყრელი, შედგებოდა თიხისა და კირქვისაგან [Бегичев, 1890:9-11].

მოიჯარადებებთან დადებული კონტრაქტით, გვირაბის ძირი შესასვლელი მათ უნდა გაეჭრათ შემდეგი ზომებისა: სიმაღლე – 1,25 საჟენი,*** და სიგანეც 1,25 საჟენი (შემდეგ მოხდა გვირაბის სათანადო ზომებამდე გაფართოება ნაღმოსნების მიერ). გვირაბიდან გრუნტის გამოსატანად და იქ სამშენებლო მასალების შესაზიდად გაიყვანეს მსუბუქი კონსტრუქციის რკინიგზა. გვირაბში ვაგონეტების გამწვევი ძალა იყო ცხენები, გვირაბს გარეთ კი ორთქლმავლები. აქ მუშაობდა 500-მდე ვაგონეტი. გვირაბში გრუნტის გამოტეხვა და გამოტანა დაჯდა 2,5-მილიონამდე რუბლი [იქვე, 11–12].

ამის შემდეგ შეუდგნენ გვირაბის ქვით ამოყვანას და მოპირკეთებას. ფუნდამენტისათვის გამოიყენეს გრანიტის ქვა და მყარი ქვიშა, რაც დაჯდა 1,7 მლნ რუბლი.

გვირაბის მოწყობისათვის საჭირო დარჩა 15 ათასი კუბ. საჟენი მოსაპირკეთებელი ქვა, 80 ათასი კასრი ცემენტი, 4 ათასი კუბური საჟენი ქვიშა, 10 ათასი ყუთი დინამიტი, 700 ათას კუბ. საჟენზე მეტი ხე-ტყე გვირაბის გასამაგრებლად. გვირაბიდან გამოზიდეს 40 ათასი კუბური საჟენი გრუნტი. ყველაფერმა ამან ერთად აღებულმა შეადგინა 80 მილიონი

ფუთი. სურამის გვირაბის გაყვანა (შემოვლითი რკინიგზის ჩაუთვლელად) დაჯდა გათვალისწინებულზე ნაკლები – 5,2 მილიონი რუბლი.

მშენებლობას ხელმძღვანელობდა ინჟინერი ფ.დ.რიდქევსკი. გვირაბის მოწყობისათვის საჭირო მასალის შესარჩევად მან მრავალმხრივად შეისწავლა ადგილობრივი ქვის კარიერები. ამისათვის სათანადოდ იქნა გამოყენებული რუსეთის გზათა ინსტიტუტის მექანიკური ლაბორატორია (უფროსი პროფ. ბელელიუბსკი). ამ ლაბორატორიის მეშვეობით ადგილზევე ჩატარდა მოსაპირკეთებელი ქვების გამოცდა მექანიკურ წინააღმდეგობაზე, ატმოსფერულ წნევაზე, ყინვაგამძლეობაზე. მასალათა გამოცდაში აქტიურად მონაწილეობდნენ სამთო საქმის სპეციალისტებიც – ინჟინერი სტრაშევსკის მონაწილეობით [Аргу́тинский-Долгоруков, 1896:82-83].

გვირაბისათვის საშენი მასალა მთლიანად ქართული იყო. ის მოიტანეს შემდეგი ადგილებიდან: გრანიტი – გელათიდან და წიფის კარიერიდან, ტუფი – გორიდან, კირქვა – თეთრი მთის, სურამის და წიფის კარიერებიდან, ბაზალტი – ბორჯომის ხეობიდან, ქვიშა – ძეგვის კარიერიდან (მცხეთის ახლოს). ხე-ტყე ძირითადად ბორჯომიდან მოჰქონდათ. მხოლოდ ცემენტი იყიდეს ნოვოროსიისკის ქარხანაში.

გვირაბის მშენებლობაზე დასაქმებული იყო 2 ათასამდე მუშა. თითქმის მთლიანად არაქართველები. იმდროინდელი რუსი ავტორები ამას იმით ხსნიან, რომ კავკასიაში და საერთოდ რუსეთში არ იყვნენ გვირაბის მშენებლობის სპეციალისტები (საბურღო მანქანის მემანქანეები, მენადმეები და ა.შ.). ამიტომ კვალიფიციური კადრები გამოიწვირეს შვეიცარიიდან, გერმანიიდან და იტალიიდან. იქიდან გამოიწვირეს ქვის ხელოსანთა ნაწილიც. სხვა მუშახელი: ზეინკლები, დურგლები, ქვის ოსტატები და შავი მუშებიც კი, „იმიტომ, რომ ადგილობრივები არ მონაწილეობდნენო“, გამოიწვირეს რუსეთის შიდა გუბერნიებიდან, აგრეთვე სპარსეთიდან, თურქეთიდან და საბერძნეთიდან [Аргу́тинский-Долгоруков, 1896:81-

82; Бегичев, 1890: 12]. რა თქმა უნდა, აღნიშნულ ავტორთა შეფასებები აშკარად ტენდენციურია. გამოხატავს იმპერიულ სულისკვეთებას, რაც საქართველოში რუსების და სხვა არაქართველების ჩამოსახლებისათვის ხელის შეწყობას და კოლონიზაციის გამართლებას ითვალისწინებდა.

სურამის გვირაბის და მისი შემოვლითი გზების მშენებლობა თითქმის 4 წელიწადს გაგრძელდა (1886-1890) გვირაბში მუშაობა მიდიოდა დღისით და ღამით. სამუშაოს ხასიათიდან და სირთულიდან გამომდინარე, ერთი სამუშაო ცვლა იყო 8 ან 12-საათიანი. მშენებელთა კეთილსინდისიერი შრომის შედეგი იყო ის, რომ გვირაბის გაყვანის შემდეგ, დღეღამის განმავლობაში, შესაძლებელი გახდა 20 დატვირთული ვაგონით შემდგარი 30 წყვილი მატარებლის გატარება.

სურამის გვირაბმა ხელი შეუწყო ვაგონ-ცისტერნებით ნავთობის გადაზიდვის ზრდას. მაგალითად, 1889 წ. ბაქოდან ნავთობი გამოიზიდა 81 ათასი ვაგონ-ცისტერნით, გვირაბის გახსნის შემდეგ ამ ციფრმა 94 ათასს გადააჭარბა, ხოლო 1900 წ. 134 ათასი ვაგონ-ცისტერნი შეადგინა [Хундадзе, 1937:85].

სურამის გვირაბის ამოქმედების შემდეგ ამიერკავკასიის რკინიგზის შემოსავალმაც სწრაფად მოიმატა. თუ 1888 წელს ის შეადგენდა 10,9 მილიონ რუბლს, 1890 წ. შეადგინა 14,9 მლნ, 1894 წ. კი – 17,1 მილიონი რუბლი [Аргутинский-Долгоруков, 1896:173-174].

როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, გვირაბი საზეიმოდ გაიხსნა 1890 წ. 16 სექტემბერს. დასავლეთის მხრიდან სადგურ ახალ წიფაში შემოვიდა საგანგებო მატარებელი. მასზე იყვნენ: იმპერიის გზათა მინისტრი ა.ი. ფონ გიუბენეტი, კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველი გენერალ-ადიუტანტი ს.ა. შერემეტიევი და სხვა მაღალი პირები. რკინიგზა და გვირაბი აკურთხა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა.

უკურნ. „მწყემსი“ ასე აღწერს ამ მოვლენას: „გვირაბის საკურთხებლად მოწვეული იყო მისი მაღალ ყოვლად უსამღვდე-

ლოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელმაც 1872 წელს აკურთხა ფოთი-ყვირილას რკინის გზა. ყოვლად სამღვდელო გაბრიელი და სხვა პატივსაცემი სტუმრები გამოვიდნენ ქუთაისიდან დილის 7 საათზე საგანგებო მატარებლით. ხოლო 11 საათზე მოვიდნენ წიფის რკინის გზის ახალ სადგურზე. ყოვლად სამღვდელს ახლდნენ დეკანოზები გ.ცაგარეიშვილი და ღამბაშიძე და მგალობლები. წიფის სადგურთან იდგა მოძრავი ეკლესია რკინის გზისა“. იქ ეპისკოპოსმა გადაიხადა წირვა. ამასობაში თბილისიდანაც მოვიდნენ საპატიო სტუმრები. წირვის შემდეგ ყველანი წავიდნენ სადგურის პლატფორმისაკენ, სადაც მეუფემ გადაიხადა სამადლობელო პარაკლისი და წარმოთქვა მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი სიტყვა, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა სარკინიგზო გვირაბის სარგებლიანობა ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. იქვე ეპისკოპოსმა გაბრიელმა მოუწოდა მაღალ საზოგადოებას, ეზრუნათ, რომ ცივილიზაციის ამ მონაპოვარს ასევე დადებითად ემოქმედა მორალური მხრითაც: „უნდა ვისურვოთ და ვსთხოვოთ ღმერთსა, რომ ამ გარეგან ცივილიზაციასთან ერთად ამაღლებულიყოს ქრისტიანული ზნეობაც, რათა უვარგისნი და უსაქმო პირნი, რომელთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს ჩვენში, ხელს არ უშლიდნენ მშრომელ ხალხს, რათა კანონთა აღმასრულებელი მხნედ და სიმტკიცით იცავდნენ მართლმსაჯულებას“ [ქურნ. „მწყემსი“, 1890, №18, გვ. 1-2].

შემდეგ მატარებელი დაიძრა გვირაბისაკენ. ღია სალონ-ვაგონზე მდგომმა ეპისკოპოსმა აკურთხა გვირაბის შესასვლელი. ათასობით ადამიანმა, რომლებიც შემოგარენი ადგილებიდან იყვნენ, ერთხმად დაიწყო უფლის სადიდებელი გალობა და დაეშვა მუხლებზე.

იმ დღეს მთელი გვირაბი თურმე მორთული იყო დროშებით და გირლიანდებით. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მუშები მაშხალებით იდგნენ გვირაბის გასწვრივ და ვაშას ძახილით ხვდებოდნენ პირველ მატარებელს.

გვირაბიდან გამოსვლის შემდეგ, აღმოსავლეთის მხარეს, მატარებელი გაჩერდა ბელეთის რკინიგზის სადგურთან მინდორში. აქ ღია ცის ქვეშ გაშლილი იყო კარავი საპატო სტუმრებისათვის და გრძელი სუფრა-მუშებისათვის. უკრავდა ქართული მუსიკა, ისმოდა ტრადიციული მრავალჯამიერი, უკრავდა აგრეთვე ორკესტრი.

სუფრასთან იმპერიის გზათა მინისტრმა წარმოთქვა სიტყვა, დაახასიათა სურამის სარკინიგზო გვირაბის მნიშვნელობა, ინჟინერ რიდქევსკის (ის დააჯილდოვა სტანისლავის I ხარისხის ორდენით) და მის თანამშრომელთა დეაწლი. ამ მოვლენის თვითმხილველის, კბეგიჩევის ცნობით, კარავში მისულა რუს მუშათა დელეგაცია და მთავრობის წარმომადგენლებისათვის მადლობა გადაუხდია მშენებლობის დროს მათზე გაწეული ზრუნვისათვის [Бегичев, 1890:14]. სამადლობელი, რა თქმა უნდა, კქონდათ რუსეთის ცივი სტეპებიდან გადმოხვეწილებს. მათი უმრავლესობა, მთავრობის ხელშეწყობით, აქ რჩებოდა საცხოვრებლად და სამუშაოდ, როგორც რკინიგზისათვის საჭირო სპეციალისტები. ასე ჩნდებოდა რუსული დასახლებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

სუფრაზე წარმოითქვა ტრადიციული სადღევრძელოები: „ხელმწიფე-იმპერატორისა, ყოვლად სამღვდელო გაბრიელის, მინისტრის, მთავარმმართველის და სხვა საპატო პირთა. ხუთ საათზე მთავარმმართველი საგანგებო მატარებლით დაბრუნდა უკანვე თბილისს. გზათა მინისტრი გაემგზავრა ბათუმს და სხვანიც წავიდ-წამოვიდნენ“-ო, – შენიშნავდა კორესპონდენტი [ქურნ. „მწყემსი“, 1890, №18, გვ. 3]. ამით გვირაბის გახსნის ზეიმი დასრულდა, მაგრამ საზეიმო განწყობილება დიდხანს გაგრძელდა როგორც მოსახლეობაში, ისე პრესის ფურცლებზე.

აღსანიშნავია, რომ სურამის გვირაბის მშენებლობის გამოცდილება ფრიად ღირებული დარჩა ამიერკავკასიაში რკინიგზების ქსელის შემდგომი განვითარებისათვის. აქ რკინიგზის მშენებლობა განსაკუთრებით რთულ გეოგრაფიულ და

გეოლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა. ალბათ საკმარისი იქნება იმის აღნიშვნაც, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის მხოლოდ ამიერკავკასიის რკინიგზაზე გვირაბების საერთო რაოდენობამ 21-მდე მიაღწია, რომელთა საერთო სიგრძე 7,1 კილომეტრი იყო [Сагостян, 1970:200-201]. მათგან ყველაზე გრძელი და გრანდიოზული იყო სურამის სარკინიგზო გვირაბი – 4 კმ სიგრძისა, რომელიც სიმაღლით 7 მეტრს, ხოლო სიგანით 9 მეტრს შეადგენდა. იგი ყველაზე დიდი იყო მთელს რუსეთის იმპერიაში, შემდეგ საბჭოთა კავშირში და ასეთადვე რჩება დღესაც მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეში.

ამრიგად, სურამის სარკინიგზო გვირაბი იყო და არის შავსა და კასპიის ზღვებს შორის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო-სატრანზიტო კვანძი. გვირაბის აგებიდან, მართალია, 120 წელი გავიდა, მაგრამ დრო ვერ აფერმკრთალებს მის საერთაშორისო მნიშვნელობას, პირიქით, მისი დანიშნულება თანამედროვე ეტაპზე დღითიდღე იზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სურამის გვირაბის კურთხევა.–უკრ. „მწვემსი“, 1890, №18, 30 სექტემბერი გვ. 1–3).
2. Аргутинский-Долгоруков А. История сооружения и эксплуатации Закавказской железной дороги, Тифл., 1896.
3. Бегичев К. Сурамский Тонель. —«Кавказский Календар» (ტექსტში იხ. შემოკლ. «К.К.» на 1891 г., Тифл., 1890, Приложение I-го отдела (с. 8-14).
4. Извлечение из отчета по эксплуатации 3.Ж.Д.- «К.К.» на 1881 г., Тифл., 1880, отд. I-ое (с.210-213).
5. Коммерческая деятельность Закавказских железных дорог за 1907-1911 гг.- «К.К.» на 1914 г. (отд. статист.), Тифл., 1913, с. 196-204.
6. Пути сообщения,-«К.К.» на 1881 г., Тифл., 1880 (с. 82-95).

7. Сагратян А. История железных дорог Закавказья (1856-1921), изд-во «Аиастан», Ереван, 1970.

8. Хундадзе Г.Г. Очерки по истории строительства Закавказских железных дорог (1865-1915), Изд-во «Техника да Шрома», Тб., 1937.

* ფუტი–სიგრძის საზომი ერთეული სხვადასხვა ქვეყანაში. 1 ფუტი უდრის 30,4 სანტიმეტრს.

** ვერსტი (ვერსი)–მანძილის საზომი ერთეული ძველ რუსეთში. 1 ვერსტი = 500 საეუნს = 1,0668 კილომეტრს.

*** საეუნი სიგრძის საზომი ერთეული. 1 საეუნი=7 ფუტს=2,13 მეტრს.

Malkhaz Sioridze

The Surami Railway Tunnel (Commemorating the 120-th Anniversary of the Opening of the Tunnel)

Summary

The railway of the South Caucasus has almost 140 years of history. One of the mostly important parts of this way is the Surami Railway Tunnel, which solemnly was opened on 16 September of the 1890.

The tunnel was constructed under Likh Mountain range, which divides Georgia into the West and the East parts. Before construction of the Surami Railway Tunnel between the Black and Caspian Seas, 62 Kilometer long rail track between Khashuri and Zestafoni was almost impassable. The highest point of that way lied on the Likh Mountain pass 930 meters in height above the sea level. On account of that that part of the railway was very inclined plane and dangerous for the railway traffic. Therefore at this part of the railway the transportation of the passengers and goods were executed by a special train completed by 3-4 carriages and 2-3 steam-engines. In winter the railway traffic over this pass was often blocked by snow-banks.

The construction of the Surami Tunnel and bypass railway to it started in 1886 and this article is devoted to this construction. The Surami Tunnel was the longest (4 Km) as in the Russian Empire in the Soviet Union as well.

After the opening of the Surami Tunnel turnover and incomes increased. The corresponding statistical data is submitted in the article.

Up to now this railway of the South Caucasus is still one of the mostly important main-lines between Europe and Asia. The Surami Tunnel is a very significant junction of this railway.

The importance of the Surami Railway Tunnel from the point of international transportation is increasing every day.

Малхаз Сиоридзе

Сурамский железнодорожный тоннель (К 120-летию открытия тоннеля)

Резюме

Железная дорога Южного Кавказа имеет почти 140 летнюю историю. Одним из наиболее значимых участков этой дороги является Сурамский железнодорожный тоннель, который торжественно открылся 16 сентября 1890 года.

Тоннель был проведен под Лихским хребтом, разделяющий Грузию на западную и восточную части.

До проведения Сурамского тоннеля на железной дороге между Черным и Каспийским морями самым труднопроходимым был 62 километровый участок между Хашури и Зестафони. Высшая точка этой дороги проходила на Лихском перевале с высотой 930 метров от уровня моря. Из-за этого, этот участок железной дороги был очень наклонным и опасным для движения. Поэтому на этом участке железной дороги транспортировка пассажиров и грузов произво-

дилась специальным поездом, который состоялся из 3-4 вагонов и 2-3 паровозов. Зимнее движение по этой железной дороге на перевале задерживал большой снег.

В 70-80-х годах XIX века было составлено несколько проектов железнодорожного тоннеля и подходной к нему обьездной железной дороги. Строительство Сурамского тоннеля началось в 1886 году, чему и посвящается эта статья. Сурамский тоннель был самым длинным (4 км.) во всей Российской Империи и также в Советском Союзе.

После открытия Сурамского тоннеля товарооборот и доходы железной дороги ежегодно возрастали. В труде представлены соответствующие статистические данные.

По сегодняшний день железная дорога Южного Кавказа остается одним из наиболее значительных магистралов между Европой и Азией. Сурамский же тоннель является жизненно важным узлом этой артерии.

Значения Сурамского железнодорожного тоннеля в международных перевозках возрастает день ото дня.

ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის ისტორიიდან

აჭარის სამშობლოსთან შემოერთების შემდეგ ბათუმის პორტის მფლობელობისა და მასში თავისუფალი მოქმედების უზრუნველყოფა დასავლეთის ევროპის სახელმწიფოთა ერთ-ერთ უმთავრეს მისწრაფებად იქცა. რადგან მისი გავლით მიდის სავაჭრო და პოლიტიკური გზები ევროპიდან აღმოსავლეთისაკენ, კავკასიის, სპარსეთის, შუა აზიისაკენ. ამიტომაც მათ მიადწიეს ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას, თუმცა ამის მიუხედავად ქალაქმა სწრაფად იწყო განვითარება და როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, ამის მთავარ მასტიმულირებელს წარმოადგენდა აფშერონის ნ/კუნძულიდან მომდინარე ნავთის მთავარი არტერია და ბათუმის ჩინებული პორტი, საიდანაც ნავთობი მთელს მსოფლიოში გადიოდა [აცსა, ფ.7, ს. 43, ფ. 24-25] იმდროინდელი ბათუმის შესახებ 1889 წლის 27 აპრილს დათარიღებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ იგი “ძალიან სწრაფად ვითარდება, განლაგებულია უბისა და ზღვის სანაპიროზე ბუნებაში, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს ყველა აქ ჩამომსვლელი, მაგრამ იგი ამასთან ერთად უკიდურესად ძნელად მისაწვდომია თავისი ამ სიკეთეებით სარგებლობის დროს. ის, რაც შორიდან მშვენიერ, ამწვანებულ ადგილად გეჩვენება, ახლოდან ნახვისას აღმოჩნდება ეკლიანი ბუჩქების წამონაზარდები, უმრავლეს შემთხვევაში ჭაობიანი და სრულიად გაუვალი როგორც ადამიანის, ისე შინაური ცხოველებისათვის” [აცსა, ფ.7, ს. 52, ფ. 13]. რაც შეეხება მის საწარმოო განვითარებას, აქ უმთავრესი ადგილი დაიჭირა ბათუმის იმ ქარხნებმა, რომლებიც ნავთობპროდუქტების ექსპორტს ეწეოდნენ [Кавказский календарь, 1893:112].

ქალაქის არსებობა დიდად იყო დაკავშირებულ ნავსადგურსა და ნავთობის ექსპორტთან და ბათუმის ბიუჯეტის 40 პროცენტს სხვადასხვა პერიოდში ნავთობის ექსპორტიდან შემოსული თანხები შეადგენდა [აცსა, ფ.13 აღ2, ს. 3, ფ. 130-131]. თავიდან ნავთობის გატანა წარმოებდა სპეციალური ბიღონებით, მაგრამ უფრო გვიან დაინერგა ნავთობის გადასხმის წესით გაგზავნა, რომლის დროსაც ერთი გემის 5 ათასი ფუთი ნავთობით დატვირთვას ერთი საათი სჭირდებოდა და მრავალი ასეული მუშის ნაცვლად ამისათვის საკმარისი იყო ერთი მექანიკანი, ორი ცეცხლფარეში და სამი მუშა [აცსა, ფ.7, ს. 43, ფ. 19]. ნავთობის გადასხმის წესით გაგზავნა შემოიღეს 1885 წელს, მაგრამ ფართოდ დაინერგა მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან, აქ წარმოშობილი რიგი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო მსხვილი მრეწველების მიერ ნავთობის ექსპორტში ტექნიკურ გაუმჯობესებათა დანერგვით წერილი მწარმოებლების უკმაყოფილებით. ამის გამო მათ განცხადებაც შეუტანიათ ხელისუფლებაში, რათა მას გაგვენა მოეხდინა ნავთობის გაგზავნის მექანიზაციის წესის დანერგვის საწინააღმდეგოდ, რადგან, ისინი ფიქრობდნენ, რომ ასეთი ახალი ტექნოლოგიების გამოყენება წერილი საწარმოების სრულ გაქრობას გამოიწვევდა [აცსა, ფ.7, ს. 43, ფ. 14]. ამიტომაც ბათუმის სათათბიროს სხდომაზე ხუთმა ხმოსანმა შეიტანა განცხადება როტშილდის წარმოებაში დანერგილ გაუმჯობესებათა წინააღმდეგ და მოითხოვა დეპუტაციის გაგზავნა პეტერბურგში უმაღლეს მთავრობასთან ბათუმის ნავთის საექსპორტო წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ასაკრძალავად [აცსა, ფ.7, ს. 43, ფ. 11, 12, 13, 14; აცსა, ფ.7, ს. 47, ფ. 7-8], რაც, ცხადია, მარცხით დამთავრდა. ამ დოკუმენტებიდან ჩანს ბათუმის სათათბიროს ხმოსანი მამულოვი თავის 1889 წლის 17 მარტის მოხსენებაში აღნიშნულ საკრებულოს განუმარტავდა, რომ ვთქვათ ერთ გემს შეუძლია 120 ათასი ფუთი ნავთობის წადება, ფუთი 40 კაპიკად, სრული ღირებულება უდრის 48 ათას მანეთს. ხოლო თუ ამავე რაოდენობის ნავთობს გაგზავნიდნენ ძველი წესით,

მაშინ მარტო ტარის ღირებულება შეადგენდა 61.580 მანეთს, რომ არაფერი ითქვას დატვირთვისათვის მუშის შრომის ანაზღაურებაზე, ან კიდევ იმ დროზე, რომელიც გემის დატვირთვის სჭირდება [აცსა, ფ.7, ს. 43, ფ. 19]. მიუხედავად ამისა, მაშულოვი აქ წერილი მეწარმეების ლობისტად გამოდიოდა და მხარს უჭერდა ნავთის გადასახმელ საწარმოთა ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვის შეზღუდვას. მაგრამ მის წინააღმდეგ გამოვიდა როტშილდის წარმომადგენელი, ბათუმის სათათბიროს წევრი ზრდილოვსკი, რომელმაც აღნიშნა, რომ ბაქოს ნავთის გასადებაში არ შეიძლებოდა რუსეთის ბაზრის დიდი იმედი ჰქონოდათ. საგულისხმოა, მან კარგად იცოდა, რომ ბათუმიდან ბაქოს ნავთი რუსეთში მცირე რაოდენობით იგზავნებოდა და რუსეთის აზიური და ევროპული ნაწილი ნავთობპროდუქტებს ძირითადად ასტრახანიდან იღებდა [Путеводитель..., 1901:52-53] და არგუმენტებით დაასაბუთა თავისი პოზიცია, ამასთან, მხარი დაუჭირა ნავთობის ექსპორტისას ტექნიკური გაუმჯობესებების დანერგვას [აცსა, ფ.7, ს. 43, ფ. 20].

ცნობილმა ქართველმა მწერალმა დავით კლდიაშვილმა 1889 წლის 25 მარტის გაზეთ “ივერიაში” გამოაქვეყნა ამ საკითხების ირგვლივ მეტად საინტერესო წერილი, რომელშიც ასახულია ჩვენს მიერ სტატიაში მოყვანილი თითქმის ყველა ასპექტი. ამიტომ ამ საინტერესო პუბლიკაციას თითქმის სრულიად მოვიხმობთ, რადგან მასში მოცემულია მეტად ტევადი შტრიხები აღნიშნული პრობლემის მახასიათებელ ნიუანსებში, გასარკვევად. კერძოდ, მასში აღნიშნულია:

“ბევრს კარგად ეხსომება ის ლაპარაკი, რომ ბათუმის საბჭომ როტშილდის ფირმას ნება არ მისცა მიღები გაეყვანა ნავთისათვის და ნავთი ეგზავნა გემებში გადასხმით. თავის დროზედ როტშილდის ფირმის წარმომადგენლებმა ამაზედ საჩივარი წარუდგინეს ქუთაისის გუბერნატორს, სხვათა შორის სჩიოდნენ იმასაც, რომ სხდომის დროს ხმოსნები გარეშე ხალხის გაველენის ქვეშ იმყოფებოდნენ და ბევრი უწესობაც იყო, – აღნიშნავს მწერალი, – ქუთაისის საქალაქო

საქმეთა გამგეობამ გამოიძია ეს საჩივარი, სამართლიანად იცნო და კასაციით გააუქმა ბათუმის საბჭოს დადგენილება. ამგვარად დღეს საბჭო იძულებულია ხელახლად გაარჩიოს როტშილდის ფირმის თხოვნა და ახალი განაჩენი დაადგინოს.

ხმოსნებმა რაკი შეიტყვეს, რომ საჩივარი შეტანილიაო, იმავე წამიდან გადაწყვიტეს ყოველივე ღონე იხმარონ და როტშილდის შიში თავიდან აიცილონ ამისთვის მათ შემდეგი სარჩიელი შემოიტანეს საბჭოში: მეტად საჭიროა ეხლავე გაეგზავნოთ პეტერბურგში დეპუტაცია, რომელმაც უნდა ეცადოს, რომ მართებლობამ ნავთის გადასხმით გაზიდვა აკრძალოსო. ამ ხმოსნებს მხარი მისცა რამდენიმე წვრილმა მენავთემ. ესენი ამასაც არ სჯერდებიან და იმასაც თხოულობენ, რომ რაც ნავთი საზღვარ-გარეთ მიდის, აქციზისაგან განთავისუფლებული არ იქნესო, როგორც ამხანად არის.

რასაკვირველია, ეს სარჩიელი მიღებული იქმნა და ამ მოკლე ხანში ბათუმიდან დეპუტაცია გაემგზავრება პეტერბურგს. გარეშე კაცი, უჭკვეელია იკითხავს: რად ეწინააღმდეგებიან ბათუმის ხმოსნები ნავთის გადასხმით გაზიდვასო? ამაზედ მოგახსენებთ, რომ ბათუმის ხმოსნები სრულიად წინააღმდეგი არ არიან ამ საშუალებისა, აქ თავსა და ბოლოშიაც შიში ჰმოქმედობს – როტშილდის მაგივრად რომ სხვა ვინმე, რომელიმე რუსეთის ქვეშევრდომი იყოს, საქმე სულ სხვა რიგად გარიგდებოდა, როტშილდისა კი ყველას ეშინიან და იმისი ნდობა არავისა აქვს.

ხმოსანი ბ-ნი მამულოვი თავის ვრცელ სიტყვაში ამტკიცებდა, რომ მარტო ბათუმში ყოველ წელიწადს შვიდი მილიონი მანეთი უნდა დახარჯონ ნავთის პატრონებმა 28 მილიონის ფუთის გასაგზავნადო. როტშილდის თხოვნა რომ შევიწყნაროთ, ვინ მოგვცემს სიტყვას, რომ ეგ მილიონები რუსეთს არ დაეკარგებაო. ვინ არის თავდები, რომ ის გამორჩენა, რომელიც დღეს რუსეთის ქვეშევრდომთ აქვთ, ხვალ როტშილდის წყალობით უცხოელებს არ ჩაუვარდებათ ხელ-

ში. ხმოსანმა ბ-ნმა ზრდილოვსკიმ (როტშილდის წარმომადგენელმა) დააპირა ხმოსნების დანუგეშება, რომ ნავთის ყუთების კეთება, რომლის ესე ემინიან ყველასა, თავის დღეში არ მოისპობა, არამედ კიდევ უფრო უნდა გავრცელდეს და გაძლიერდესო. ამისი მიზეზი ხმოსნის სიტყვით, აი რა არის: ის ნავთი, რომელიც იგზავნება აღმოსავლეთის ბაზარზედ, უსათუოდ ყუთებით უნდა იგზავნებოდესო. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ამ ბაზრების მოთხოვნილება არ აღემატებოდა 15 მილიონ ყუთს, დღეს ბათუმში ძლივს აკეთებენ წლის განმავლობაში 7-10 მილიონ ყუთს. ასე, რომ ჩვენმა ნავთმა რომ აღმოსავლეთის ბაზრები აავსოს, ბათუმმა კიდევ უნდა მეტი ყუთი გააკეთოსო. თუ კი დღემდე ბათუმი ძლივს აკეთებს 10მილიონამდე ყუთს, რა უნდა ჰქმნან მენავთეებმა მაშინ, როცა ბაქოდან ამ ცოტა ხანს შემდეგ წამოვა ვეება ნავთი, –ჯიბებში ჩავისხათ, თუ რა უნდა ვუყოთ, – შენიშნავს მწერალი და განაგრძობს, – ამასთან ევროპა არ საჭიროებს ჩვენს ყუთებსა და თუ როტშილდის თხოვნა არ შევიწყნარეთ, ამერიკას ვერ შევეცილებითო. ამ სიტყვების სამართლიანობას ჩვენი ხმოსნები მთლად უარს არ ჰყოვენ, მაგრამ როტშილდის აქაური წარმომადგენლები ისევე აქაურები არიან და იმათი სიტყვა და შეპირება ხმოსნებს საბუთად არ მიაჩნიათ, როტშილდის წარმომადგენელნი თავის დღეში ვერ დაარწმუნებენ ბათუმის ხმოსნებს, რომ მათი შიში უსაფუძვლოა, ხმოსნების აზრით, საბჭომ რომ როტშილდის თხოვნა შეიწყნაროს, როტშილდი გადაჰყლაპავს წვრილმან მენავთეებს. რასაკვირველია როტშილდმა სადმე ევროპაში უნდა ააგოს ახალი რეზერვუარები, ააშენოს ახალი ქარხანა, იმის მაგივრად, რომ რუსეთში ზიდოს საჭირო თუნუქი, ფიცარი და სხვა წვრილი მასალა, როტშილდი ყოველსავე ამას იქ მოიტანს, სადაც ახალი რეზერვუარები ექნება და ამ ადგილებიდან გაჰგზავნის ნავთს აღმოსავლეთის ბაზრებზედ. ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ რუსეთში ბევრს მასალაზედ ბაჟიც გადაჰხდება. თუ ეს ჩაიდინა როტშილდმა, განა პირდია არ დარჩება მთელი მხარე, განა ბათუმის

ხმოსნებს არ გვიკვირებენ, რომ ჩვენის უთაურობით ლუკმა-პური გამოაცალეს რამდენსამე ასიათას კაცს? ამისი ეშინიათ ჩვენ ხმოსნებს და ამიტომ როტშილდსაც ახლოს არ გაიკარებენ“ [გაზ. “ივერია”, 1889: 3] – წერს ცნობილი მწერალი.

როგორც ვხედავთ, ეს წერილი კიდევ ერთხელ ადასტურებს ბათუმში ნავთობრეწველობის განვითარების პრობლემებით ქართული საზოგადოების უდიდეს დაინტერესებას. წერილში გამოხატული ავტორისეული ხედვა კიდევ უფრო ამტკიცებს დოკუმენტურ მასალაში ასახულ მოსაზრებათ და მას მართლაც ავსებს ახალი, მეტად ტეკადი ნიუანსებით; და ეს არ არის მოულოდნელი, რადგან დავით კლდიაშვილი, როგორც იმ დროს ბათუმის სათათბიროს ხმოსანი და აქტიური წევრი, ძალიან კარგად იცნობდა ნავთის ექსპორტის წარმოებასთან დაკავშირებულ მაშინდელ პრობლემებს, თანაც მწერლის მახვილი თვალი, როგორც ჩანს, ხედავდა უფრო მეტს, ვიდრე ეს ოფიციალურ მასალაში აისახა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. აცსა, ფ. 7, ს.ს.№№ 43; 47; 52.
2. სცსია, ფ.13, აღ.2, ს. 3, ფურც. 130–131
3. გაზ. “ივერია”, №65, 1889, 25 მარტი.
4. Кавказский календарь, 1893.
5. Путеводитель и справочная книжка по городу батуми и окрестностям, Батуми, 1901

Ucha Oqropiridze

From the History of Oil Export from Batumi Port

Summary

After annexing Batumi to the Russian Empire the question of use of Batumi Port became vital for Western Powers, because there was an interconnected network of important trade and political routs connecting the East, the Caucasus, the Central Asia, and other regions. Besides, the future of the town was greatly depended on Baku oil export from Batumi.

The thesis studies this problem and the Georgian writer Davit Kldiashvili's opinions about it are cited here.

Уча Окропиридзе

Из истории экспорта нефти из батумского порта

Резюме

После присоединения города Батуми к Российской империи вопрос использования батумского порта стал жизненно важным для Западных держав, потому что здесь проходили важнейшие торговые и политические пути, соединяющие Восток, Кавказ, Среднюю Азию, и другие регионы друг с другом. Кроме того, будущее города очень зависело от экспорта бакинской нефти из Батуми.

В статье освещены эти проблемы, а также взгляды грузинского писателя Давида Клдиашвили о них.

**თავისუფლების ფენომენის აღქმა
ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში
(მიხაკო წერეთელი. გიორგი გვაზავა)**

საქართველოს ისტორიის არა ერთი პრობლემა: პოლიტიკური, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური თუ რელიგიური სიღრმისეულად არის შესწავლილი და მრავალი სამეცნიერო გამოკვლევაა შექმნილი. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობისაა იმგვარი საკითხების კვლევა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ, როგორ მოიაზრებდა მთლიანობაში ქართველი ერი, სოციალური ჯგუფი თუ საზოგადოება დროის მსვლელობაში თავს ისტორიის ნაწილად და რა ფასეულობათა სისტემა განსაზღვრავდა მათ ბრძოლას თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის. ერთ-ერთი მთავარი ფენომენი ისტორიის შესწავლის პროცესში, ჩვენის აზრით არის თავისუფლება, როგორც ისტორიული კატეგორია.

ცნება თავისუფლება არაერთგზის არის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“, „ეროვნული თავისუფლება“, მაგრამ არ არის განმარტებული, რას ნიშნავს ქართველი ერის ცნობიერებაში ეროვნული თავისუფლება.

აღნიშნული პრობლემის კვლევა სერიოზულ მეცნიერულ მუშაობას მოითხოვს და ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი მიმართულებით შემოვიფარგლებით, როგორია ეროვნული თავისუფლების აღქმა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, რაც მოგვცემს საფუძველს შემდგომი კვლევა-ძიების გადრმაგებისათვის. ნაშრომის თეორიულ საფუძველად ავირჩიეთ გერმანელი ფილოსოფოსის გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის და ფრანგი განმანათლებლის

შარლ ლუი მონტესკიეს მოსაზრებები თავისუფლების შესახებ.

ჯერ კიდევ ბერძენ-რომაელი ფილოსოფოსებიდან მოყოლე-ბული, პიროვნული თავისუფლების განსაზღვრების მრავალი მოსაზრება შეიქმნა, თუმცა თავისუფლების, როგორც ისტორიული კატეგორიის, ახსნის მცდელობა დაკავშირებულია ზემოთ აღნიშნული ფილოსოფოსების სახელებთან. ჰეგელი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს „თავისუფლების ისტორიულ მხარეს.“ „რაც შეეხება თავისუფლების ისტორიულ მხარეს, ანტიკური სამყაროს ხალხები – ბერძნები და რომაელები – ვერ იყვნენ ამაღლებულნი აბსოლუტური თავისუფლების ცნებამდე, რადგან ვერ შეიცნეს, რომ ადამიანი, როგორც ასეთი, როგორც ეს ზოგადი მე, როგორც გონებითი თვითცნობიერება, უფლებამოსილია ეს თავისუფლება ჰქონდეს. ამ ხალხებში, პირიქით, ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება თავისუფლად, თუ იგი თავისუფლად შობილი იყო. ამგვარად, თავისუფლებას მათში ჯერ კიდევ ბუნებითობის გარკვეულობა ჰქონდა. ამიტომ იყო, მათს თავისუფალ სახელმწიფოებში რომ მონობა არსებობდა და რომში სისხლისმღვრელი ომები ტყდებოდა, რომლებშიც მონები ცდილობდნენ თავისუფალნი გამხდარიყვნენ, თავიანთი მარადიული ადამიანური უფლებების აღიარებისათვის მიეღწიათ“ (ჰეგელი 1990: 281).

ფრანგი განმანათლებელი მონტესკიე ცნება თავისუფლების უფრო ფართო განმარტებას იძლევა. მან პიროვნულ და ეროვნულ თავისუფლებებთან ერთად სამართლებრივი თავისუფლებაც შეისწავლა. ამასთანავე, მან როგორც პიროვნული, ასევე ეროვნული თავისუფლების თავისებური ფორმით არსებობის განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნია კლიმატი, გარემომცველი ბუნება. მაგალითად, აზიის ნაყოფიერი ბუნება დესპოტიზმის არსებობას უწყობს ხელს, ევროპის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე კი კანონების მორჩილებაა, რის გამოც ევროპელთა ფსიქოლოგიაში თავისუფლების განცდა არსებობს. „აი, რამ წარმოშვა თავისუფლების სულისკვეთება,

რომლის გამოც ევროპის ყოველი ნაწილი ძალზე ძნელად დასამორჩილებელი და დასამონებელია უცხო ძალისათვის სხვაგვარად, თუ არა კანონების გზით და ურთიერთსარგებლიანობის გამო.

აზიაში კი, პირიქით, მონობის სულისკვეთება სუფევს, რომელიც იქ არასოდეს გამქრალა. ამ ქვეყნების მთელს ისტორიაში ვერ ნახავთ ერთ შტრისხსაც კი, რომელიც თავისუფალი სულის გამოხატულება იყოს, აქ მხოლოდ მონების გმირობას ვხვდებით“ (მონტესკიე 1994: 300). რადგან „ქვეყნის მიწათა ვარგისიანობა ბუნებრივად აღგენს მორჩილების სულისკვეთებას. უნაყოფო მიწები ადამიანებს ქმედებისუნარიანს, თავდაჯერილს, შრომაში გამობრძმედილს, გულადს, ომისუნარიანს ხდიან. იმიტომ, რომ მათ თვითონ უხდებათ თავიანთი თავისათვის იმის მოპოვება, რასაც მიწა არ იძლევა. ქვეყნის ნაყოფიერება სიუხვესთან ერთად მოდუნებულობას და სიცოცხლის შენარჩუნების ერთგვარ სიყვარულს წარმოშობს. ამიტომ თავისუფლება უფრო მთიან და ძნელად გამოსაყენებელ ქვეყნებში მეფობს, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომლებიც, ალბათ, უფრო კეთილყოფილია ბუნებისაგან“ (მონტესკიე 1994: 302-304). თუ საქართველოს მაგალითს გავითვალისწინებთ, მისი ტერიტორია ნაყოფიერი მიწით ყოველთვის გამოირჩეოდა, თუმცა თავისუფლებისთვის ბრძოლის სულისკვეთება ყოველთვის არსებობდა ქართულ საზოგადოებაში. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარეობდა. მტრის გამუდმებული შემოსევები თავდაცვის მექანიზმს წარმოშობდა და მეორეს მხრივ, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის იდეოლოგიის შედეგი იყო.

ერთა პრობლემისადმი ინტერესი ყოველთვის დიდი იყო ერის, განსაკუთრებით, დამონებულ, დაპყრობილ ერთა შორის. ეროვნული თავისუფლების მოპოვების სურვილი ადრავდა ერის რაობის გაგება-გააზრების ინტერესსაც. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა XIX-XX საუკუნეებში, როდესაც ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბება იწ-

ყება. ქართულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზროვნებაში აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მცდელობები ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და ამ პერიოდშიც არ კარგავს თავის აქტუალობას.

ჩვენს მიერ შერჩეული პოლიტიკური მოღვაწეების: მიხაკო წერეთლისა და გიორგი გვაზავას ნააზრვეი თავისუფლების ფენომენთან მიმართებაში ეპოქის სპეციფიკიდან გამომდინარეობს და ძირითადად საქართველოში შექმნილი პოლიტიკური მოვლენების გამოცხილია. მათ მიერ შექმნილი ნაშრომები, რომლებიც ეროვნული თავისუფლების პრობლემას შეეხება, ძირითადად XX საუკუნის პირველ ოცწლეულს უკავშირდება. აღნიშნულ პერიოდში ეს საკითხი მეტად აქტუალურია. რაც შემდეგი გარემოებებით იყო განპირობებული: 1. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოს ისტორიაში იწყება ახალი ეტაპი, რაც გულისხმობდა შეიარაღებული ბრძოლის ნაცვლად, საზოგადოების გაერთოვაროვნების პროცესს ეროვნულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით. 2. საჭირო იყო ყველა სოციალური ფენის ეროვნულ-საზოგადოებრივ მოვლენებში ჩართვა, განსაკუთრებით, დაბალი ფენის წარმომადგენლების, რაც უნდა გამხდარიყო საფუძველი თავისუფლების მოპოვების და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის. 3. ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს გაცნობიერებული არ ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის ბრძოლა, რაც რუსული გავლენიდან გამომდინარეობდა. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მოღვაწეობა სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. მათ შორის საინტერესოა მიხაკო წერეთლისა და გიორგი გვაზავას მოსაზრებები ეროვნულ თავისუფლებასთან დაკავშირებით.

მიხაკო წერეთელი პირველი სოციოლოგია XX საუკუნის საქართველოში. სოციალური ფილოსოფიისა და სოციოლოგიის იდეები XIX საუკუნის საქართველოშიც ვრცელდებოდა. მაგრამ სოციოლოგი, როგორც ასეთი XX საუკუნეში გვევლინება მიხაკო წერეთლის სახით. ამას ადასტურებს მისი ნაშრომი „ერი და კაცობრიობა.“ სწორედ ამ შრომაში ხდება

ანალიზის საგანი ისეთი სოციალური ფენომენები, როგორიცაა: კაცობრიობა, საზოგადოება, ერი, ხალხი, სამართალი, სახელმწიფო, სამშობლო, თავისუფლება და სხვა (კოდუა 1990: 8).

სანამ უშუალოდ ეროვნული თავისუფლების მისეულ ახსნას შევეხებოდეთ, თავდაპირველად მოვიყვანოთ მიხაკო წერეთლის მიერ ჩამოყალიბებულ ერის განსაზღვრებას. „ერი არის სოციალური სუპერ-ორგანიზმი, შემდგარი ერთგვარ ანუ მრავალგვარ ეთნიურ და სოციალურ მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა, ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებათა, სამართლითა და პოლიტიკითა, – საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სრულის ინდივიდუალობით“ (წერეთელი 1990: 106).

მერი ჭელიძის აზრით, მიხაკო წერეთლის მიერ ერის, როგორც სოციალური ფენომენის კვლევა ქართველი ერის კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ერის შესახებ მისი ვრცელი მსჯელობანი ძირითადად დაკავშირებულია ეროვნული თავისუფლების საკითხთან (ჭელიძე 2002: 105).

როგორც ცნობილია, საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგ ქართული ეროვნული ცნობიერება რადიკალურად შეიცვალა. სხვადასხვა სოციალური ფენა განსხვავებულად აფასებდა რუსულ მმართველობას. ერთი ნაწილისთვის რუსეთი განმათავისუფლებელი იყო, მეორისთვის – დამპყრობელი. მთლიანობაში კი საუკუნის განმავლობაში რუსულმა გავლენამ თავისი დადი დაასვა ქართულ სულს. ეროვნული თავისუფლების მოპოვების ბრძოლის გასადვივებლად კი საჭირო იყო არა მარტო აჯანყებები, არამედ მტკიცედ შემუშავებული ეროვნული იდეოლოგია. როგორც მიხაკო წერეთელი წერს: „ბევრი არ არის ისეთი, რომ თავის სამშობლოდ გულწრფელად მთელს საქართველოს თვლიდეს, არამედ მისთვის სამშობლო ან კახეთია, ან

ქართლი, ან იმერეთი, სამეგრელო, გურია და სხვა. ჩვენში ჯერ არ არის მასშასადამე დამთავრებული სრული კოჰეზია ერისა, მაგრამ ამ მხრით დიდი ეროვნული მუშაობა სწარმოებს ამჟამად ჩვენ შორის. და როდესაც ჩვენი ეროვნული ერთობის შეგნება იქნება განხორციელებული და არა მხოლოდ სასურველი იდეა, ჩვენი ბედიც სხვანაირად დატრიალდება“ (წერეთელი 1990: 110).

როგორც აღვნიშნეთ, მისაკო წერეთლის მსჯელობანი ეროვნულ თავისუფლებასთან დაკავშირებით საქართველოს პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარეობს და პირველ რიგში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს უკავშირდება. „უჩვეულ ფაქტად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ერს არავითარი სერიოზული, შინაგანი სოციალური პროგრესის განხორციელება არ შეუძლია, თუ გარეგნულად არ არის განთავისუფლებული (წერეთელი 1990: 198). იდეალი კაცობრიობისა – ყოველმხრივი თავისუფლება უნდა იყოს. თავისუფლება და თანასწორობა უნდა ჰქონდეს მინიჭებული როგორც ინდივიდს საზოგადოებაში, ისე სოციალურ ინდივიდს, – ერს საზოგადოებათა საზოგადოებაში, კაცობრიობაში“ (წერეთელი 1990: 241). მისი მოსაზრებები ეროვნულ თავისუფლებასთან დაკავშირებით მიმართულია როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო საზოგადოებაზე. „თავისუფალი ერი კი ყოველთვის უფრო შემომქმედია, ისე როგორც მონაზედ მეტად თავისუფალი პიროვნება იჩენს ინიციატივას და შემოქმედებას. როგორც პიროვნებასა აქვს გრძნობა და ინსტინქტი, სურვილი და შეუჩერებელი მისწრაფება თავის დაცვისა, ისე მთელს ერს აქვს ესევე ინსტინქტი და სურვილი და ამით აიხსნება, რომ მიუხედავად მოპირდაპირე კლასთა ნივთიერ ინტერესთა წინააღმდეგობისა, მთელი ერი, განურჩევლად წოდებისა და კლასისა, იბრძვის გარეგან თავისუფლების მოსაპოვებლად, რომ უფრო მტკიცედ დადგეს პროგრესის გზაზედ“ (წერეთელი 1990: 43). მისი აზრით, ეროვნული თავისუფლება ერის არსებობის აუცილებელი პირობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ერი არსებობის უფლებას და ფუნქციას კარგავს. „თავისუფ-

ღების მოპოვება დაჩაგრული, დამონებული ერის უპირველესი უფლებათაგანი გახლავთ. ამასთანავე, ეს თავისუფლება უნდა იყოს სრული, დამოუკიდებელი სახელმწიფოთი და არა ავტონომიის ფორმით დიდი სახელმწიფოს ფარგლებში (წერეთელი 1990: 337). ძირითადად, როგორც ქართულ, ასევე, ევროპულ აზროვნებაში პიროვნული თავისუფლების არსებობის შემდეგ მიიხნევენ ეროვნული თავისუფლების მოპოვების აუცილებლობას. მთავარი სიახლე, რაც ეკუთვნის მისაკო წერეთელს, მდგომარეობს შემდეგში: მისი აზრით, „ადამიანის თავისუფლების საკითხი უნდა გადაწყდეს ერის თავისუფლების ნიადაგზე“ (წერეთელი 1990: 7).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეებიდან გამორჩეულია ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი, მწერალი და იურისტი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი და დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტიური მონაწილე – გიორგი გვაზავა. მისი პუბლიკაციები ქართულ პრესაში მთელი სიმწვავეით პასუხობდა საქართველოსათვის სასიცოცხლო ინტერესებს, ებრძოდა ანტიქართულ ძალებს, იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ქართული კულტურისა და ლიტერატურის ტრადიციებს (ჭუმბურიძე 2008: 255).

გიორგი გვაზავას ნაშრომები თუ საგაზეთო-საჟურნალო პუბლიკაციები ძირითადად ეხებოდა ეროვნულ პრობლემატიკას, მათ შორის ეროვნული თავისუფლების საკითხს. მან გამოყო გონებრივი, ზნეობრივი, ფიზიკური, სამართლებრივი, პიროვნული და ეროვნული თავისუფლებები. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნულ თავისუფლებას და თითოეულ საკითხს ამ პრობლემის იდეის ირგვლივ განიხილავს. მისი აზრით, „თავისუფლების განხორციელება წარსულში კი არ უნდა ვეძიოთ. თავისუფლება იდეალია და როგორც იდეალი, ანათებს მხოლოდ კაცობრიობის მომავალ შარას“ (გვაზავა 1920: 81). იგი შემდეგნაირად განმარტავს თავისუფლებას: „რა არის თავისუფლება? ქართული ტერმინი ამ მხრივ მეტად მეტყველია და განსაკუთრებით იურიდიული. თავისუ-

უფალია ის, ვინც თავისთავის უფალია, ვისაც არ ჰყავს სხვა უფალი, სხვა ბატონი, გარდა თავისივე თავისა. ეს სრულებით უბრალო და მარტივი ახსნა ერთბაშად აყენებს საკითხს თავის ბუნებრივ, განსაკუთრებით უფლებრივ კალაპოტში და სულ არ შეეხება თავისუფლებას, როგორც ფილოსოფიურ შემეცნებას“ (გვაზავა 1920: 81).

თავისუფლების იდეის აღმავლობას იგი საფრანგეთის რევოლუციას უკავშირებს. საერთოდ XIX-XX საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აზროვნებაში საფრანგეთის რევოლუციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების ახალ ეტაპად მიიჩნევენ. ეროვნული თავისუფლების მოპოვების და შენარჩუნების აუცილებელ პირობად გიორგი გვაზავა მიხაკო წერეთლის მსგავსად საერთო ნაციონალური იდეის არსებობას მიიჩნევდა. „თუ ცალკე პირი ვერა გრძნობს, რომ იგი ნაწილია ერისა, რომ მისი ბედნიერება დამოკიდებულია, თუ მატერიალურად არა, სულიერად მაინც მთელი ერის ბედნიერებაზე, რა თქმა უნდა, ყოველი ეროვნული ხასიათის შრომაც შეუძლებელია, რამდენადაც ადამიანი გონებით დაბლა დგას, იმდენად იგი წარმოადგენს უბრალო მასსას, მისი გარდაქმნა და გადაკეთება უფრო ადვილია“ (გვაზავა 1919: 33). ეროვნული გამოღვიძების მთავარი მოტივი კი, მისი აზრით, ინტელიგენციის და სამხედრო ძალის შექმნაა. ეს ფაქტი შემთხვევითი არ არის, რადგანაც ნაციონალური დადგინების სტადიაზე აუცილებელ პირობას წარმოადგენს ძლიერი კულტურული და პოლიტიკური ელიტის არსებობა. XIX საუკუნიდან მოყოლებული, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მთავარი ორიენტირი აღნიშნული საკითხის მოგვარება იყო. XX საუკუნის დასაწყისში ეს იდეები ახალ აქტუალობას იძენს და როგორც მიხაკო წერეთელი, ასევე გიორგი გვაზავა სწორედ ამ გზის გამგრძელებლები არიან. „ყოველი ძალღონე შეგნებულ და განვითარებულ პირებისა უნდა იყოს მიქცეული ამ ეროვნული გამოღვიძებისაკენ. ჯერ საჭიროა თვით ამ პირების შეერთება. ამ შეერთებამ უნდა შექმნას

თავისებური იდეური კერა, უნდა წამოიხატოს თავისებური ცეცხლი და მოჰფინოს ნათელი ირგვლივ. ამიტომ სულ პირველი ნაბიჯი გახლავთ ინტელიგენციის შექმნა. უფრო საჭიროა ადგილობრივი ბრძოლა, მუშაობა თვით ერის წიაღში და მომზადება მისი კულტურული და სამხედრო ძალ-ღონისა“ (გვაზავა 1919: 33-34). თავისუფლებას გიორგი გვაზავა მიხაკო წერეთლის მსგავსად ისტორიული პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს. „ეს ღირებულება, ეს დიადი მიზანი, რომლისკენ მიიღტვის მთელი კაცობრიობა და რომელიც შეადგენს შინაგან აზრს მთელი ისტორიული პროცესისა, არის თავისუფლება. გამოაცალეთ ეს იდეა საერთაშორისო ომებს, კლასობრივ ბრძოლას, ინდივიდუალურ შრომას და თავგანწირულებას და თქვენ დაგრჩებათ მხოლოდ უაზრობა ისტორიული პროცესისა“ (გვაზავა 1920: 81). მისი მსჯელობანი XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში შექმნილი მოვლენების გამოძახილია და პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია და რუსული გავლენის წინააღმდეგ არის მიმართული. „იდეა თავისუფლებისა მოითხოვს, რომ ადამიანის ენერჯია, მისი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი ძალა არ იყოს ხელოვნურად შეზღუდული. მაშინ ადამიანი გაიშლება და განვითარდება მთელი სისრულით, შეიქმს მეტს სიმდიდრეს, მეტს ღირებულებებს, როგორც მატერიალურს, ისე გონებრივს და ზნეობრივს“ (გვაზავა 1920: 81).

ამრიგად, ჩვენ ვაკვირდებით თავისუფლების ფენომენის აღქმას ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში მიხაკო წერეთლისა და გიორგი გვაზავას ნააზრევის მაგალითზე. ზემოთ აღნიშნული მასალა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. XX საუკუნის დასაწყისში ეროვნული თავისუფლების ისტორიულ კატეგორიად მოაზრებაში პოლიტიკური მოტივიც იყო ჩადებული. მიუხედავად ამისა, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა ჩამოყალიბებული თვალსაზრისები მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ქართული, ეროვნული თავისუფლების იდეის განსაზღვრისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **გვაზავა 1919:** გიორგი გვაზავა. ჩეხია. თბილისი (1919).
2. **გვაზავა 1920:** გიორგი გვაზავა. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებებისა. თბილისი (1920)
3. **მონტესკიე 1994:** შ. ლ. მონტესკიე. კანონთა გონი. (თარგმანი დ. ლაბუჩაძის). თბილისი (1994).
4. **ყორანაშვილი 1988:** გურამ ყორანაშვილი. მიხაკო წერეთლის ნააზრვეი ერის შესახებ. გაზეთი ლიტერატურული საქართველო. №47 (1988).
5. **წერეთელი 1990:** მიხაკო წერეთელი. ერი და კაცობრიობა. თბილისი (1990).
6. **ჭელიძე 2002:** მერი ჭელიძე. ქართული ეროვნული გონი ფილოსოფიურ-ეროვნული ასპექტით. თბილისი (2002).
7. **ჭუმბურიძე 2008:** დოდო ჭუმბურიძე. ისტორიული პორტრეტები. დასაწყისი XX საუკუნისა. თბილისი (2008).
8. **ჰეგელი 1984:** გ. ვ. ფ. ჰეგელი. გონის ფილოსოფია. (თარგმანი ნოდარ ნათაძის). თბილისი: მეცნიერება (1984).

Nato Songulashvili

The perception of phenomenon freedom in the political thing. (mixako theretheli. George Gvazava)

Summary

The analysis of phenomenon freedom, as historical category is one of the complicated question. Among the Georgian we-group members the ring-leader for propaganda-actualization of freedom ideal was cultural and political elite. Among them, Mixako theretheli and George Gvazava were one of the principal persons.

Нато Сонгулашвили

**Восприятие феномена свободы в грузинском политическом
мышлении**

Резюме

Анализ феномена свободы как исторической категории есть является основной проблемой. Основным пропагандистом феномена свободы были грузинская культурная и политическая элита. Среди них главными были Михако Церетели и Георгий Гвазава.

სკოლების გადასარჩენი თანხა სამხედრო ბიუჯეტს მოაკლეს

საქართველოს ეროვნულ არქივში, 1833-ე ფონდში დაცულ მასალებზე მუშაობისას, ჩემი ყურადღება ერთ-ერთმა საქმემ მიიქცია. მასში დაცული დოკუმენტები XX საუკუნის 20-იან წლებში აჭარაში, კერძოდ, განათლების სისტემაში შექმნილ სიძნელეებზე მოგვითხრობენ. სანამ მათ პუბლიკაციაზე მივიღებდი გადაწყვეტილებას, შევეცადე გადამემოწმებინა – ხომ არავის ჰქონდა ისინი გამოყენებული თავიანთ სამეცნიერო გამოკვლევებში და თუ ჰქონდათ, რა დოზითა და რა კომენტარით. აღმოჩნდა, რომ არქივში, მკვლევართა სარეგისტრაციო ჟურნალში, არავითარი ცნობა ამის თაობაზე არ არსებობდა. შემდეგ მოვიძიე აჭარის განათლებისა და კულტურის ისტორიის ცნობილი მკვლევრების – თ. კომახიძისა და ვ. წულუკიძის მონოგრაფიული ნაშრომები*, მაგრამ არც ერთ მათგანს არაფერი აქვს ნათქვამი მათ შესახებ. ამის შემდეგ გადავწყვიტე ამ დოკუმენტების სამზეოზე გამოტანა, რათა ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო ისინი.

საქმე ეხება ბათუმიდან, სამუსლიმანო საქართველოდან, თბილისში გაგზავნილ ერთ მოხსენებით ბარათს და მასში წამოჭრილ დიდმნიშვნელოვან ეროვნულ საკითხს, რომლის დადებითად გადაჭრაში იმდროინდელი დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი რანგის წარმომადგენლებს მიუღიათ

* თ. კომახიძე, მამულიშვილი, ბათუმი, 1994; თ. კომახიძე, ქ. ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები, წიგნი I, ბათუმი, 1996; ვ. წულუკიძე, განათლების ისტორიისათვის აჭარაში, ბათუმი, 2002; და სხვ.

მონაწილეობა – დაწვებული მთავრობის თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, მინისტრების, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილეების, კომიტეტების ხელმძღვანელების, აჭარის წარმომადგენლებისა და სხვათა სახით.

საქმე კი ასე დაწვებულა. უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის გამო, საფრთხე შექმნია ბათუმსა და მის ოლქში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. გადაუდებელი დახმარების გარეშე ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში მეცადინეობის განახლება შეუძლებელი იქნებოდა.

ამ რეალობას იძულებული გაუხდია სამუხსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე მემედ ბეგ აბაშიძე და გამგეობის მდივანი ი. თევზაძე, თხოვნით მიემართათ ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის მიხ. მანაბელისა და საზოგადოების მდივნის შ. ქარუმიძისათვის, რათა მათ აღმოეჩინათ დახმარება. თხოვნას თან ერთვის დეტალური ხარჯთაღრიცხვა იმის შესახებ, თუ რას მოხმარდა ის 355.826 მანეთი, რომელიც რესპუბლიკის ცენტრიდან ყოფილა გადარიცხული. შექმნილი ობიექტური მიზეზების, კერძოდ, „ბათუმში წარმოუდგენელი სიძვირის“ გამო „სკოლებში მოსამსახურეებს არსებობის საშუალება მაინც რომ მისცემოდათ“ აუცილებელი იქნებოდა ახალი სასწავლო წლიდან, ანუ 1919 წლის 1 ოქტომბრიდან ხარჯთაღრიცხვის თანხის 646.590 მანეთამდე გაზრდა დამატებით ძველისა, რაც საერთო ჯამში 1.115.565 მანეთი გახდებოდა [საქ. ეროვნული არქივი, ფ. 1833, აღწ. 1. ს. 585, ფ. 8].

იქვე, „სამუხსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება“ თხოვდა „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ გამგეობას, რათა აღნიშნული თანხა დაჩქარებით ყოფილიყო გამოყოფილი, თორემ სკოლების, პანსიონის და საზოგადოების მოქმედება შეჩერდებაო“ [საქ. ეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 585, ფ. 8].

აღსანიშნავია, რომ 1917 წელს ბათუმში მოწვეულ აჭარის მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობას შეუქმნია საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედ მემედ

აბაშიძე აურჩევიათ. საქველმოქმედო საზოგადოების წესდება პირადად მემედ აბაშიძეს შეუმუშაებია, რომლის პირველ მუხლში ჩაწერილია: „1. სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქართველთა (განურჩევლად სარწმუნოებისა) ქონებრივი და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას სამუსლიმანო საქართველოს ფარგლებში...“ [თ. კომახიძე 1984: 10].

„მემედ აბაშიძის პირადი ინიციატივით, პირველ რიგში, სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა სკოლები...“ [თ. კომახიძე, 1984: 11].

ასეთი სტატუსითა და უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი იმჟამად მემედ აბაშიძე.

თბილისში, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებაში წერილის მიღებას ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს საზოგადოების მდივანი შ. ქარუმიძე [საქ. ეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 585, ფ. 5].

როგორც აღვნიშნეთ, თხოვნას თან ერთვოდა დეტალურად შედგენილი ხარჯთაღრიცხვა. მასში ყურადსაღებია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომლის მიხედვითაც ზუსტად ვგებულობთ, რომ იმჟამად ბათუმის ოლქში „სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების“ ეგიდით ფუნქციონირებდა შვიდი სკოლა და ერთი პანსიონი, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის კონკრეტული რაოდენობით, შენობის შესანახად რა თანხა იყო საჭირო და ა. შ.

კერძოდ, 1919 წლის 1 თებერვლისათვის ხუცუბნის სკოლაში სწავლობდა 160, ალაამბრის – 160, ყოროლისთავის – 120, ქვემო აგარის – 160, ჩხუტუნეთის – 85, წყავროკის – 80, ხუცუბნის სამეურნეო სკოლაში კი 30 მოსწავლე, სულ 815 მოსწავლე [საქ. ეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 585, ფ. 7].

მათი აღზრდისა და განათლების საქმეს ემსახურებოდა: პირველი მასწავლებელი, მეორე მასწავლებელი, რჯულის და თურქული ენის მასწავლებელი, ხელსაქმის მასწავლებელი, სახელოსნოს ოსტატი, დარაჯი, კანცელარიის გამგე და

სკოლის ექიმი (თითქმის ყველგან ანალოგიური საშტატო ერთეულებია), რამდენადმე განსხვავებულია საერთო (ერთობლივი) საცხოვრებლის (პანსიონის) მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებსაც ემატებოდა მზარეულთა, მომვლელი ქალი-სა და დარაჯთა შტატები, აგრეთვე სურსათ-სანოვავის შესაძენი ხარჯები და სხვ. საცნაური ხდება საქველმოქმედო საზოგადოების შემადგენლობა (თავმჯდომარე, მდივანი, მდივნის თანაშემწე, ბუღალტერი, რემექტონზე მომუშავე, დარაჯი [საქ. ეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 585, ფ. 19, 20, 21].

ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია ისიც, თუ რა თანხა იქნებოდა საჭირო კანცელარიის ბინის. გათბობა-განათების, ტელეფონით მომსახურების, საკანცელარიო ნივთების, ფოსტა-ტელეგრაფის, სამგზავრო თუ სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის [საქ. ეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 585, ფ. 21].

ჩვენ აზრით, კიდევ უფრო ისტორიული ღირებულებისაა საარქივო საქმეში შემონახული ერთი დოკუმენტის ხელნაწერი. ეს გახლავთ „ცნობილი პედაგოგი, ქველმოქმედი და უანგარო მამულიშვილი“ [ვ. წულუკიძე, 2002: 14, 93] არსენ წითლიძის წერილი „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისადმი“. წერილი დაწერილია 1919 წლის 10 ოქტომბერს და ხელნაწერის სახით გაგზავნილია ნოე ჟორდანიასათვის. დოკუმენტის მოცულობა თაბახის ორ გვერდს მოიცავს, დაწერილია შავი მელნით. ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირისათვის წერილის ამ სახით გაგზავნა, განსაკუთრებით მისი ტონი, გვაფიქრებინებს, რომ ადრესატსა და წერილის ავტორს შორის ახლობლური ურთიერთობა უნდა ყოფილიყო. რაც მთავარია, არსენ წითლიძის წერილი მემედ აბაშიძის თხოვნის მხარდასაჭერადაც არის გამიზნული და ამავე დროს ძალზე ღირებულ ინფორმაციას შეიცავს იმხანად ბათუმის ოლქში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესახებ.

წერილს მოვიტანთ მთლიანად...

„მოგესხენებათ, რუსეთის დიდმა რევოლუციამ, სხვათა შორის, ის სიკეთე მოიტანა, რომ მან ბორკილები შეხსნა

სახალხო განათლების საქმეს; ყოფილი რუსეთის იმპერიის სიგრძე-სიგანეზე მისმა მძლავრმა ტალღებმა სამუდამოდ შემუსრა სახალხო განათლების გარშემო ამართული პოლიტიკურ-უანდარტული კედელი, ძირს დასცა ძველი შკოლა, როგორც იარაღი ხალხის სულიერი დაბნელების, პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამონაგების. არა რუსთათვის კი ეროვნულ ელფერს მოკლებული მისიონერული გამარუსებელი ხასიათის მქონე და ორთავიან არწივის კლანჭებისგან განთავისუფლებულებს უანდერძა მის სულიერ მოთხოვნილებასთან, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ პირობებთან შეფარდებული, ყოველგვარი ბორკილებისაგან დახსნილი, გაეროვნებული სკოლა. დიახ, განთავისუფლდა ტყვეობიდან სახალხო სკოლა, განთავისუფლდა თვით ხალხის სული, თვითმმართველობათა ორგანოების თვითმოქმედებამ, სახალხო მასწავლებლების, თვით ერის შემოქმედებითა ნიჭმა ფართო გამოსავალი იპოვა ყველგან; დღეს ახალი სკოლის საფუძვლის ჩასაყრელად შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული; დღესასწაულობს რევოლუციის ბრწყინვალე გამარჯვებას ამ დღეებში საქართველოს რესპუბლიკაც და ახალ საფუძველზე აგებული საყოველთაო-სავალდებულო სწავლა უკვე განხორციელების პროცესშია. და ამ დროს, როცა ჩვენში ყოველი კუთხე სტკბება რევოლუციის ნადავლით თავისუფალ, გაეროვნებული სკოლით... მოკლებულია ამ სასკოლო მეჯლისს, გამოთიშულია საერთო დღესასწაულიდან ჩვენი სხეულის მეორე ნახევარი... სამუსლიმანო საქართველოს მთელი ბათუმის ოლქი – აჭარა-ქობულეთი და ართვინის მხარე. აქ ამ საქმეს პატრონი არ ჰყავს, უპატრონო ეკლესიას კი ეშმაკები დაეპატრონენო, ნათქვამია და ასეც ხდება: ამ მხარეში ისევ ფეხს იკიდებს ისევ ძველი სკოლა, დენიკინელების მეოხებით საფლავიდან ამოდის რევოლუციის მიერ ანდერძაგებული, ეგრეთწოდებული „სამინისტრო სკოლა“, რომელიც 1881 წლის სამოსწავლო გეგმით მოქმედობს. ამ გეგმის თანახმად ყველა საგნები სახელმწიფო ენაზედ უნდა ისწავლებოდეს, ხოლო სახელმწიფო ენად ბათუმის ოლქში, რაღაც სასწავლით, ისევ რუსული

ენაა მიჩნეული და სწავლებაც ამ ენაზე სწარმოებს; რა თქმა უნდა, ამ ტიპის სკოლებს ისევე გადაგვარება, მოზარდი თაობის სულიერად და ხორციელად დამახინჯება მოყვება შედეგად და აჭარა-ქობულეთის ზოგიერთი სოფლებიც თვითდაუნებურად ურიგდებიან ამ საწამლაეს. მისიონერულს სკოლას, რომლის უკან დენიკინელების მათრახის კუდი მოჩანს. ზოგიერთ სოფლებში კიდევ არამკითხე ჭირისუფლების აგიტაციით გაბრუებულნი ამას გაიძახიან: ჩვენ მაჰმადიანები ვართ, რჯული ზეცის, საიქიოს საქმე არაბულად უნდა ვისწავლოთ, ოღონდ აქ დედამიწაზე საჭირო ცოდნა თათრულად უნდა შევიძინოთ, ქართული სკოლა კი სარწმუნოებას ძირს გამოუთხრისო. ზოგან კიდევ სკოლას სრულის უარყოფით უცქერიან, რა ტიპისაც არ უნდა იყვეს უკანასკნელი, მარტო მედრესეთი კმაყოფილდებიან და ამბობენ: სწავლისათვის სად გვცალია, ჯერ ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა გამორკვეულათ არ ვიცით ხვალინდელი დღე რას მოგვცემს, რა რჯულს გვიკარნახებსო.

რაგვარი პოლიტიკაც არ უნდა აწარმოონ აჭარლებმა, ვისი ოპეკაც არ უნდა მოახვიოს მას თავზე ხვალინდელმა დღემ, ერთი აშკარა არის: აჭარელი მოზარდი თაობის სულიერი და ხორციელი ინტერესი სამშობლო ენაზე აგებულ სკოლას მოითხოვს, დედა-ენაზე აღზრდას მოითხოვს და ჩვენ ამ მხრივ უნდა დავეხმაროთ. დაუყოვნებლივ უნდა გაგაახლოთ მეცადინეობა საქველმოქმედო საზოგადოების ყველა სკოლებში და ახალიც გავხსნათ იქ, სადაც ქართულ სკოლას არ ეწინააღმდეგებიან, ამისთანა სოფლები თითო-ოროლა მაინც მოიპოვება. დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედდეს ხუცუბნის პირველ დაწყებით სასწავლებლიდან მოზრდილთათვის განსაზღვრული პრაქტიკული სასწავლებელი. ამისათვის აქ ნიადაგი სავსებით მომზადებულია: არის ორი მოზრდილი საკუთარი შენობა სახელოსნოთი და საკმაო მიწა ფერმის გასამართავად და ამასთან თვით ადგილობრივ მაჰმადიანებს დიდი სურვილი აქვთ ქართული სკოლა იქონიონ და უმთავრესად სულიერი-პროფესიონალური ცოდნა შეიძინონ. აუარებელი,

სრულიად მოუმზადებელი მოზრდილი მაჰმადიანი ბავშვები აწყდება სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების კარებს და ითხოვს შეველას. ესენი უმთავრესად საშუალო სასწავლებლისაკენ ილტვიან, მაგრამ არც წლოვანება და არც ცოდნა ამის ნებას არ აძლევთ. აი, ამისთანა 30-40 ბავშვი, დაახლოებით ერთ კლასიან სკოლის კურსის მცოდნენი უნდა დავაბინაოთ ამ სასწავლებელში, რომლისთვისაც პანსიონის მოწყობა იქნება აუცილებელი. რა ტიპის იქნება ეს სასწავლებელი, ამის თქმა ასე უცბად ძნელია. სასწავლებლის ტიპი შეიძლება გამოთქმავდეს თვითმოქმედების - მუშაობის პროცესში. ყოველ შემთხვევაში, ეს იქნება ჯერ-ჯერობით დაბალი ტიპის სამეურნეო სასწავლებელი სახელოსნოთი, რადგან ადგილობრივი მაღალი კულტურის მცენარეთა მოშენებას მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება. რაც შეეხება საზოგადო განათლების საქმეს: უნდა ვისარგებლოთ უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლისათვის ახლად შემუშავებული პროგრამის პროექტით. დახელოვნებული მასწავლებლები მოზრდილ ბავშვებთან ერთობ ბევრს მოასწრებენ ამ დარგში და მოუკლავენ ვადაგასულ მოწაფეებს იმ წყურვილს, რომელიც მათ ემჩნევათ საზოგადო განათლებისადმი და სკოლაც იმავე დროს არ დაკარგავს თავის პროფესიონალურ ხასიათს. ისიც შესაძლებელია, რომ ამ სასწავლებელში რამდენიმე ხნის შემდეგ ადგილობრივი სკოლებისათვის სახალხო მასწავლებლები მომზადდეს, მაგრამ, ვიმეორებ, მე ამჟამად თვით სასწავლებლის ტიპი ნაკლებად მაინტერესებს. დარწმუნებული ვარ მხოლოდ იმაში, რომ კარგად დაყენებული ხუცუნის პრაქტიკული სასწავლებელი თავის გარშემო შემოიკრებს ქობულეთის რაიონის მოზარდ თაობას და მისაბამ მაგალითს მოგვცემს ქართული საქმის კეთებისას სამუსლიმანო საქართველოში.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარე, როგორც ერთგული დამცველი ჩვენი მოძმე მუსლიმანების სულიერი და ნივთიერი ინტერესებისა, საშუალებას მისცემს სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო

საზოგადოებას საჭირო თანხის გადადებით დასახული მიზნების განსახორციელებლათ. გვახსოვდეს უნდა, რომ ვერავითარი პოლიტიკური მუშაობა ვერ მოახდენს იმ სასწაულს, რაც კულტურულ მუშაობას შეუძლიან და ყოველი გროში ამ საქმეში დახარჯული იქნება დიდი სარგებლით გასესხებული თანხა“.

არ. წითლიძე
10 ოქტომბერი 1919 წ.“ [საქ. ეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 585].

არ. წითლიძის ხელნაწერ წერილს წითელი მეღნიით ასეთი რეზოლუცია აღევს: „განათლების სამინისტროს;“ ხელმოწერილია მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ევგ. გეგეჭკორის მიერ და უზის თარიღი 13 ოქტომბერი. 15 ოქტომბერს კი წერილს დარტყმული აქვს მთავრობის თავმჯდომარის კანცელარიის შტამპი (№2099) და უბრუნდება ქართული საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას. ამის შემდეგ მემედ აბაშიძის თხოვნასთან და ხარჯთაღრიცხვასთან ერთად ეძლევა შემდგომი მსვლელობა კონკრეტული ადრესატებისაკენ. პირველ რიგში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე მის. მაჩაბელი და მდივანი შ. ქარუმიძე, შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. რამიშვილს მოახსენებენ საქმის ვითარებას და უმორჩილესად თხოვენ, რათა მან თავის მხრივ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების თხოვნის დაჩქარებული წესით დასაკმაყოფილებლად [საქ. ეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 585, ფ. 9].

კერძოდ, შინაგან საქმეთა მინისტრისათვის 1919 წლის 20 ოქტომბერს წარდგენილ შეტყობინებაში აღნიშნულია: „გაახლებთ ამასთანავე სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებას ჩვენ მიერ განხილულს მოხსენებას ხარჯთ-აღრიცხვით. მოხსენებიდან სჩანს, რომ გაძლიერებულათ სწარმოებს მუშაობა სამუსლიმანო საქართველოში წინააღმდეგ საქართველოს ძალთა მიერ (გულისხმობენ არ. წითლიძის ვრცელ წერილს მთავრობის თავმჯდომარის ნ.

ქორდანიასადმი 1919 წ. 10 ოქტომბრის თარიღით). „რუსობას აღუდგენია ყველა ძველი სამინისტრო სკოლა აჭარაში და გაუხსნია რამდენიმე ახალიც. შეაქვს სიმინდი და აწოდებს მცხოვრებთ საჭირო სანოვაგეს და ავეჯს. მტერი სწორედ იქცევა იმ გზით, რომლითაც შედიოდა აჭარაში ჩვენი გავლენა და, რომელსაც საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება აწარმოებდა.

მოგესვენებათ, თუ რა რეალი შედეგი აღმოაჩნდა მთელ ქართულ მუშაობას აჭარაში, ეს იყო და არის ის ხალხი, რომელნიც აღიზარდნენ ქართულ საქველმოქმედო საზ-ბის სკოლებში (მოზარდნი და ბავშვები), და რომელთაც ჩვენი დახმარება ახსოვდათ. მხოლოდ ეს ხალხი დარჩა ერთგული საქართველოსი. სამუსლიმანო საქართველოს კომიტეტს დღესაც თავისი მუშაობის აგენტურა ამ ხალხზე აქვს დამყარებული.

დღევანდელი ვითარება ბათუმის ოლქისა და ჩვენი პოლიტიკური ზრახვანი მასთან აუცილებელი საერთო ცდა ჩვენი მასის კულტურის დონის აწევისა – გვავალებს განვაახლოთ ძველი საკულტურო და საქველმოქმედო მუშაობა.

მოგახსენებთ რა ამას, ქართული საქველმოქმედო საზ-ბა უმორჩილესად გთხოვთ, იშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რათა სამუსლიმანო საქართველოს საზ-ბის კომიტეტის თხოვნა მიღებულ და დაკმაყოფილებულ იქნას დაჩქარებული წესით“.

ქართული საქველმოქმედო საზ-ბის

თავმჯდომარე მიხ. მანაბელი

მდივანი შ. ქარუმიძე

(ხელმოწერა შავი მელნით მანქანაზე გადაბეჭდილ ტექსტზე) [საქ. ეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 585, ფ. 9].

თავის მხრივ, შინაგან საქმეთა მინისტრი წერილობით მიმართავს რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნებოდა საბიუჯეტო სახსრების მო-

ძიებისა და განკარგვის საქმე და მიუთითებს: „სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების განკარგულებაში მისი კანცელარიის და ბათუმის ოლქში 7 სკოლისა და 1 პანსიონის 1920 წლის 1 იანვრამდინ შესანახად და ძველი ხარჯების გასასტუმრებლად **სამხედრო ფონდიდან** 1.115.565 მანეთის გაღების შესახებ“, რომელშიც ნათქვამია:

„სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებამ მიმართა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას თხოვნით, აჭარაში სკოლებისა და თავის საზოგადოების კანცელარიის შესანახად დახმარების აღმოჩენის შესახებ. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება თავის მხრით შეამდგომლობს ჩემს წინაშე აღნიშნულ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და აღნიშნავს, რომ საქართველოს მოწინააღმდეგე ძალების მხრით აჭარაში სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა: მათ შორის აღდგენილია ძველი სამონასტრო სკოლები და გახსნილია ზოგიერთი ახალი; ისინი აწოდებენ მცხოვრებთ სიძინდს, სხვა სურსათ-სანოვაგეს და ავეჯს. ყოველივე ამას აქვს ერთი მიზანი: აჭარაში ამ ძალების გაძლიერება და ამ გზით მცხოვრებლებში ისეთი განწყობილების დამკვიდრება, რომელიც შეაფერხებს მთელი ქართველი ერის ერთ სახელმწიფოში შემოკრების საქმეს. საჭიროა ამ ძალთა მუშაობას დაუპირისპირდეს სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების უფრო გაცხოველებული მუშაობა... ცხოვრების გაძვირებული მდგომარეობის გამო, საჭიროა დამატებით სახსრების გამოყოფა...

ამიტომ, ვიღებ რა მხედველობაში არსებულ ვითარებას „საქართველოს რესპუბლიკისადმი მტრულად განწყობილ ძალთა მუშაობის შესასუსტებლად და მათი გავლენის აღმოსაფხვრებლად უნდა გაცხოველდეს სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედება ბათუმის ოლქში, მე საჭიროდ ვთვლი სასწრაფოდ გაღებულ იქმნას **სამხედრო ფონდიდან** საქველმოქმედო საზოგადოების განკარგულებაში 1.115.565 მანეთი 1920 წლის 1 იანვრამდე საზოგა-

ლოების კანცელარიისა, ოლქის 7 სკოლისა და 1 პანსიონის შესანახად და ძველი ხარჯების გასასტუმრებლად“.

მინისტრი ნ. რამიშივილი

დირექტორის მაგიერ ილ. რუხაძე

1919 წლის 3 ნოემბერი“ [საქ. ეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 585, ფ. 2].

დამფუძნებელი კრების განათლების კომისია 1919 წლის 20 ნოემბერს იხილავს შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტს დეკრეტისას „სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების განკარგულებაში სუბსიდიის სახით 800.000 მანეთის გადარიცხვის შესახებ, რომელიც ეფუძნება სახელმწიფო კონტროლიორისა და ფინანსთა უწყების დასკვნებს, ნაცვლად მოთხოვნილი 1.115.565 მანეთისა.

„აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ ქ. ბათუმისა და მის ოლქში არსებული სიძვირე და სანოვაგის უშოვრობა დღითი-დღე მწვავე ხასიათს იღებს და ამიტომ სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა 7 სკოლის და ერთი პანსიონის, აგრეთვე საზოგადოების კანცელარიის შესანახად შემოკლება 800.000 მანეთამდე მიუღებელია“ [საქ. ეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 585, ფ. 24] და ღებულობს დადგენილებას ასეთი ფორმულირებით: „მიღებულ იქნეს სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა ერთ მილიონ ას თხუთმეტ ათას ხუთას სამოცდა ხუთი (1.115.565) მანეთი სავსებით“ [საქ. ეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 585, ფ. 25].

ოქკე.

დამფუძნებელი კრება თავის საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მიერ მიღებულ დადგენილებაზე დაყრდნობით, საქართველოს მთავრობას 21 ნოემბერს ატყობინებს: „შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – „სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების განკარგულებაში სუბსიდიის სახით 800.000 მან. გადიდებისა“. მომხსენებელი ნ. იმნაიშივილი აღნიშნავს, რომ ხსენებული საზოგა-

დოება დიდ როლს თამაშობს სამუსლიმანო საქართველოს განათლების საქმეში; მას აქვს გახსნილი მრავალი სასწავლებელი, სააგადემოფო, ბავშვთა თავშესაფარი და სხვ... პროექტის განხილვის შემდეგ საბიუჯეტო-სიფინანსო კომისიას განუხილავს და მხარი დაუჭერია განათლების კომისიის დადგენილებისათვის, რათა სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებისათვის სუბსიდიის სახით მისცემოდა ის თანხა, რომელსაც იგი თხოულობდა, ანუ ერთი მილიონ, ასთხუთმეტი ათას ხუთას სამოცდახუთი (1.115.656) მანეთი [საქ. ეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 585, ფ. 27].

არაერთი ინსტანციის ოპერატიულად გავლის შემდეგ დამფუძნებელი კრება ღებულობს და ამტკიცებს დეკრეტს სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებისათვის დახმარების შესახებ, რასაც დამფუძნებელი კრების კანცელარიის გამგე ილ. ზურაბიშვილი 25 ნოემბერს რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველობას ატყობინებს. დოკუმენტი იმავე დღეს იქნა ხელმოწერილი დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგის სვ. მდივნისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ვვბ. გეგეჭკორის მიერ.

„1) გაღებულ იქნას სახელმწიფო საზინიდან მთავრობის განკარგულებაში ერთი მილიონ ასთხუთმეტი ათას ხუთას სამოცდახუთი (1.115.565) მანეთი სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებისათვის დახმარებად ბათუმის ოლქში შვიდი (7) სკოლისა, ერთი (1) პანსიონისა და საზოგადოების კანცელარიის 1920 წლის იანვრის პირველამდე შესანახად.

2) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ“

1919 წლის ნოემბრის 25“ [საქ. ეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 585, ფ. 37].

ტექსტის სისწორეს და ხელმოწერას შტამპის დასმით ამოწმებს დამფუძნებელი კრების კანცელარიის გამგე ი. ზურაბიშვილი.

ფიქრობთ, ამ დოკუმენტებზე ყურადღების შეჩერება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დღეს. საჭიროა ყველაფერი „დროსა და სივრცეში“ განვიხილოთ და მიღებული შედეგები ისე გავიაზროთ. მაშინ, როცა დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლება უდიდესი გამოცდის წინაშე იდგა, როცა შიგა და გარეშე მტრულად განწყობილი ძალების შემოტევათა მოგერიება უხდებოდა, როცა ეკონომიკური კრიზისი თავის დაღს ასვამდა ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარების საქმეს, როცა ქვეყნის თავდაცვისათვის გადადებული თითოეული მანეთი მოსაფრთხილებელი გამხდარიყო, სწორედ ამ დროს და სწორედ, სამხედრო საქმისათვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან, ხდება საკმაოდ სოლიდური თანხის „ჩამოჭრა“ და ბათუმისაკენ, სამუსლიმანო საქართველოს მოსწავლეთა და მასწავლებელთა დასახმარებლად გადაგზავნა, მათთვის რამდენადმე ნორმალური სწავლისა და შრომის პირობების შესაქმნელად. სასიამოვნოა იმის გააზრებაც, რომ რესპუბლიკის ხელისუფლებამ ყურად იღო ამ კუთხის დიდი გულშემატკივარი პედაგოგის, არსენ წითლიძის შეგონება: „გვანსოვდეს უნდა, რომ ვერავითარი პოლიტიკური მუშაობა ვერ მოახდენს იმ სასწაულს, რაც კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას შეუძლიან და ყოველი გროში ამ საქმეში დახარჯული დიდი სარგებლით განსესხებული თანხა იქნებაო“ [საქ. ეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 585, ფ. 5].

ჭეშმარიტად, ბრძნული სიტყვებია...

გამოყენებული წყარო და ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 585.
2. თ. კომახიძე, მამულიშვილი, გამომც. „აჭარა“, ბათ., 1994.
3. თ. კომახიძე, ქ. ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები, წიგნი I, გამომც. „აჭარა“, ბათ., 1996.
4. ვ. წულუკიძე, განათლების ისტორიისათვის აჭარაში, გამომც. „აჭარა“, ბათ., 2002.

Gela Saitidze

Die Summe zur Tettung adjarischer Schulen wurde dem Miliarbudget entnommen

Summary

In der Mitte des Jahres 1920 geriet Adjarien in eine ausserst schwierige sozial _ politische Lage, die durch okonomische Krise noch scharfer wurde. Eben von der okonomischen Krise wurden die im sSchutz des georgischen Gesellschaft von Batumi und Batumi – Gebiet. befindlichen Lehreanstalten bedroht. Vom neuen mehr weitegehen, wenn sich das Geld zum Schulerhalten nicht finden wurde. Um dieses Problem handelte es sich namlich im der Bittschrift des Vorsit zenden der Wohltatigkeitsgesellschaft von moslemischen Georgien Memed Abaschidse an Behörden des unabhängigen georgiens. Von einer konkreten Summe im Betrag von 1.115. 565 Rublen war die Rede impersonlichen Brief des damals in Adscharien wirkenden bekannten Padagogen Arsen Litlidse an der Regierungsvorsitzenden Noe Jordania. Dieses Archiwdokument ist von uns ermitelt und wird zum ersten Mal vollig veroeffentlicht. Es war naturlich, nischt leicht, in der Mitte des Budgetjahres solche Summe zu finden, aber die Regierung Georgiens entnahm das geld dem Militarbudget und schickte es zur Rettung der Lehreanstalten des moslemischen Georgiens.

Гела Саитидзе

**Сумма для спасения аджарских школ
была урезана с военного бюджета**

Резюме

В середине 1920 года Аджария попала в тяжелое социально-политическое положение, которое еще более обострилось экономическим кризисом. Именно из-за экономического кризиса оказались под угрозой находящиеся под эгидой Грузинского общества Батуми и Батумского округа учебные заведения. Занятия могли бы и не возобновиться с нового учебного года, если бы не нашлись своевременно финансы для содержания школ. Именно об этой проблеме шла речь в прошении председателя благотворительного общества мусульманской Грузии Мемеда Абашидзе к вышестоящим органам независимой Грузии. Конкретная сумма, в размере 1.115.565 рублей, была названа в личном письме, работавшего в то время в Аджарии известного педагога Арсения Цитлидзе председателю правительства Ноэ Жордания. Этот архивный документ найден и впервые публикуется нами полностью. Найти в середине бюджетного года такую сумму было, конечно, нелегко, но правительство Грузии урезало ее с военного бюджета и отправило на спасение учебных заведений мусульманской Грузии.

**აგრარული რეფორმა აჭარაში
(XX საუკუნის 30-იანი წლები)**

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო აგრარული რეფორმა. იგი ორი ეტაპისაგან შედგება. პირველ ეტაპზე განხორციელდა მემამულე-თავადაზნაურებისა და მოახალშენე კოლონისტების მამულების ნაციონალიზაცია. აგრარული რეფორმის მეორე ეტაპი 1929 წლიდან იწყება და XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. იგი შეეხო მოსახლეობის უმრავლესობას – გლეხობას. რეფორმა მიზნად ისახავდა გლეხური მეურნეობის გარდაქმნას კოოპერატივებად. საერთოდ კოოპერაციული მოძრაობა პროგრესულია, რასაც მსოფლიო გამოცდილებაც ადასტურებს. მაგრამ სსრ კავშირში იგი დამახინჯდა, გასახელმწიფოებრივი სახე მიიღო. ამ შინაარსის კოოპერატივები გლეხობის ინტერესებში არ ჯდება.

აჭარაში თავდაპირველად შეიქმნა სამომხმარებლო კოოპერატივები. შემდეგ – სარეწაო და საკრედიტო კავშირები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია 1925 წლიდან ვითარდება. ამ პროცესს საბჭოთა ხელისუფლება გეგმიანად, განსაზღვრული პროგრამის მიხედვით წარმართავდა. პროგრამაში დასახული იყო ორი მთავარი ამოცანა: საშუალო გლეხობის მერყეობის განეიტრალება, მათი ჩაბმა კოოპერაციულ მოძრაობაში და, მეორე, მდიდარი გლეხობის (კულაკობა) ექსპროპრიაცია. აგრარული რეფორმის განხორციელებისას საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობა ეყრდნობოდა ვ.ი. ლენინის მითითებებს. ვ.ი. ლენინს სოფლის მეურნეობის საწარმოო ფორმად კომუნა და არტელი მიაჩნდა, ხოლო მდიდარი გლეხობის სახით მტრის ხატი შექმნა. იგი დაბეჯითებით მოითხოვდა

კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას (ვ.ი.ლენინი: 48-49, 202).

საქართველოში, როგორც საერთოდ სსრ კავშირში, სამი ფორმის სასოფლო-სამეურნეო კოლპერატივები შეიქმნა: კომუნა, არტელი და მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა.

თავდაპირველად კოლექტიურ მეურნეობებში ერთიანდებოდნენ მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები, რამდენადაც მათ დასაკარგი არაფერი ჰქონდათ. საშუალო გლეხობა მერყეობდა. საქართველოში 1922-1927 წლებში ჩამოაყალიბეს 85 კოლექტიური მეურნეობა. მათ შორის: 7 კომუნა, 19 სასოფლო-სამეურნეო არტელი და 59 მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა. მათში გაერთიანდა 1454 წევრი, რომელთაგან 73% იყო ღარიბი, ხოლო 27%-საშუალო გლეხი (История коллективизации... 1970:37). აჭარაში 1930 წლამდე კომუნა და სასოფლო-სამეურნეო არტელი არ შექმნილა. პირველი კოლექტიური მეურნეობა შეიქმნა ქობულეთის მაზრის სოფელ აჭყვაში 1921 წ. ივლისში, ნ.უპენეკის მამულში, რომელშიც გაერთიანდა 22 კაცი. იგი ცნობილია სუბტროპიკული კულტურების არტელის სახელწოდებით. მეორე კოლმეურნეობა ჩამოაყალიბეს სოფელ ბუკნარში 1922 წ., რომელიც წარმოადგენდა მიწის საზიაროდ დამმუშავებელ ამხანაგობას (აბაჯელიძე, 1976:61-63). მომდევნო წლებში სხვა სოფლებშიც ჩამოაყალიბეს. 1925 წ. აჭარაში ითვლებოდა 6 კოლექტიური მეურნეობა, 1926 წ. – 10, ხოლო 1927 წ. მათი რიცხვი 45-მდე გაიზარდა.

პირველი კოლმეურნეობები შეიქმნა ვიწრო სპეციალობით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით. 45 კოლექტიური მეურნეობიდან მეჩაიეობისა იყო 13, მეთამბაქეობის – 8, მეფუტკრეობის – 17, მებაღეობის – 3, მესაქონლეობის – 2, მეფრინველეობის – 1 მეურნეობა. ისინი აერთიანებდნენ 504 წევრსა და 929 დესეტინა მიწას (ბსისმკა, 1980:352, 360). ცხადია, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის პროცესი ექსპერიმენტების დონეზე იყო. ხელისუფლების ცენტრალურ

უწყებებშიც კი გარკვეული არ იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფორმების საკითხი. სსრ კავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში უთანხმოება და სისტემატური კამათი მიმდინარეობდა სოფლად რეფორმების გატარების თაობაზე. ამ საკითხზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კპ (ბ) XV ყრილობის გადაწყვეტილებებს (1927 წ. დეკემბერი).

საკ. კპ (ბ) XV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ კურსი აიღო სასოფლო-სამეურნეო არტელზე. მას თვლიდა საკოლმეურნეო მოძრაობის უმაღლეს ფორმად. სინამდვილეში იგი ღარიბი გლეხობისათვისაც კი ნაკლებად მისაღები იყო. მაგრამ ხელისუფლებამ აამოქმედა თავისი იდეოლოგიური მანქანა, ორგანიზაციული მუშაობის რესურსი, რათა გლეხობა დაერწმუნებინა საარტელო მეურნეობის უპირატესობაში წერილ კერძო მეურნეობასთან შედარებით.

გლეხობის კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანებისა და კულაკობის წინააღმდეგობის გატეხვის მიზნით საქართველოში 1923-1924 წლებში ჩამოაყალიბეს გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტები. აჭარაში 1925 წლისათვის ითვლებოდა ერთი საოლქო, 4 სამაზრო, ერთი სათემო და 108 სასოფლო გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტი. მათ ეკუთვნოდათ 102 ჰექტარი მიწა, ციტრუსოვანი კულტურების მეურნეობა, ღვინისა და ზედსახდელი ქარხნები, გლეხთა სახლები ბათუმში, ჩაქვსა და ხულოში. გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტები გლეხობას ეხმარებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღებაში, იურიდიული მომსახურების საქმეში, სამიწათმოქმედო იარაღების შექენაში, აძლევდა მოკლევადიან სესხს და სხვა. 1928 წ. 28 აგვისტოს ცნობით, ქობულეთის რაიონის გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტი აერთიანებდა 400 წევრს. მასში გაერთიანებული იყო როგორც ღარიბი, ისე საშუალო გლეხები (ბსისმკა, 1980: 322).

XX ს-ის მეორე ნახევარში საქართველოს სოფლად იწყება ღარიბთა ჯგუფების ჩამოყალიბება. ისინი იქმნებოდა გლეხთა

ურთიერთდამხმარე კომიტეტებთან, კოოპერაციულ და საკრედიტო ორგანიზაციებთან. ღარიბთა ჯგუფების მიზანს შეადგენდა კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, საშუალო გლეხობაზე ზემოქმედების მოხდენა, რათა საკოლმეურნეო მოძრაობაში ჩაბმულიყვნენ. 1928 წ. ქობულეთის მაზრაში აღირიცხა 9 ღარიბთა ჯგუფი, ქედის–6, ხოლო ხულოს მაზრაში–10 ასეთი ჯგუფი (ა.ბაუჟაძე, 1962:74). საქართველოში ჩამოაყალიბეს აგრეთვე საკოლმეურნეო მშენებლობის ცენტრი (1928 წ.). აჭარაში იმავე წელს ჩამოაყალიბეს საკოლმეურნეო მშენებლობის საოლქო და სამაზრო ორგანიზაციები.

საკოლმეურნეო მოძრაობა ფორმალურად ნებაყოფლობითი იყო. სინამდვილეში გლეხი ზემოდან ზეწოლას განიცდიდა, რათა კოლმეურნეობაში გაერთიანებულიყო. საკ. კპ (ბ) ცკ-ის 1930 წ. 5 იანვრის დადგენილებით „კოლექტივიზაციის ტემპისა და სახელმწიფოს მხრივ საკოლმეურნეო მშენებლობისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირი სამ ჯგუფად დაიყო. ამიერკავკასია მესამე ჯგუფში შედიოდა, სადაც კოლექტივიზაცია 1933 წ. დამთავრდებოდა. მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლისას ხელისუფლება შეუდგა კულაკობის ლიკვიდაციას, რამაც კიდევ მეტად დაძაბა სოციალურ-პოლიტიკური ვითარება სოფლად.

საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობაში გლეხობის ჩაბმა და სასოფლო-სამეურნეო არტელის ჩამოყალიბება ახალ სტადიაში შევიდა 1929 წ. შემოდგომიდან. აჭარაში გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების კოლექტივიზაციის პროგრამის განხორციელების სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა. მესაკუთრე გლეხი მტკივნეულად განიცდიდა სასოფლო-სამეურნეო არტელებში გაერთიანებას, რადგან კარგავდა მიწას, გამწვევ ძალას, წარმოების სხვა საშუალებას. გლეხი ამჯობინებდა მიწის საზიაროდ დამმუშავებელ ამხანაგობაში გაერთიანებას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების X ყრილობაზე (1931 წ. თებერვალი) ითქვა, რომ გლეხს არ წამს კოლმეურნეობის. იგი ფიქრობს: თუ ყველაფერს გავაერთიანებ კოლმეურნეობაში, დავიღუპები. ამიტომ კოლმეურ-

ნეობაში ოჯახის ერთი წევრი მისი წილი მიწით ერთიანდება. დანარჩენი ოჯახის წევრები მიწას კერძო საკუთრებაში ინარჩუნებენ (აცსა, ფ.რ-2, ან. 1, ს. 849, ფურც. 86). ყრილობამ საკოლმეურნეო მოძრაობის ფორმად გამოაცხადა მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა, რადგან საშუალო გლეხს საარტელო ფორმის კოლექტივი არ იზიდავდა.

პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელები 1931 წ. ჩამოაყალიბეს. სულ შეიქმნა ორი არტელი: ერთი ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში, ხოლო მეორე-ბათუმის რაიონში სახელწოდებით „გლეხის გამარჯვება“. ისინი წარმოადგენდნენ წვრილ მეურნეობებს. მაგალითად, ბობოყვათის კოლმეურნეობაში გაერთიანდა 17 მეურნე. არტელის მიწის ფართობი შეადგენდა 48 ჰექტარს, მათ შორის ჩაის ეკავა 12 ჰექტარი, ციტრუსოვან კულტურებს – 4,5, ხეხილს – 1, სიმინდს – 6 ჰექტარი. არტელში განსაზოგადოებული იყო 7 მუშა საქონელი. ერთ შრომადღეზე გაანაწილეს (1934 წ.) 3 მანეთი და 94 კაპიკი (ბესვრდა, 1986:191).

1930 წ. მაისის ცნობით, კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო 1887 წევრი, რაც შეადგენს საერთო რაოდენობის 17,1%-ს.

როგორც ვხედავთ, კოლმეურნეთა უმრავლესობას ღარიბი გლეხები შეადგენდნენ. მოჯამაგირეებთან ერთად მათზე მოდიოდა კოლმეურნეობათა წევრების 77%. ისინი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების სოციალური დასაყრდენი და გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ საკოლმეურნეო მოძრაობაში. მაგრამ ღარიბ გლეხობასაც კი სასოფლო-სამეურნეო არტელი არ იზიდავდა. მოჯამაგირეები ძირითადად ცხოვრობდნენ ბათუმის რაიონში. კოლმეურნეობათა დანარჩენი წევრები იყვნენ მუშა-მოსამსახურეები. საბჭოთა ხელისუფლება კიდევ უფრო დიდ ზეწოლას ახდენდა კომუნისტებსა და კომკავშირელებზე. ისინი ითვლებოდნენ სოფლის აქტივისტებად და იდეოლოგიური დამუშავების შედეგად პირველები შედიოდნენ კოლმეურნეობებში. 1930 წ. კოლმეურნეობებში გაერთიანებულ

წევრებს შორის კომუნისტები შეადგენდნენ 5,9%, ხოლო კომკავშირელები – 12,4%-ს (ბსისმკა, 1980:412).

აჭარაში სასოფლო-აღრეულზე მასობრივი გადასვლა და კულაკობის ლიკვიდაცია XX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე არ იგეგმებოდა. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ ჩქარობდა, ითვალისწინებდა ამ რეგიონის მცირემიწიანობას, შექმნილი და საშუალო გლეხობის წინააღმდეგობას.

საბჭოთა ხელისუფლება მთლიან კოლექტივიზაციამდე ატარებდა მდიდარი გლეხობის შეზღუდვის პოლიტიკას. იგი იბეგრებოდა ინდივიდუალური წესით მაღალი გადასახადებით, ჩამორთმეული ჰქონდა საარჩევნო ხმის უფლება და მის მიმართ დაწესებული იყო სხვა შეზღუდვები. აჭარაში 1928-29 სამეურნეო წელს აღირიცხა 116 კულაკური მეურნეობა. ინდივიდუალური წესით თითოეული მათგანი საშუალოდ დაიბეგრა 104 მანეთის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით. საშუალო გლეხი დაბეგრული იყო 5 მანეთი და 30 კაპიკით. ამ გზით ხდებოდა კულაკობის ექსპროპრიაცია. 1929-30 სამეურნეო წელს კულაკთა რიცხვი 87-მდე შემცირდა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ ზოგიერთი საშუალო გლეხი შეცდომით თუ ხელოვნურად მდიდარ გლეხთა ფენას მიაკუთვნეს. შემდეგ კი ნაწილი ამ სიიდან ამოიღეს (აცსა, ფ.რ-2, ან.1, ს.733, ფურც. 210-211).

1929-30 სამეურნეო წელს კულაკთა თითო მეურნეზე შეწერილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 192 მანეთსა და 54 კაპიკამდე გაიზარდა, გლეხთა დანარჩენი ფენებისა კი 2 მანეთამდე შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ დაბეგრულ გლეხთა შორის კულაკობა 0,65%-ს შეადგენდა, მასზე მოდიოდა გადასახადების 47,4%.

აჭარის ასსრ ცაკის 1931 წ. 15 იანვრის დადგენილებით მდიდარ გლეხთა დაბეგრვის განაკვეთები კიდევ მეტად გაიზარდა. ხელისუფლების ოფიციალური აღრიცხვით ქობულეთის მაზრაში ითვლებოდა 33 კულაკური მეურნეობა (0,98%), მათ შორის ქობულეთის თემში – 18, ჩაქვის – 13, კინტრიშის

თემში – 2. შემდეგ მოდიოდა ბათუმის მაზრა, სადაც 26 კულაკური მეურნეობა აღირიცხა (0,68%). აქედან ორთაბათუმის თემში – 20, ხოლო გონიოს თემში – 6. ქედის მაზრაში იყო 4 კულაკური მეურნეობა (ქედის თემი). ხულოს მაზრაში 24 კულაკური მეურნეობიდან (0,62%) ხულოს თემში ითვლებოდა 6, უჩაბის – 3, რიყეთის – 1, ჭვანის – 7, ღორჯომის თემში – ამდენივე (აცსა, ფ.რ-2, ან. 1, ს. 733, ფურც. 212-213).

გლეხები, რომლებიც კოლექტიური მეურნეობის წინააღმდეგი იყვნენ, ხელისუფლების წარმომადგენლები პროვოკატორად ნათლავდნენ. ასეთი მიდგომა გამოვლინდა აჭარის საბჭოების X ყრილობაზე.

აჭარაში გლეხობის გადასვლა სასოფლო-სამეურნეო არტელზე ნელი ტემპით და მტკივნეულად მიმდინარეობდა, ვიდრე საქართველოს დანარჩენ რეგიონებში. 1931 წ. 160 კოლექტიური მეურნეობიდან სასოფლო-სამეურნეო არტელი იყო მხოლოდ 9. მათ შორის: ბათუმის რაიონში – 6, ხოლო ქობულეთის რაიონში – 3. ერთადერთი კომუნა ჩამოყალიბებული იყო ბათუმის რაიონში, რომელიც სულ მალე დაიშალა. ამრიგად, 30-იანი წლების დასაწყისში კოლექტიურ მეურნეობათა აბსოლუტურ უმრავლესობას მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა წარმოადგენდა (ბსისკა, 1980 408).

აჭარის საბჭოების X ყრილობაზე დელეგატებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ კოლმეურნეობები ქაღალდზე არსებობენ... გლეხობა კოლმეურნეობებში იმიტომ მიდის, რომ მათ აძლევენ სამრეწველო საქონელს, უწევენ დახმარებებსა და შეღავათებს (აცსა, ფ.რ-4, ან. 1, ს. 553, ფურც. 7,16). ფორმალურად იყო შექმნილი მეფუტკრეობის კოლმეურნეობები. ეს ოფიციალურად აღიარა აგრეთვე საქართველოს მიწათმოქმედის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა, რომელმაც 1928 წ. აგვისტოში შეისწავლა ხულოსა და ქედის მაზრებში საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხი (История коллективизации... 1970:111-115).

კოლექტივიზაციის ტემპის დანქარების, საშუალო გლეხობაზე ზემოქმედების და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის

გაძლიერების მიზნით საკავშირო უმაღლესმა ხელმძღვანელობამ 1933 წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან (მტს) შექმნა პოლიტიკური განყოფილებები. ასეთი განყოფილება შეიქმნა ბათუმის მტს-თან, რომელმაც აჭარის კოლმეურნეობებში ჩამოაყალიბა პარტიული უჯრედები და პარტიის საკანდიდატო ჯგუფები. მათი რიცხვი 1933–1934 წლებში 7-დან 51-მდე გაიზარდა. 1934 წ. ნოემბერში პოლიტიკური განყოფილებები პარტიის რაიონული კომიტეტებთან გაერთიანდა. ბათუმის მტს–ის პოლიტიკური განყოფილება ბათუმის რაიკომს შეუერთდა, რამდენადაც ხელისუფლებამ მისი ფუნქცია ამოწურულად ჩათვალა.

ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული მუშაობის გაძლიერების, გლეხობაზე პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური ზეწოლის შედეგად 1935 წ. დასაწყისში საკოლმეურნეო მოძრაობამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა.

1931–1934 წლებში 94 ახალი კოლმეურნეობა ჩამოაყალიბეს. მათ შორის 16 არტელი და 78 მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა. კოლმეურნეობების წევრთა რიცხვი 3,4–ჯერ გაიზარდა, კოლექტივიზაციის მაჩვენებელმა 40,3% შეადგინა (История коллективизации... 1970:649). მაგრამ ხელისუფლებამ მაინც ვერ შეძლო გლეხობის დარწმუნება სასოფლო-სამეურნეო არტელის უპირატესობაში. გლეხი პრაქტიკოსია და ყველაზე კარგად იცის მეურნეობის რომელი ფორმაა უკეთესი. ბუნებრივია, გლეხი უპირატესობას ანიჭებდა მიწის საზიაროდ დამმუშავებელ ამხანაგობას, სადაც მხოლოდ შრომა იყო განსაზოგადებული. მცირემიწიან რეგიონში, ისიც მთაგორიანი რელიეფის პირობებში, სადაც სამიწათმოქმედო ტექნიკის გამოყენება შეზღუდულია, მხოლოდ მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა გამოდგებოდა კოლექტიური მეურნეობების შესაქმნელად. მეურნეობის სხვა ფორმა ზარალიანია.

სსრ კავშირის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა სიტყვიტ გამოხდა იძულებისა და ძალდატანების მეთოდებს,

მაგრამ სინამდვილეში კოლექტივიზაციის კურსის განხორციელებისას ამ მეთოდებს იყენებდა. ამას მოწმობს სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, რომელიც საკ. კპ (ბ) ცკ-ის კომისიამ შეიმუშავა და კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობამ მიიღო 1935 წელს. იმავე წლის 17 თებერვალს იგი დაამტკიცა საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ. სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება ყველა კოლმეურნეობისათვის სავალდებულო სახელმძღვანელო იყო.

წესდებით განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო არტელის მიზნები და ძირითადი პრინციპები. იგი მიზნად ისახავდა კულაკზე საბოლოო გამარჯვებას, საარტელო მეურნეობის დამკვიდრებას; ისობოდა მიწათდაქსასულობა და მინდვრის ნაკვეთების გამოჯენა, რათა მიწები ქცეულიყო ერთიან მასივად; მიწა, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდა, არტელს ეძლეოდა უვადო მუდმივ სარგებლობაში, რომლის შემცირება არ დაიშვებოდა;

წესდების მე-4 პუნქტის თანახმად არტელში განსაზოგადობას ექვემდებარებოდა წარმოების საშუალებანი. საკოლმეურნეო კომლს პირად სარგებლობაში საკარმიდამო დამხმარე მეურნეობისათვის გამოეყოფოდა 0,25-დან 1,0 ჰექტრამდე მიწა. საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის რესპუბლიკის საბკომსაბჭოს 1935 წ. 17 მაისის დადგენილებით კოლმეურნის საკარმიდამო მიწის ფართობი დაადგინეს 0,25-დან 0,75 ჰექტრამდე.

წესდების თანახმად, არტელი ვალდებულია დაიცვას სახელმწიფო გეგმები, პირველ რიგში შეასრულოს სახელმწიფოს ვალდებულებები, დაფაროს სხვა ხარჯები, გამოყოს თანხები ფონდებისათვის; დარჩენილი თანხები გაანაწილოს კოლმეურნეთა შრომადღეებზე. ანაზღაურება მოხდება სანარდლო სისტემით (სპეციალისტების გარდა).

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება მოწმობს იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ საკოლმეურნეო სექტორი სახელმწიფო საკუთრებად აქცია. როგორც უკვე ითქვა, იგი კოოპერაციულ შინაარსს ფორმალურად ატარებდა.

კოლმეურნეობა განასახიერებდა სახელმწიფოს მხრიდან გლეხობის ექსპლუატაციის შენიღბულ ფორმას, რაც პრაქტიკულად აჭარაში ყველაზე მკაფიოდ გამოიხატა.

ხელისუფლება მიწის საზიაროდ დამმუშავებელ ამხანაგობას განიხილავდა არტელზე გარდამავალ ფორმას. ადრე თუ გვიან ყველა კოლმეურნეობა გადადიოდა სასოფლო-სამეურნეო არტელზე, რაც უფრო ადრე განხორციელდებოდა, სახელმწიფოსათვის მით უფრო უკეთესი იქნებოდა. 1935-1937 წლებში გლეხობა იძულებით გადაჰყავდათ არტელზე. მაგალითად, ხულოს რაიონში 1937 წ. თებერვალ-მარტში 17 ამხანაგობა არტელზე გადაიყვანეს გლეხთა სურვილის საწინააღმდეგოდ. პროტესტის ნიშნად ისინი სულ გავიდნენ ამხანაგობიდან და ერთპიროვნულ მეურნედ გაფორმდნენ. საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტმა და აჭარის ასსრ ცაკმა 1937 წ. 3 მაისს ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური დადგენილება მიიღეს, რომელშიც გაკრიტიკებულია პარტიის ხულოს რაიკომი და რაიაღმასკომი კოლექტივიზაციის დროს ამხანაგობის წევრების არტელის სისტემაზე იძულებით გადაყვანის გამო (ბსმსრდა, 1986: 85-88).

ცხადია, აჭარა გამონაკლისი არ ყოფილა. ეს პროცესი მთლიანად საქართველოში მიმდინარეობდა. 1937 წ. მასობრივი რეპრესიების შედეგად ხელოვნურად დაჩქარდა სასოფლო-სამეურნეო არტელზე გადასვლა. 1937 წლისათვის კოლექტივიზაციის მაჩვენებელმა 69,1% შეადგინა (საბჭოთა აჭარის... 1961:35). დამთავრდა კულაკობის ლიკვიდაცია. ყველაზე შეუპოვარი მებრძოლი გლეხები დააპატიმრეს და ქვეყნიდან გაასახლეს. ისინი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად იქცნენ. საშუალო გლეხებზე გრძელდებოდა შანტაჟი. მაგალითად, 1938 წ. კოლმეურნეობებიდან გარიცხეს 162 კოლმეურნე. ქობულეთის რაიონში გარიცხეს 17, ბათუმის – 62, ქედის – 24, ხულოს რაიონში – 59 კოლმეურნე (ბსმსრდა, 1986:211). კოლმეურნეობებიდან გარიცხვის ფაქტები სსრ კავშირის სხვა რეგიონებშიც დაფიქსირდა. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კპ (ბ) ცკ-მა 1938 წ. 19 აპრილის დადგენილებით დაგმეს

ასეთი დამოკიდებულება კოლმეურნეების მიმართ და მოითხოვეს გარიცხულთა აღდგენა. ეს იყო ორმაგი სტანდარტი, რასაც სსრ კავშირის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა იჩენდა აგრარული საკითხის მიმართ. საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის 1938 წ. 26 სექტემბრის დადგენილებით აიკრძალა კოლმეურნეობებიდან უკანონოდ გარიცხვა (ბჰმსრდა, 1986:211-212).

გარიცხული 162 კოლმეურნიდან 125 აღადგინეს. ის გლეხები, რომლებიც კოლმეურნეობებში 30-იანი წლების დასასრულს გაერთიანდნენ, დასაჯეს. 0,75 ჰექტარი საკარმიდამო მიწის ნაცვლად, რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებდა, მიუზომეს 0,25 ჰექტარი. XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში დასრულდა საბჭოთა ხელისუფლების აგრარული რეფორმის მეორე ეტაპი.

1940 წ. ბოლოს აჭარის გლეხობა თითქმის მთლიანად იყო გადაყვანილი სასოფლო-სამეურნეო არტელზე. მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა მხოლოდ ქობულეთის რაიონის სამ მაღალმთიან სოფელში დარჩა (ხინო, ზერა-ბოსელი, ჩაქვისთავი). კოლექტივიზაციის მაჩვენებელმა 97,3% შეადგინა. კერძო მეურნეების რიცხოვნობა 2,7%-მდე შემცირდა. გამონაკლისი იყო ბათუმის რაიონი, სადაც კერძო მეურნეები 7,1%-ს შეადგენდა.

კოლმეურნეობების ჩამოყალიბების პარალელურად ხელისუფლების ორგანოები ატარებდნენ ღონისძიებებს კოლექტიურ მეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. საქმე ეხება წერილ კოლმეურნეობათა გამსხვილებას, საკოლმეურნეო კადრებს, შრომის ორგანიზაციას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და სხვა საკითხებს. ამ საკითხების მოწესრიგებით ხელისუფლება ცდილობდა გლეხობის თვალში კოლმეურნეობათა იმიჯის ამაღლებას. 1935-1940 წლებში, კოლმეურნეობათა გამსხვილების შედეგად, მათი რიცხოვნობა 254-დან 215-მდე შემცირდა.

საკოლმეურნეო სპეციალისტების მომზადების მიზნით ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში გაიხსნა სასოფლო-სა-

მეურნეო ტექნიკუმები, მოეწყო მოკლევადიანი კურსები, სადაც 1932 წ. მოამზადეს 1310 კვალიფიციური კადრი. 1936 წ. ნოემბერში ბათუმის პარტიული სკოლა გარდაიქმნა საკოლმეურნეო სკოლად. ამ სკოლაში 1937-1940 წლებში მომზადდა და გადამზადდა 2329 კაცია (ბაჯელიძე, 1976:80-81).

კოლმეურნეობებში შემოიღეს მკაცრი შრომითი რეჟიმი, რაც გლეხისათვის ძნელად ასატანი იყო. საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის და რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1939 წ. 27 მაისის დადგენილებით დაწესდა შრომიუნარიანი კოლმეურნის შრომადღეების წლიური სავალდებულო მინიმუმი 80 შრომადღის ოდენობით. ვინც ამ სავალდებულო მინიმუმს არ გამოიმუშავებდა, კოლმეურნეობებიდან გასულად ითვლებოდა.

ხელისუფლების მხრიდან მკაცრი ადმინისტრირების მიუხედავად, გლეხობა არ ემორჩილებოდა საკოლმეურნეო რეჟიმს. 1939 წ. შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ შეასრულა შრომიუნარიანი კოლმეურნეების 36,1%. მათ შორის: ქობულეთის რაიონში – 27,5%, ბათუმის – 51,5%, ქედის – 46,3%, ხულოს რაიონში – 56,4%. 30-იანი წლების ბოლოს კოლმეურნეობებიდან მასობრივად რიცხავდნენ კოლწევრებს (აცსა, ფ.რ-2, ან.1, ს. 1227, ფურც. 25). ისე, რომ მათ კუთვნილ მიწებს უკან აღარ უბრუნებდნენ. აჭარის ასსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის 1939 წ. 25 იანვრის დადგენილებით პარტიის რაიკომებსა და რაიადმასკომებს დაევალებათ პასუხისგებაში მიეცათ ის კოლმეურნეები, რომლებსაც ნორმაზე მეტი პირუტყვი ჰყავდათ. კანონმდებლობით კოლმეურნეს უფლება ჰქონდა პირად საკუთრებაში ყოლოდა ერთი ფური 2-3 მოზარდით, 20 ფუტკრის ოჯახი, 20-30 სულამდე ცხვარი და თხა (ბსმსრდა, 1986:212-215). კატეგორიულად იკრძალებოდა კოლმეურნეებზე მიწების იჯარით გაცემა და სხვა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ღონისძიებას საფუძვლად ედო საკავშირო და საქართველოს საღირეპტივო ორგანოების ანალოგიური დადგენილებები. ერთი სიტყვით, კოლექტივიზაციის განხორციელების შედეგად გლეხობა არტახებში მოექცა.

მართალია, აგრარული რეფორმის მეორე ეტაპი შედარებით დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ხელისუფლებამ ძალდატანებით მაინც შეძლო გლეხობის გაერთიანება კოლმეურნეობებში. აგრარული რეფორმის შედეგად სოფლად სოციალურ-ეკონომიკური ვითარება დაიძაბა არა მარტო კულაკობის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის, არამედ აგრეთვე საშუალო გლეხობის იძულებით საკოლმეურნეო მოძრაობაში ჩაბმის გამო.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი რ-2, ანაწერი 1, საქმეები 733, 778, 840, 849, 1227.
2. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.რ-4, ანაწერი 1, საქმე 553.
3. История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР (1927-1937 гг.), документы и материалы. Тбилиси, 1970.
4. ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის აჭარაში (ბსისმკა), დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1926-1932 წწ., ბათ., 1980.
5. ბრძოლა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარაში (ბსმსრდა), დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1933-1941 წწ., ბათ., 1986.
6. საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული (საბჭოთა აჭარას...), ბათ., 1961.
7. ვ.ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 28.
8. აბაჯელიძე, სოციალისტური ეკონომიკის წარმოშობა და დამკვიდრება აჭარაში, ბათ., 1976.
9. აბაუჯაძე, აჭარის მშრომელთა ბრძოლა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის, ბათ., 1962.

Otar Turmanidze

**Agricultural Reformation in Adjara
(the 30s of the XX century)**

Summary

The second stage of the agricultural reformation in Adjara started in 1929 and lasted till the end of the 30s of the XX century. The goal of this reformation was the remaking the peasant farms into the collective farms and the liquidation of rich peasants (kulaks). The article considers the forms of collective farms. It is noticeable that originally there were the societies (communities) commonly cultivating the land as the peasantry opposed the creation of agricultural artels (cooperatives).

In spite of that the government managed to plan about formation of collective farms – the reorganization of commonly cultivating societies into the agricultural cooperatives. In 1935 the model charter for agricultural cooperations was accepted, and it became the base of organizational, economic and financial activity of collective farms. At the beginning of 1941 more than 97% of peasants were the members of agricultural artels.

The article describes the social-economical nature of the artels. It is noted that collective farms were the masked forms of peasant exploitation. It did not meet the interests of peasantry; at the result of the collectivization realization the farmers in Adjara became poorer that caused the tension of political and social-economical situation in the villages.

Отар Турманидзе

Аграрная реформа в Абхазии (30-ые годы XX века)

Резюме

В Абхазии аграрную реформу провела Советская власть в 20-30-ых годах XX века. Реформа состояла из двух этапов. На первом этапе осуществлялись национализация капиталистических хозяйств и помещичьего землевладения. Второй этап начался в 1929 году и продлился до конца 30-ых годов. На этом этапе было преобразовано крестьянское хозяйство в коллективное и проведена экспроприация имущества кулачества. В статье рассмотрены коллективные формы сельского хозяйства, показана социально-экономическая суть сельскохозяйственной артели.

Несмотря на сопротивление крестьянства, советская власть смогла осуществить коллективизацию сельского хозяйства. В начале 1941 года в сельскохозяйственные артели были объединены почти все крестьянские хозяйства (97,2%), было ликвидировано кулачество, как социальный слой. В статье подчеркнуто, что коллективизация сельского хозяйства представляла новую форму эксплуатации крестьянства. В результате этой реформы в селе возникла политическая и социальная напряженность, население стало ещё беднее и голодало.

**აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი
დარეგულირების მცდელობანი
2000-2005 წლებში**

XXI საუკუნის დასაწყისისათვის აფხაზეთი ისევ ქართული იურიდიული სივრცის მიღმა იმყოფებოდა. მართალია, კონფლიქტის კერა აქ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში განდა, მაგრამ ჩვენი საკვლევი პერიოდი (2000-2005 წლები) განსაკუთრებით საინტერესოა იმდენად, რამდენადაც სწორედ ამ დროს განვითარებული მოვლენები გახლდათ (პირდაპირი თუ ირიბი) მიზეზი იმ ფართომასშტაბიანი დაპირისპირებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2008 წლის აგვისტოში.

2000 წელი დაიწყო აფხაზეთი კონფლიქტის დიალოგის რეჟიმში გადაყვანასთან და მისი მშვიდობიანი გზით მოგვარებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობით. გაეროს უშიშროების საბჭომ 2000 წლის 31 იანვარს გააკეთა აფხაზეთის კონფლიქტური კერისადმი მიძღვნილი სპეციალური განცხადება, სადაც მიუთითა, რომ იგი „... 3. მტკიცედ უჭერს მხარს განუხრელ ძალისხმევას, რომელსაც გენერალური მდივანი და მისი სპეციალური წარმომადგენელი ეწევიან რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, აგრეთვე გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის და ეუთოს დახმარებით, იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ სიტუაციის სტაბილიზაციას და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევას, მათ შორის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის გადაწყვეტას“ [www.un.org/docs].

ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის 2000 წლის 20 აპრილს [რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში, 2005: 349-350] და 2000 წლის 11 ივლისს [იქვე: 351]) მოხდა შეხვედრები და მიღებულ იქნა დადგენილება კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტის შესახებ, მაგრამ, აფხაზური მხარის შეუვალი პოზიციების გამო, ის მხოლოდ შეთანხმებად დარჩა.

2000 წლის ნოემბრის თვეში რუსეთმა მორიგი პროვოკაცია წამოიწყო – მან საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოიღო, ხოლო საზღვრისპირა რეგიონების მოსახლეობისათვის (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი), პირიქით, გაამარტივა. ეს ქმედება სამართლიანად იქნა დაგმობილი საქართველოს პარლამენტის მიერ და აღქმულ იქნა, როგორც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზენაესობის უპატივცემულობა [www.Parliament.ge].

მიუხედავად ამ განცხადებისა, რუსეთის ფედერაციის მთავრობამ 2000 წლის 30 ნოემბერს გამოსცა საგანგებო განკარგულება, სადაც მითითებულია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმიდან დაკავშირებით კვლავ გაგრძელდება მოლაპარაკება, ხოლო მოლაპარაკების პროცესში ორივე მხარე ვალდებულია „რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე შეინარჩუნოს მოქალაქეთა გატარების მოქმედი წესი“ [Собрание Законодательства Российской Федерации, №50, 2000: 9563].

ამ დიპლომატიური პასუხით რუსეთის მთავრობამ ისევ ძალაში დატოვა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე მოქალაქეთა გატარების მოქმედი წესი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ევროპარლამენტმა 2001 წლის 18 იანვარს მიიღო სპეციალური რეზოლუცია „...4) აღნიშნავს, რომ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მცხოვრებთათვის საზღვრის გადაკვეთის გამარტივებული პროცედურის ცალმხრივად შემოღებით რუსეთის ფედერაცია საეჭვოს ხდის

თავის, როგორც ამ კონფლიქტების მედიატორის, როლს..." [გაზ. „სახალხო გაზეთი“, №213, 2001]. აღნიშნული რეზოლუცია მკაფიოდ გამოხატავს როგორც ევროპარლამენტის პოზიციას აღნიშნული კონფლიქტისადმი ზოგადად, ასევე, მკაცრად გამოხატავს რუსეთის ფედერაციის ქმედებას.

კიდევ უფრო შემაშფოთებელი გახლდათ რუსეთის მხრიდან 2000 წლის ნოემბერში აფხაზეთში გამართული სამხედრო წვრთნები. მედიატორი კონფლიქტის ზონაში წვრთნებს და ძალის დემონსტრირებას არ უნდა ახდენდეს. აღნიშნული ქმედება დაგმობილ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 2001 წლის იანვარში [www.un.org/docs].

2001 წლის 23 თებერვლის ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებით: აფხაზეთის კონფლიქტი გადაწყვეტილ უნდა იქნეს „...საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთისათვის ფართო ავტონომიის გარანტიების... გათვალისწინებით, როგორც ამის შესახებ განცხადებული იყო ეუთოს ფარგლებში ბუდაპეშტში, ლისაბონში და სტამბოლში უმაღლესი დონის შეხვედრებზე" [აფხაზეთის საკითხი..., 2004: 139-140]. მაგრამ ეს წინადადებაც კიდევ ერთხელ იქნა უარყოფილი მოსკოვის მიერ.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო უკრაინის მთავრობის მოწვევით 2001 წლის 15-16 მარტს იალტაში გამართული ქართულ-აფხაზეთური მხარეების შეხვედრა, რომელიც გახლდათ სხვა შეხვედრებთან შედარებით ყველაზე კონსტრუქციული და ყველაზე პრაქტიკული, სადაც შედგენილ იქნა ქართულ-აფხაზეთური მხარეებს შორის ნდობის განსამტკიცებელი მოქმედებათა პროგრამა, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს:

„1. ორგანიზებულ იქნეს ორივე მხარის ახალგაზრდობის წარმომადგენლების შეხვედრა წინანდალში.

2. ორგანიზებულ იქნეს ორივე მხარის სხვადასხვა პოლიტიკური წრის წარმომადგენელთა შეხვედრა.

3. ხელი შეეწყოს ორივე მხარის ომის ვეტერანთა და ინვალიდთა ორგანიზაციების თანამშრომლობას.

4. ხელი შეეწყოს ორივე მხარის უზუცესების შეხვედრების გაგრძელებას.

5. ხელი შეეწყოს ორივე მხარის ახალგაზრდა მეცნიერთა სემინარების ჩატარებას თბილისის პოლიტიკური კვლევების სკოლის პროექტების ფარგლებში.

6. ორგანიზებულ იქნეს მხარეთა უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, ხელმძღვანელებთა და მასწავლებელთა, მათ შორის ისტორიკოსთა შეხვედრები, სამეცნიერო კავშირების აღდგენა, ინფორმაციის და ლექციების გაცვლის მიზნით.

7. ხელი შეეწყოს თბილისისა და სოხუმის ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებთან კონტაქტების გაგრძელებას.

8. ორგანიზებულ იქნეს მხარეთა მწერალთა კავშირების წარმომადგენელთა შეხვედრები.

13. მხარდაჭერა გაეწიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ურთიერთგაგების პროცესების გაშუქებას მხარეებს შორის ნდობის განმტკიცების მოქმედებათა პროგრამის შესრულების ფარგლებში, მათ შორის, საკოორდინაციო საბჭოს, მისი სამუშაო ჯგუფების, ორმხრივი ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის ქმედებას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედებას ერთობლივი პროექტების განხორციელებაში ეკონომიკის, კულტურის, განათლებისა და სხვა დარგებში.

14. გაფართოვდეს გაზეთების გაცვლა ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის მხარეთა მიერ „საქართველოს რესპუბლიკის“ და „აფსნის“ ეგზემპლარების თანაბარი რაოდენობის ერთმანეთისათვის გადაცემის გზით, გაეროსა და ეუთოს ფინანსური და მატერიალური ხელშეწყობით.

15. ინფორმაციის უფრო ოპერატიული გაცვლის მიზნით, აღმოუჩინონ ტექნიკური მხარდაჭერა პირდაპირი ელექტრონული კავშირის დამყარებაში „აფსნიპრესსა“ და „კავკასპრესს“ და მხარეების სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის გაეროს მხარდაჭერით" [რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში, 2005: 366-369].

ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის აღნიშნული ნდობის განმტკიცების მოქმედებათა პროგრამა შედგენილია უდიდესი გულისყურით და პროფესიონალიზმით. რომლის პრაქტიკაში გატარებაც უდავოდ მოიტანდა პოზიტიურ შედეგებს, მაგრამ აფხაზური (და მათ უკან მდგომი რუსეთის) მხარის მიერ ის იგნორირებული იქნა.

გაერომ, როგორც მედიატორმა, წამოაყენა კიდევ ერთი, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის წინადადება – თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის დოკუმენტის პროექტის მომზადება. ამასთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭომ 2001 წლის 31 ივლისს მიიღო რეზოლუცია: „7. მოუწოდებს მხარეებს, კერძოდ, აფხაზურ მხარეს, დაუყოვნებლივ მოახმაროს ძალისხმევა ჩიხიდან გამოსვლისათვის და დაიწყოს მოლაპარაკება კონფლიქტის ძირითადი პოლიტიკური საკითხებისა და ყველა სხვა გადასაწყვეტი საკითხის თაობაზე სამშვიდობო პროცესის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით“ [გაზ. „აფხაზეთის ხმა“, №32, 2001].

რუსეთის ფედერაციის აშკარა მხარდაჭერა აფხაზი სეპარატისტების მიმართ არაერთხელ იქნა მხილებული, როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და ეს საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. აფხაზურ კონფლიქტში 1994 წლის ივლისიდან დღემდე ეგიდით რუსეთის სამშვიდობო ძალები იქნა ჩართული, მაგრამ ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა ქართველთა წინააღმდეგ მიმართული ეთნოწმენდის პოლიტიკა. საქართველოს პარლამენტის სტატისტიკით „... დადასტურებულია, რომ ამ ხნის განმავლობაში (ივლისისხმება 1994 წლიდან 2001 წლამდე – ს.ა.) ე.წ. უსაფრთხოების ზონაში დაიღუპა 1700-ზე მეტი ადამიანი, სამშვიდობო ძალების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ განხორციელდა უამრავი დანაშაული, აფხაზეთი გადაიქცა ტერორისტების, იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრეების და სხვა ორგანიზებულ დანაშაულებათა სათარეშო,

განუკითხავ, უკონტროლო ტერიტორიად” [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №251, 2001]. იმავე დოკუმენტში ნათქვამია: „ვინაიდან რუსეთის არაკონსტრუქციული მიდგომის შედეგად ჩიხში მოექცა და ბლოკირებულია გაეროსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლების მიერ აფხაზეთის სტატუსის შესახებ შემუშავებული პროექტის განხილვა და მიღება;

1. წინადადება მიეცეს საქართველოს პრეზიდენტს:

ბ) გაეროს, ეუთოს და საქართველოს მეგობარი ქვეყნების მთავრობების წინაშე სასწრაფოდ დასვას შემდეგი საკითხი კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის სანაცვლოდ შეყვანილ იქნეს საერთაშორისო სამშვიდობო ძალები, ამასთან, გაიზარდოს სამხედრო დამკვირვებლთა რაოდენობა და გაფართოვდეს მათი მანდატი” [იქვე].

კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის სანაცვლოდ საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანა იქნებოდა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის ყველაზე კარგი გზა, მაგრამ რუსეთის მხრიდან, როგორც სხვა კონსტრუქციული წინადადებები, ისიც იქნა უარყოფილი.

ნამდვილად რომ რუსეთის ფედერაცია იდგა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების უკან, ამის კიდევ ერთი დასტურია რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო დუმის 2002 წლის 6 მარტის განცხადება: „სახელმწიფო დუმა მიესალმება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობისა და მოსახლეობის თანმიმდევრულად გამოსატყუელ რუსეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობებით დაინტერესებას... მოვლენების არახელსაყრელი განვითარების შემთხვევაში სახელმწიფო დუმა მზადაა განიხილოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიობის შემდგომი ჩამოყალიბების სხვა გზა მათი ხალხების ნების დემოკრატიული გამოსატყუელის საფუძველზე და ბოლო დროს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ პრაქტიკაში გამოყენებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად” [www.duma.ru].

რუსეთის სახელმწიფო დუმის ამ დადგენილებით, კიდევ ერთხელ აშკარა გახდა, რომ მოსკოვი იყო აღნიშნული კონფლიქტების გამღვივებელი და მისი ჯარები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამშვიდობო ოპერაციების ნაცვლად რეალურად ასრულებდნენ მესაზღვრეთა ფუნქციებს. ამიტომაც, საქართველოს პარლამენტმა გააკეთა ზუსტი ფორმულირება (2002 წლის 20 მარტი): „აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალები ფაქტობრივად მესაზღვრეთა ფუნქციებს ასრულებენ აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ვერ, ახორციელებენ მანდატით დაკისრებულ მოვალეობებს, კერძოდ, ვერ უზრუნველყოფენ პირთა უსაფრთხო დაბრუნებისათვის პირობების შექმნას“ [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №69, 2002].

ასეთი ფონზე რამდენადმე ცინიკურია ვ. პუტინის მიერ აშშ პეზიდენტ ჯ. ბუშთან შეხვედრის დროს გაკეთებული განცხადება: „ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე საქართველოს მთავრობასთან მუშაობისადმი, მხარს ვუჭერთ მის სუვერენიტეტს... ვართ რა გაეროს გენერალური მდივის მეგობართა ჯგუფის წევრები საქართველოს საკითხებზე, რუსეთი და აშშ კვლავ ხელს შეუწყობენ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მშვიდობიანი პოლიტიკური გადაწყვეტის წინსვლას“ [www.usinfo.state.gov].

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ამ განცხადების შემდეგ, რუსეთი კვლავ აგრძელებდა აფხაზი და ოსი სეპარატისტების დახმარებას და მათ შესთავაზა რუსეთის ქვეყნის პასპორტები – „მუხლი 14. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობაში მიღება გამარტივებული წესით“. „1. უცხოეთის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც მიაღწიეს თვრამეტი წლის ასაკს და ქმედითუნარიანნი არიან, უფლება აქვთ მიმართონ განცხადებით რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების თაობაზე...“

[Собрание Законодательства Российской Федерации, №22, 2002: 5481-5496].

სახგასამელი და მეტად მნიშვნელოვანია აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით ბოდენის დოკუმენტი „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები“, მასში ვკითხულობთ: „1. საქართველო წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფოს, დაფუძნებულია სამართლებრივ ნორმებზე. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები, დამტკიცებული 1991 წლის 21 დეკემბერს, ცვლილებას არ ექვემდებარება საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის გარეშე.

2. აფხაზეთი არის სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული სუვერენული წარმონაქმნი საქართველოს სახელმწიფოს შიგნით. აფხაზეთს აქვს განსაკუთრებული სტატუსი სახელმწიფოს შიგნით, რომელიც ეყრდნობა ფედერალურ შეთანხმებას და განსაზღვრავს ზოგად უფლებამოსილებას და საერთო კომპეტენციის სფეროებს და დელეგირებულ უფლებამოსილებებს, ამასთან, წარმოადგენს აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების გარანტს.

3. უფლებამოსილებათა გამიჯვნა თბილისსა და სოხუმს შორის უნდა ეყრდნობოდეს საკონსტიტუციო კანონის ძალის მქონე ფედერაციულ შეთანხმებას. აფხაზეთი და საქართველოს სახელმწიფო კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდეს ფედერაციული შეთანხმების დებულებებს. ფედერაციული შეთანხმება, ურთიერთშეთანხმების გარდა, არავითარ გარემოებაში არ ექვემდებარება შესწორებებისა და დამატების შეტანას, გაუქმებას და ბათილად ცნობას.

4. უფლებამოსილებათა გამიჯვნა თბილისსა და სოხუმს შორის განსაზღვრული იქნება მათ შორის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე 1994 წლის 4 აპრილის დეკლარაციის საფუძველზე. აფხაზეთის უფლებები და კომპეტენცია აღიარებული იქნება მეტი მოცულობით, ვიდრე ის სარგებლობდა 1992 წლამდე.

5. საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუცია შეცვლილი უნდა იქნეს ფედერაციული შეთანხმებით განსაზღვრული კომპეტენციის გამიჯვნის შესაბამისად; ამასთან, შესაძლებელია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ 1994 წლის 4 აპრილის დეკლარაციის, კერძოდ, მე-7 პარაგრაფის გამოყენება, რომელიც ეხება „ერთობლივი ღონისძიებების უფლებებს“.

6. აფხაზეთის კონსტიტუცია, რომელსაც შეიძლება დაედოს 1994 წლის 26 ნოემბრის აფხაზეთის კონსტიტუცია, შეცვლილი უნდა იქნეს თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ისე, როგორც ეს განსაზღვრულია ფედერაციული შეთანხმებით.

7. როგორც საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუცია, ისე აფხაზეთის კონსტიტუცია უნდა შეიცავდეს ანალოგიურ დებულებებს, რომელიც შეეხება თითოეული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიებს, გამორიცხავენ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დისკრიმინაციას. როგორც საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციაში, ასევე, აფხაზეთის კონსტიტუციაში არაფერი არ უნდა არღვევდეს ყველა განდევნილი და ადგილნაცვალი პირის უპირობო უფლებას თავის სახლებში სრული უსაფრთხოების პირობებში და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად დაბრუნებას.

8. საქართველოს სახელმწიფო და აფხაზეთი უნდა შეთანხმდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობასა და ღონისძიებების თაობაზე, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთის კონსტიტუციით და ფედერაციული შეთანხმებით „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებემოსილებათა გამიჯვნის ძირითადი საკითხების შესახებ“ [აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწილი III., 2004: 226-227].

ბოდენის დოკუმენტი გახლდათ კიდევ ერთი მცდელობა ქართულ აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყ-

ვეტისა. რომლის თანახმადაც კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარე უნდა წასულიყო დათმობაზე. დოკუმენტის თანახმად აფხაზეთი რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ აფხაზეთს გაეზრდებოდა თავისი უფლებები, რომელიც აღნუსხული იქნებოდა როგორც საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთის კონსტიტუციაში. მაგრამ არც ამ დოკუმენტს ეწერა აღსრულება, რადგანაც აფხაზმა სეპარატისტებმა და მათ უკან მდგომმა რუსეთის ფედერაციამ აბსოლუტური იგნორირება გაუკეთეს მას.

რუსეთი „ერთი ხელით“ თავად აღვივებდა და დღემდე აღვივებს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს, ხოლო „მეორე ხელით“ კი იღებდა დადგენილებებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მის შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნის უტყუარობის შესახებ. აღნიშნულის კარგი მაგალითია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა საბჭოს 2003 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება: „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო, გამოხატავს რა უკიდურეს წუხილს კონფლიქტის მიერ წარმოშობილი პრობლემების გადაუწყვეტობის გამო, რაც ქმნის საფრთხის კერების წარმოქმნის რეალურ წინაპირობებს, რომელიც ემუქრება მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში, კვლავ ადასტურებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, ამასთან აღნიშნავს, რომ აფხაზეთი წარმოადგენს საქართველოს განუყოფელ შემადგენელ ნაწილს...“ აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწილი III., 2004: 347-349]. ანალოგიური ხასითის განცხადებაა გაკეთებული 2003 წლის 19 სექტემბერს იალტაში გამართულ დსთ-ს მეთაურთა საბჭოს სხდომაზეც [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №251, 2003].

მოგეხსენებათ, რომ დსთ ყოველთვის წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ საერთაშორისო ტრიბუნას და მისთვის არასასურველი განცხადებები იქ არ გაკეთდებოდა. ჩემი აზრით, აღნიშნული განცხადება დანარჩენი

მსოფლიოსათვის თვალში ნაცრის შეყრა გახლდათ და მათდა მოსახევენებლად იქნა გააკეთებული.

როგორც ზემოთ დავინახეთ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს კონფლიქტურ კერებთან დაკავშირებით არაერთი სპეციალური შეხვედრა მოაწვეეს და მიიღეს როგორც კონსტრუქციული წინადადებები, ასევე მკაცრი ხასიათის რეზოლუციები, როგორც რუსეთის ფედერაციის, ასევე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული მთავრობების მიმართ. მაგრამ ვერც დიპლომატიურმა ენამ და ვერც გაფრთხილებით აღსავსე რეზოლუციებმა რეალური შედეგი ვერ გამოიღო. კონფლიქტის დაწყებიდან 2005 წლის ბოლომდე აფხაზეთთან მიმართებაში არ არსებობს დიდი თუ მცირე საკითხი, რომელზეც სათანადო რეაგირება არ გაეკეთებინა საერთაშორისო ორგანიზაციებს და მისი აღმოფხვრის კონკრეტული გზები არ დაესახა. მაგრამ აფხაზი სეპარატისტებისა და მის უკან მდგომი მოსკოვის მიერ ხდებოდა ამ შემოთავაზებების ჩაშლა.

ამდენად, აშკარაა, რომ აფხაზეთის კონფლიქტი ინსპირირებულია გარეშე ძალის – რუსეთის ფედერაციის მიერ, რომელიც ძირითადად ხელმძღვანელობდა ორი პრინციპით: ჯერ ერთი, გეოსტრატეგიული მოსახრებებიდან გამომდინარე, ის არ თმობს აფხაზეთის არც ტერიტორიას და არც ზღვაზე გასასვლელს, მეორეც, ის ერთგვარად სამაგიეროს უხდის „დანარჩენ მსოფლიოს“ კოსოვოს კონფლიქტის მისდა დაუკითხავად გადაწყვეტისთვის და ისიც მათთან შეთანხმების გარეშე ცდილობს აფხაზეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას.

ფაქტია, რომ დღეისათვის „დიდი“ სახელმწიფოების ურთიერთ ჭიდილის გამო ილახება „პატარა“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მაგრამ, ისტორიულად, ჩვენი ქვეყანა მიჩვეულია „სცილასა“ და „ქარიბდას“ შორის სიარულს და ბრძნული დოპლომატიითა და პოლიტიკის წყალობით ბოლოს ყოველთვის თავს აღწევდა მსოფლიოს სხვადასხვა დამპყრობთა შემოტევებს. ამიტომაც გვჯერა, რომ ერთი შე-

ხედვით ამ გამოუვალი მდგომარეობიდანაც მოქმედის ის ბრძნულ გამოსავალს... და საქართველო კვლავ დაიბრუნებს თავის ისტორიულ ტერიტორიებს – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები, 1989-1999 წწ. ნაწილი III, 2000-2003, თბ., 2004.
2. რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2005), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თ. დიასამიძე, თბ., 2005.
3. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №251, 2001 წლის 12 ოქტომბერი.
4. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №68, 2002 წლის 21 მარტი.
5. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №69, 2002 წლის 22 მარტი.
6. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №251, 2003 წლის 20 ოქტომბერი.
7. გაზ. „სახალხო გაზეთი“, №213 2001 წლის 25-31 იანვარი.
8. გაზ. „აფხაზეთის ხმა“, №29, 2001 წლის 20 ივლისი.
9. გაზ. „აფხაზეთის ხმა“, №32, 2001 წლის 10 აგვისტო.
10. Собрание Законодательства Российской Федерации, 2000, №50.
11. Собрание Законодательства Российской Федерации, 2002, #22
12. www.un.org/docs
13. www.Parliament.ge
14. www.duma.ru
15. www.usinfo.state.gov
16. www.osce.org

Sulkhan Aleksia

Peaceful regulation attempts of Abkhazian conflict in 2000-2005

Summary

The work discusses the conflict established on political ground in Abkhazia 2000-2005, that represent one of the most difficult and unsolved problem in the recent history of Georgia.

The paper discusses the participants all sides, as the Georgian and Abkhazian, as well as interested in eliminating conflict mediators, which are mainly international all documents, organizations and the west, as well as conflict inspirator Russian positions and adopted by all documents, that are in direct or indirectly related to this issue.

After studying many documents or resolutions, concerning the given conflict, which were created in 2000-2005 years, we are drawing conclusion, that there was no issue big or small without appropriate reaction in international organizations or the states and their particular ways of eliminating wasn't found.

But Abkhazian separatists with the help of Russia, which was standing behind them, were disrupting the efforts, what once again confirms, that the Abkhazia conflict inspirator is the federal Republic of Russia.

Сулхан Алексая

**Попытки мирного урегулирования конфликтного
очага в Абхазии 2000-2005 годах**

Резюме

В статье рассмотрен, разросшийся на политическом почве конфликт в Абхазии 2000-2005 годах.

В новейшей истории Грузии это одна из наиболее сложных и до сегодняшнего дня нерешенных проблем. В труде рассмотрены документы, которые прямо или косвенно касались этого вопроса, опубликованные как сторонами, непосредственно участвующих в конфликте, заинтересованными медиаторами, международными организациями Запада, так и позицией России, страны инициатора конфликта.

После досконального изучения многих документов и резолюций, принятых в 2000-2005 годах, касающихся данного конфликта, следует вывод, что не существовало ни одного малого или большого вопроса, на который соответственно не отреагировали международные организации и Запад, и где были предложены конкретные пути его разрешения. Но абхазские сепаратисты и, стоящая за ними, Россия постоянно отклоняла предложенные пути, что ещё раз подтверждает точку зрения, что абхазский конфликт был инспирирован Российской федеративной республикой.

საქართველო ნატოს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების ISAF -ის მისიაში

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა თავისი ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე უსაფრთხოების საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. დღეისათვის ნატო თავის სახეცვლილებასთან ერთად უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ფართო სპექტრის გამოწვევებს უპირისპირდება. ასეთ გამოწვევებად უნდა ჩაითვალოს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და ტერორიზმი.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ნატო უზრუნველყოფს სამხედრო პოლიტიკურ მიზნებს, რომელიც აერთიანებს ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ინტერესებს და მიზნად ისახავს თანამშრომლობაზე დაფუძნებული გლობალური უსაფრთხოების შექმნას. ალიანსის მეშვეობით დასავლეთ ევროპამ და ჩრდილოეთ ამერიკამ სტაბილიზაციის მაღალ საფეხურს მიაღწია. XXI საუკუნეში ტრანსატლანტიკური საზოგადოების წინააღმდეგ მრავალი საფრთხეა მიმართული, ზოგჯერ ეს საფრთხეები ევროატლანტიკურ სივრცესაც სცდება. ნატო აცნობიერებს, რომ აღნიშნულ საფრთხეებს იგი ყველგან უნდა ებრძოდოს, ასევე მას გაცნობიერებული აქვს, რომ საფრთხეებთან მარტო გამკლავება შეუძლებელია, ამიტომ იგი აქტიურად მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ნატომ ჩამოაყალიბა ინიციატივათა რიგი, რომელთა შორისაა: ნატოს რეაგირების ძალების შექმნა, მოწინავე ტექნოლოგიების მქონე, მოქნილი, მობილური, დისლოცირებადი, თანაქმედი და თვითშენახვის შესაძლებლობების მქონე ძალა სახმელეთო, საზღ-

ვალ და საჰაერო ელემენტებით. XXI საუკუნის დასაწყისიდან ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს საერთაშორისო მასშტაბით ახალი პრობლემების გადაჭრა მოუხდა, კერძოდ: დევნილები, საერთაშორისო დამნაშავეობა, ნარკოტრანზიტი, ტერორიზმი და კიბერტერორიზმი. საქართველომ თავისი თამამი არჩევანი ნატოსაკენ 1999 წელს გააკეთა და იგი ნატოს სამშვიდობო ოპერაციის მხარეს უკვე ათ წელზე მეტია დგას. საქართველოს 10000 ჯარისკაცმა დღეისათვის ნატოს ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მიიღო მონაწილეობა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ XX საუკუნის 90-იან წლებამდე სამშვიდობო ოპერაციები გაეროს პრეროგატივა იყო, მაგრამ მან თავისი უმოქმედობით ვერაფერი გააწყო, რათა იუგოსლავიაში სისხლისღვრა შეეჩერებინა. სწორედ ატლანტიკური სივრცის მონაპირე სახელმწიფოთა დაუინებელი მოთხოვნით მოხდა ნატოს სამშვიდობო ფორმატის ამოქმედება. სამშვიდობო ოპერაციები წარმატებით განხორციელდა 1995 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინაში, კოსოვოში 1999 წელს, მაკედონიაში 2001 წელს. ნატომ ბალკანეთის სამშვიდობო ოპერაციის შემდეგ თავისი სამშვიდობო მისია საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (ISAF) მოქმედებით 2003 წლის აგვისტოდან დაიწყო.

ნატოს ლიდერ ქვეყანას – ამერიკის შეერთებულ შტატებს მახლობელ აღმოსავლეთში მრავალი სამხედრო ოპერაცია აქვს განხორციელებული. მისი ქრონოლოგია ასე გამოიყურება: სამხედრო ოპერაციები – “უდაბნოს ფარი” და “უდაბნოს ქარიშხალი.” ოპერაციას აწარმოებდა აშშ და მისი მოკავშირეები 1990 წლის აგვისტოდან 1991 წლის 28 თებერვლამდე. ომში მონაწილეობდა ერაყი და კოალიციის 34 ქვეყანა. ოპერაცია “უდაბნოს ფარით” მოხდა ა.შ.შ-ის სამხედრო ძალების გადასროლა სპარსეთის ყურეში. ხოლო ოპერაცია “უდაბნოს ქარიშხალი” დაიწყო ანტიერაყული საჰაერო შეტევითი ოპერაციებით, რომელიც ორ ეტაპად გაიყო:

I საჰაერო შეტევითი 1991 წლის 17 იანვარი – 23 თებერვალი.

II საჰაერო-სამხედრო შეტევითი 1991 წლის 24–28 თებერვალი [1.57]

აშშ-ის მიერ ჩატარებული ორივე სამხედრო ოპერაციით განადგურებულ იქნა ახლო აღმოსავლეთში ყველაზე ძლიერი არმია. 1991 წელს გაერომ ერაყის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციები დააწესა. 2001 წლის 11 სექტემბერის მოვლენებმა მთლიანად შეცვალა ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთში. 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტებმა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე სამგზავრო თვითმფრინავები მასობრივი განადგურების იარაღად გამოიყენეს. 2001 წლის 12 სექტემბერს სოლიდარობის ნიშნად მოკავშირეებმა გამოიყენეს ვაშინგტონის შეთანხმების მე-5 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ნატოს კოლექტიურ თავდაცვას. ანკარამ დაუყოვნებლივ თანხმობა განაცხადა, თავისი ავიაბაზები და საჰაერო სივრცე აშშ-ის ავიაციისათვის გადაეცა, ეს უნდა თურქეთის მხრიდან ვაშინგტონს დაეხმარა იმაში, რომ ეჭვით შეპყრობილი მუსლიმანური სამყარო დაერწმუნებინა, რომ ანტიტერორისტული კომპანია არ იყო მიმართული ისლამისაკენ. [4.11]

2003 წლის მარტში აშშ-ისა და დასავლური კოალიციის ძალისხმევით დაემხო სადამ ჰუსეინის რეჟიმი. ერაყს 2 წლის განმავლობაში დროებითი ადმინისტრაცია მართავდა. 2005 წლის 6 აპრილს ერაყში არჩევნები ჩატარდა და ქვეყანაში შემოდებულ იქნა საპრეზიდენტო მმართველობა. ნატო ერაყში აშშ-ის ხელმძღვანელობით წარმოებული მრავალეროვნული კოალიციის ჯარების სამხედრო ოპერაციებში არ მონაწილეობდა, მაგრამ იგი თავისი მისიის ფარგლებში ეხმარება ერაყის მთავრობას სამხედრო-ტექნიკური საშუალებებით.

აშშ ავღანეთში 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკის ტერაქტმა და 3000-ზე მეტი უდანაშაულო ადამიანის სიკვდილმა მიიყვანა. აშშ-მა ავღანეთში დაიწყო კონტრტერორისტული ოპერაცია **Enduring Freedom (თავისუფლების უზრუნველ-**

ყოფა), რომლის შედეგად თალიბანის რეპრესიული რეჟიმი გაძევებულ იქნა ქვეყნიდან. ავღანეთის უსაფრთხოების ძალები ვერ ახერხებდნენ დამოუკიდებლად ქვეყანაში სტაბილიზაციის დამყარებას. ამის გამო 2001 წლის დეკემბერში მოწვეულ იქნა ბონის კონფერენცია, აღნიშნულმა კონფერენციამ გაეროს თხოვნით მიმართა, რომ ჩამოეყალიბებინა ძალა, რომელიც დაეხმარებოდა ავღანეთის მთავრობას და დაიცავდა ქვეყნის უსაფრთხოებას. ავღანეთის ოპოზიციონერები ითხოვდნენ დახმარებას ქვეყნის რეკონსტრუქციისათვის. 2001 წლის 20 დეკემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ თავის 1386-ე რეზოლუციით განსაზღვრა საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (**ISAF**) შექმნა [2.11]

საწყის ეტაპზე **ISAF** არც გაეროს ეკუთვნოდა და არც ნატოს. იგი წარმოადგენდა კოალიციას რომლის მიზანი იყო გაეროს უშიშროების კომპეტენციის მოხალისე ქვეყნებს **ISAF** ფარგლებში ოპერაციები განეხორციელებინათ. [3.41] თავიდან ალიანსში იყო ისეთი ქვეყნები, როგორცაა: გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, გერმანია, ნიდერლანდები. კოალიციამ თავი გაართვა თავის დასახულ ამოცანებს, მოგვარდა კოალიციის უწყვეტი სტატუსის საკითხი. 2003 წლის აგვისტოში ალიანსმა მიიღო ამოცანის სტრატეგიული მეთაურობის, მართვისა და კორდინაციის უფლებამოსილება, ყოველივე ამან შესაძლებელი გახდა ქაბულში **ISAF**-ის მუდმივი შტაბბინა შექმნილიყო. თავიდან იგი თავის საქმიანობას ახორციელებდა ავღანეთის ეროვნულ მთავრობასთან მჭიდრო კოორდინაციის საფუძველზე ქაბულსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, შემდეგ მისი კონტროლის არეალი ნელ-ნელა გაიზარდა და მთელი ავღანეთის ტერიტორია მოიცვა. 2003 წლის ოქტომბერში გაეროს მანდატის საფუძველზე **ISAF**-ის მანდატი მთელ ავღანეთზე გავრცელდა. ასე, რომ 2003 წელს **ISAF**-ის მისიის წარმოების მანდატი გადაეცა ნატოს, ამით ბოლო მოეღო მის ექვს თვიან ეროვნულ როტაციებს. ნატო პასუხისმგებელი გახდა **ISAF**-ის ძალების მეთაურობაზე,

კორდინაციაზე. ჩამოყალიბდა სარდლობა და მეთაურობა ავღანეთის ტერიტორიაზე. 2004 წლის 1 ოქტომბერს დასრულდა **ISAF**-ის ავღანეთში ექსპანსიის პირველი ეტაპი. ექსპანსიის გაფართოების მეორე ეტაპი დაიწყო 2005 წლის 10 თებერვალს და იგი დამთავრდა 2005 წლის 18 სექტემბერს. მისი მისიის გაფართოებასა და ექსპანსიის მესამე ეტაპის დასაწყისად ითვლება 2006 წლის 31 ივლისი. იგი უკვე მესამე ეტაპზე აკონტროლებდა ავღანეთის ტერიტორიის სამ მეოთხედს. თავისი მოღვაწეობის მეოთხე ეტაპზე, 2006 წლის 5 ოქტომბერს, **ISAF**-მა მოლიანად ჩაიბარა კონტროლი მთელ ავღანეთზე. 2003 წლის აგვისტოდან ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო ურთიერთობების მხარდამჭერი ძალების ოპერაცია (**ISAF**) ალიანსის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ოპერაციაა. ევროატლანტიკური სივრცის გარეთ ალიანსის წევრი ქვეყნების ამოცანაა არ იქცეს ავღანეთი ხელმეორედ ტერორისტულ ბაზად. მისიის მიზანია უსაფრთხოება, რეკონსტრუქცია და განვითარება, მმართველობა, ეკონომიკის სექტორების აღდგენა, ავღანეთის კანონის უზენაესობა, ავღანეთის რეინტეგრაციისათვის ხელშეწყობა და ავღანეთის ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა. **ISAF**-ის მისიაში გაერთიანებულია 46 ქვეყანა 103 000 სამხედრო კონტინგენტით. საქართველო თითო სულ მოსახლეზე ყველაზე დიდი კონტრიბუტორია. მისი სამხედრო კონტიგენტის რაოდენობა შეადგენს 935 სამხედრო მოსამსახურეს. ასე რომ, საქართველო მისიაში ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ქვეყანაა დიდი ბრიტანეთის შემდეგ. აღნიშნულ მისიაში მონაწილეობით საქართველოს აქვს ძლიერი ლტოლვა, რათა მოხდეს მისი ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სივრცეში. ქართული კონტინგენტი **ISAF**-ის მისიაში სხვადასხვა სახელმწიფოების სარდლობის ქვეშაა. მაგალითად, ერთი გაძლიერებული არეალის 173 სამხედრო მოხელე საფრანგეთის კონტიგენტის ქვეშაა. ქართული კონტიგენტის გარკვეული ნაწილი აშშ-ის სარდლობის ქვეშაა, კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის

დეპარტამენტებს შორის დადებული შეთანხმების (**Acsa_Acquisition and Cross Servicing Agreement**) [5.9]. შესაბამისად, ასევე ქართველ ოფიცერთა ჯგუფი გაგზავნილია რეგიონალური საკომანდო ცენტრის შტაბ-ბინაში, სადაც ქართული კონტინგენტი თურქეთის სარდლობის ქვეშაა. ქართული საჯარისო ნაწილები განლაგებულნი არიან ქაბულსა და ჰელმანდის პროვინციებში. საქართველოს მონაწილეობა **ISAF**-ის ოპერაციებში უზრუნველყოფს საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცესთან დაახლოებას და იგი ხდება ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამერიკის შესწავლის საკითხები, თბ., 2008
2. თ. გოგოტიშვილი, ს. ბუსკაძე, საქართველო მშვიდობის სამსახურში 1999–2009, თბ., 2010.
3. ს. ბუსკაძე, ა. კორეპანოვი, ნატო დია კარი, თბ., 2010
4. U.S. News World Report, march. 18 1991
5. Response to terrorism , briefing, march, 2005
6. WWW. Wikipedia. Org

Tengiz Grigolia

Georgia in The *International Security Assistance Force (ISAF)* mission of NATO

Summary

The 11 September 2001 terrorist attacks on New York and Washington thrust not only United States, but the entire NATO alliance, into the fight against terrorism.

This declaration was followed by other firsts for NATO. The alliance contracted its first active military operation outside Europe, helping guard the airspace of the United States and eventually taking over the international security assistance force (ISAF) in Afghanistan. Existing and new NATO operations took on a role in the fight on 28 September 2006, the North Atlantic Council gave final authorization for the NATO-led international security force to expand its area of operation to 14 additional provinces in the east of Afghanistan, boosting NATO's presence and role in the country.

Тенгиз Григолия

Грузия в международных силах обеспечения безопасности (ISAF) миссии НАТО

Резюме

После 11 сентября 2001 года начали действовать силы международного обеспечения безопасности (ISAF).

Силы международного обеспечения безопасности (ISAF) представляет собой коалицию.

В рамках ООН с помощью стран добровольцев проводятся мирные операции в Афганистане.

Изначально в ISAF входили и проводили операции Великобритания, Турция, Германия и Королевство Нидерландов.

В 2003г. ведение мандата ISAF было передано НАТО.

Миссия ISAF в Афганистане проводила в 4 этапа и в 2006 году полностью взяла контроль в свои руки.

Целью миссии является безопасность, реконструкция и развитие, управление, восстановление экономических структур.

В ISAF принимает участие военный контингент 46 стран в составе 103 000 военнослужащих.

Военный контингент Грузии составляет 935 военнослужащих в состав контингента Франции. Грузинский контингент из 750 солдат под командованием американского военного руководства, отправился в Афганистан в 2009 году.

ს ა რ ჩ ე ვ ი

სიმონ გოგითძე	
ქაშკა-აბეშლას ეთნიკური კუთვნილებისათვის	5
Simon Gogitidze	
Is Qashqa-Abeshla part of Abkhazian or Georgian world?	23
Симон Гогитидзе	
Этническое принадлежность Кашка-абешла	24
ვაჟა შუბითძე	
ქართული რელიგიურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური გავლენის გაძლიერება სომხეთზე XI-XV საუკუნეებში	27
Vazha Shubitidze	
The Strengthening of Georgian Religious, Cultural, Social, and Economic Influence on Armenia in the 11-15th Centuries	40
Важа Шубитидзе	
Возрастание грузинского религиозно-культурного и социально-экономического влияния на Армению в XI-XV веках	41
ბიჭიკო დიასამიძე	
საქართველოს ერთიანობისთვის წამებული კათალიკოსი	42
Bichiko Diasamidze	
Catholicos Martyred for the Unity of Georgia	52
Бичико Диасамидзе	
Католикос-мученик за единую Грузию	53
ოლეგ ჯიბაშვილი	
ქუჩუკ-კაინარჯის ზავი და მესხეთის საკითხი	54
Oleg Jibashvili	
The Treaty of Kuchuk-Kainarji and the Issue of Meskhethi	71
Олег Джибашвили	
Кючук-Кайнарджийский мир и вопрос Месхетии	72

ვაჟა ჩოჩია	რუსეთ-გერმანიის ურთიერთობა ბერლინის კონგრესის შემდეგ (1878-1879)	74
Vazha Chochia	Russia-Germany interrelations after Berlin congress (1878-1879)	82
Важа Чочиа	Русско-германские отношения после Берлинского конгресса (1878-1879)	83
მალხაზ სიორიძე	სურამის სარკინიგზო გვირაბი (გვირაბის გახსნის 120 წლისთავისათვის)	84
Malkhaz Sioridze	The Surami Railway Tunnel (Commemorating the 120-th Anniversary of the Opening of the Tunnel)	95
Малхаз Сиоридзе	Сурамский железнодорожный тоннель (К 120-летию открытия тоннеля)	96
უჩა ოკროპირიძე	ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის ისტორიიდან	98
Ucha Okropiridze	From the History of Oil Export from Batumi Port	104
Уча Окропиридзе	Из истории экспорта нефти из батумского порта	104
ნატო სონღულაშვილი	თავისუფლების ფენომენის აღქმა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (მიხაკო წერეთელი. გიორგი გვაზავა)	105
Nato Songulashvili	The perception of phenomenon freedom in the political thinging (mixako theretheli. George Gvazava)	114
Нато Сонгулашвили	Восприятие феномена свободы в грузинском политическом мышлении	115

გელა საითიძე	
სკოლების გადასარჩენი თანხა სამხედრო ბიუჯეტს მოაკლეს	116
Gela Saitidze	
Die Summe zur Tettung adjarischer Schulen wurde dem Miliarbudget entnommen	129
Гела Саитидзе	
Сумма для спасения аджарских школ была урезана с военного бюджета	130
ოთარ თურმანიძე	
აგრარული რეფორმა აჭარაში (XX საუკუნის 30-იანი წლები)	131
Otar Turmanidze	
Agricultural Reformation in Adjara (the 30s of the XX century)	144
Отар Турманидзе	
Аграрная реформа в Аджарии (30-ие годы XX века)	145
სულხან ალექსაია	
ავსაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მცდელობანი 2000-2005 წლებში	146
Sulkhan Aleksaia	
Peaceful regulation attempts of Afxazian conflict in 2000-2005	158
Сулхан Алексая	
Попытки мирного урегулирования конфликтного очага в Абхазии 2000-2005 годах	159
თენგიზ გრიგოლია	
საქართველო ნატოს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების ISAF -ის მისიაში	160
Tengiz Grigolia	
Georgia in The <i>International Security Assistance Force (ISAF)</i> mission of NATO	166
Тенгиз Григолия	
Грузия в международных силах обеспечения безопасности (ISAF) миссии NATO	166

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.11.2010
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 10.7
ტირაჟი 100

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35